საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№13 (531)
8 - 14 აპრილი, 2020
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru




## «აფრიკა ლაბორატორია არ არის!» – ეტო'ომ და დროგბამ საკადრისი პასუხი გასცეს რასისტ მეცნიერებს 24

# კორონავირუსი ცვლის მსოფლიო წესრიგს 2




## დასავლეთს მხოლოდ საკუთარი თავი აინტერესებს და სხვაზე მერეც არ ფიქრობს 3



## გაერო, ჯანმო და მსო სასურსათო კრიზისზე ალაპარაკდნენ 17

## ჩვენი მოთხოვნების დაკმაყოფილება ადგილობრივი წარმოების პროდუქციით 10-11

### უპირველესი სასურსათო უსაფრთხოებაა



## რატომ მიიტანეს სოროსისტებმა იერიში ქართველ ექიმებსა და ეკლესიაზე 4





ვაჟა ოთარაშვილი:

## 5 ტაძარი არ არის ენ-ჯი-ოს ოფისი, რომ დაკეტო. ტაძარი გულია, რომლის გაჩერებაც არ შეიძლება!



პაატა კოღუაშვილი:

## 9 ჩვენ, უწინარესად, ორიენტირებულნი უნდა ვიყოთ იმაზე, რომ შიმშილი არ დაიწყოს

## ვის და რატომ სურს «კოვიდ 19»-ის ვირუსზე მეტად ეკლესიის დამარცხება? 7



## «ციხის ბუნტი» საქართველოს წინააღმდეგ 8



## 14 ევროკავშირს კიდევ ერთი ბზარი გაუჩნდა




**COVID-19 და მსოფლიო წესრიგი**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კორონავირუსმა ყველას დაანახვა, რომ დასავლეთი არ არის აღთქმული ქვეყანა ცხოვრების სრულყოფილი ორგანიზებით, მაღალი კულტურითა და განვითარებული ცივილიზაციით. ვინაიდან ცივილიზაციის დონე განისაზღვრება არა იმით, ყოველთვის ილიმოდე, გაქვს თუ არა ამის მიზეზი, არამედ განვითარების დონით, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების მრავალფეროვანი ფორმებით და არა საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების ფასადებით.**

# კორონავირუსი ცვლის მსოფლიო წესრიგს

## ვის შეუძლია COVID-19-ის დამარცხება

**კორონავირუსმა, რომელიც მსოფლიოს მოედო, ყველა სხვა მოვლენა დაჩრდილა. ახლა კაცობრიობისთვის კორონავირუსთან ბრძოლაზე მნიშვნელოვანი არაფერია. ირგვლივ ყველა პანდემიაზე ლაპარაკობს, მაგრამ, საყოველთაო ზომების მიუხედავად, ამ მომაკვდინებელი ვირუსის საწინააღმდეგო ეფექტიანი მედიკამენტები ჯერჯერობით არ არსებობს.**

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის 4 აპრილის მონაცემებით, 200-მდე ქვეყანაში ინფიცირებული იყო 1 133 453 ადამიანი, გამოჯანმრთელებული — 236 000, გარდაიცვალა 60 379. აღსანიშნავია, რომ დაავადებულები კვდებიან არა ვირუსით, არამედ მისგან გამოწვეული გართულებებით. ლეტალურობა საშუალოდ 4,7%-ია, იმიტომ, რომ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირია. თუ აშშ-ში სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1,8%-ია, ჩინეთში ეს მონაცემი 4%-ს უდრის, იტალიაში — 11%-ს, ხოლო საქართველოში (ისევე, როგორც ლიბანში, სომალიში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში) 4 აპრილამდე სიკვდილის არც ერთი შემთხვევა არ აღრიცხულა. 4 აპრილს კი გარდაიცვალა ერთი ხანდაზმული ქალი, რომელსაც ვირუსმა სხვადასხვა დაავადება გაუმწვავა.

ინფიცირებულთა უმრავლესობაში დაავადება მსუბუქი ფორმით მიმდინარეობს, თვითონ ვირუსიც რაღაც უცნობი და იდუმალი მხეცი არ არის. კორონავირუსებით ადრეც ავადდებოდნენ ადამიანები — 2002 და 2015 წლებში.

### ინფორმაცია განსჯისთვის

**მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, გრიპით მსოფლიოში ყოველწლიურად კვდება 650 ათასი ადამიანი. მიაღწევს თუ არა კორონავირუსით დაღუპულთა რაოდენობა 650 ათასს, უცნობია, მაგრამ უჩვეულო არაფერი ხდება. წითელას ეპიდემიას გაცილებით საშინელი შედეგები ჰქონდა.**

2009 წელს 200-მდე ქვეყანაში მძვინვარებდა ღორის გრიპი H1N1, დასნეულდა 1 632 258 ადამიანი, გარდაიცვალა — 284 500. სიკვდილიანობის მაჩვენებელი 17,4% იყო. დღეს კი იტალიაშიც კი სიკვდილიანობის პროცენტი უფრო ნაკლებია. **ეპიდემიის პიკი წინ არის, მაგრამ, ჯერ ერთი, ევროპისა და აშშ-ისგან განსხვავებით აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებმა — ჩინეთმა, სამხრეთ კორეამ, იაპონიამ — შეძლეს დაავადების გავრცელების შეჩერება; მეორე: განა 2009 წელს ვინმემ გამოაცხადა პანდემია, დააწესა კარანტინი (2020 წლის მსგავსი), დათესა პანიკა? მსგავსი არაფერი მომხდარა. ვინმემ ხომ არ მოისურვა მსოფლიოს შეშინება, რათა დაავიწყოს ადამიანებს ყველაფერი, კორონავირუსის გარდა?**

კორონავირუსს თავისი პლუსებიც აქვს, თუნდაც ის, რომ ბევრს თვალი აეხილა თანამედროვე მსოფლიოს მოწყობაზე. კორონავირუსმა ყველას დაანახვა, რომ დასავლეთი არ არის აღთქმული ქვეყანა ცხოვრების სრულყოფილი ორგანიზებით, მაღალი კულტურითა და განვითარებული ცივილიზაციით. ვინაიდან ცივილიზაციის დონე განისაზღვრება არა იმით, ყოველთვის ილიმოდე, გაქვს თუ არა ამის მიზეზი, არამედ განვითარების დონით, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების მრავალფეროვანი ფორმებით და არა საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების ფასადებით.

და დღეს რას ვხედავთ? მედიცინა, რომელსაც რეიტინგული სააგენტოები „მსოფლიოში საუკეთესოს" უწოდებდნენ, ვირუსულ ინფექციასთან ბრძოლაში უძლურია. სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს წესრიგსა და უსაფრთხოებას. **იტალიაში** აფთიაქებსა და მაღაზიებზე თავდასხმა ჩვეულებრივ ამბად იქცა. **ინგლისში** სადაზღვევო კომპანიები არ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს, გაანულეს სამედიცინო დაზღვევები, კორონავირუსის გამოსავლენი ტესტი 450 გირვანქა სტერლინგი ღირს. **ესპანეთში** გააქტიურდნენ აფერისტები, რომლებიც სპეკულანტობენ ვალუტით, ნიღბებით, ტესტებით, წამლებით. **ბელგიასა** და **ჰოლანდიაში** ადამიანის სახე დაკარგეს და ამტკიცებენ, რომ საავადმყოფოებში არ უნდა დააწვინონ ხანდაზმული ადამიანები და უკვე დააწესეს „ბუნებრივი შერჩევა:

**„არ მოიყვანოთ სუსტი პაციენტები და ხანდაზმული ადამიანები საავადმყოფოში. ჩვენ ვერ შევძლებთ მათთვის იმაზე მეტის გაკეთებას, ვიდრე პალიატიური დახმარებაა, რომელსაც ისინი ისედაც იღებენ მოხუცთა თავშესაფრებში. მათი დაწვენა საავადმყოფოში იმისათვის, რომ მოკვდნენ, არაჰუმანურია" (საავადმყოფოს გერიატრიის (გერონტოლოგიის) განყოფილების გამგე ნელე ვან დენ ნორგეიტი).** ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის კავშირის (საქართველოში საშუალო და უფროსი ასაკის მოქალაქეებს ახსოვთ, როგორი იყო ნამდვილი კავშირი) მსგავს სოლიდარობაზე კი კრინტსაც აღარავინ ძრავს.

დასავლეთი ამაყობს დემოკრატიით, პრაგმატიზმით, ინდივიდუალიზმით, მაგრამ კარგად ვერ აცნობიერებს, რომ ეს ყველაფერი დასაშვებია მაშინ, როცა ყველაფერი რიგზეა და პრობლემა არ არსებობს, მაგრამ სრულიად უსარგებლოა, როცა საჭიროა ხალხის მობილიზება, როცა სახელმწიფო უნდა იქცეს ერთ მექანიზმად, რომლის ყველა დეტალი გამართულად მუშაობს. სახელმწიფო მოწყობის ასეთ მოდელს ახლა ჩინეთი აჩვენებს მსოფლიოს.

როცა ევროკავშირსა და ჩინეთში შექმნილ ვითარებას ეპიდემიის შედეგების მიხედვით ადარებენ, ბევრი აღიარებს ჩინეთის უპირატესობას, მათ შორის ჩინეთის ჯანდაცვის ორგანიზებულობას. ჩინეთში უკვე განაცხადეს კარანტინის დასრულების შესახებ. **„ეპიდემია, — წერს „ჟენმინ ჟიბაო", — ეს არის დიდი ტესტი სისტემისა და სახელმწიფო მმართველობის უნარის შესამოწმებლად".** და მართლაც ასეა. სანამ ევროკავშირში მსჯელობენ „ურთიერთდახმარებაზე" და თითოეული მხოლოდ იმას ცდილობს, როგორ მიიღოს სარგებელი ინფექციიდანაც კი, ჩინეთი თავისი პოლიტიკური ხელმძღვანელების ძალისხმევის შედეგად გაერთიანდა. იგივე „ჟენმინ ჟიბაო" წერს, რომ ჩინეთის სისტემა დაფუძნებულია „ხალხის ნებაზე, უფლებებისა და ინტერესების დაცვაზე, ნოვატორობის სტიმულირებასა და ადამიანების სიცოცხლისუნარიანობაზე". ბევრს შეიძლება გაახსენდეს საბჭოთა კავშირისდროინდელი „ხალხი და პარტია ერთიანია!"




**მედიცინა, რომელიც საბჭოთა კავშირისგან ერგო მის ყოფილ სუბიექტებს, მათ შორის საქართველოსაც, ჯობია დასავლეთის მედიცინას და ჯანდაცვის ამჟამინდელი სისტემის გადაკეთება დასავლურ ყაიდაზე — ეს ხალხის ჯანმრთელობაზე თავდასხმა იქნება**

**დიდი ხნის წინათ ვიცინოდით ჩვენს ლოზუნგებსა და მისწრაფებებზე და ხარბად ვუმზერდით დასავლეთს. ხომ არ დადგა დრო, ყურადღებით დავაკვირდეთ აღმოსავლეთს?**

ისტორია ხომ სავსეა მაგალითებით.

გავიხსენოთ შავი ყვავილის აფეთქება 1959-1960 წლებში. 1959 წლის დეკემბერში მხატვარი-გრაფიკოსი **ალექსეი კოკორეკინი** ინდოეთში იმყოფებოდა მივლინებით, იქ დაესწრო უცნობი მიზეზით გარდაცვლილი ბრამინის დაკრძალვას, იყიდა გარდაცვლილის ხალიჩა და ჩაიტანა მოსკოვში. რამდენიმე დღეში კოკორეკინი საავადმყოფოში დააწვინეს გრიპის მძიმე ფორმის დიაგნოზით. მხატვარი საავადმყოფოში გარდაიცვალა, სიკვდილის წინ კი მისი სხეული წყლულებით დაიფარა. მალე ანალოგიური სიმპტომები გამოუვლინდათ მის მეზობლებს პალატაში. მხოლოდ 1960 წლის პირველ დღეებში შეძლეს ექიმებმა გარდაცვლილი მხატვრისთვის დიაგნოზის დასმა **VARIOLA VERA, ნატურალური, ანუ შავი ყვავილი.** და ეს არ არის კორონავირუსი. კოკორეკინმა დაავადება 46 ადამიანს გადასდო და არა ისე, რომ მხატვარმა ვიღაცის ცხვირწინ დააცემინა. ვირუსმა კოკორეკინის ზემოთ მდებარე პალატაში შეაღწია სავენტილაციო მილით. მკურნალი ექიმისგან ტელეფონის ყურმილით გადაედო რეგისტრატურის თანამშრომელ ქალს, დაავადდა სხვა თანამშრომელიც, რომელმაც შემთხვევით ჩაიარა კოკორეკინის პალატასთან... მერე? **საბჭოთა ექიმებმა საოცრება ჩაიდინეს, სახელმწიფოს მმართველი ძალაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. გამოითვალეს და დააკავეს ყველა, ვინც ოდნავ მაინც მიახლოებული იყო კოკორეკინთან. დაკავებულები მოსკოვის ინფექციურ საავადმყოფოში გადაიყვანეს და სასწრაფოდ აცრეს ყვავილზე. 3 კვირის (!) განმავლობაში 27 ათასმა ექიმმა 5,5 მლნ ადამიანი (!) აცრა. ყვავილის გავრცელება შეაჩერეს, პანიკასა და მასობრივ ფსიქოზზე კი ლაპარაკიც არ ყოფილა.** არადა, ყვავილის მართლა ძალიან უნდა გვეშინოდეს. ყვავილს ბოლო მოუღეს ექიმებმა, უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა, სახელმწიფო მოხელეებმა.

კიდევ ერთი მაგალითი — **ქოლერის ეპიდემია 1970 წელს.** დაავადება სწრაფად გავრცელდა შავი და კასპიის ზღვების სანაპიროებზე. როგორც კი ქოლერის შემთხვევები დადასტურდა, ჩაიკეტა რამდენიმე ქალაქი (მათ შორის, თბილისიც — გ.გ.). რამდენიმე ასეული კმ-ით დაშორებულ მოსკოვის ოლქშიც კი ჩაკეტეს წყალსაცავებთან მისასვლელები. ქალაქებში, სადაც იმყოფებოდნენ დაავადებულები, ექიმებმა დაიწყეს ბინებში მისვლა, შემოწმება და დაავადების სიმპტომების მქონე პირების გამოვლენა. სექტემბრის დასაწყისში, ანუ ერთი თვის შემდეგ ქოლერა გაქრა. და ისევ **არანაირი პანიკა, არანაირი ვნებათაღელვა, მოქალაქეების უმრავლესობას არც კი შეუტყვია ამ ძალიან სახიფათო დაავადების შესახებ, ისევე, როგორც ყვავილის შემთხვევაში.** ეპიდემია უმოკლეს ვადაში შეაჩერეს, სიკვდილიანობამ 1% შეადგინა, ხოლო, როცა სახელმწიფო არ ერევა, ამ დაავადების შემთხვევების დაახლოებით 60-70 პროცენტი სიკვდილით მთავრდება.

რაზე მიგვანიშნებს მაგალითები? **ადამიანის ცხოვრება ეს არის არა მხოლოდ შოპინგი, დანსინგი და ჰიტჩ-ჰაიკინგი (მოგზაურობა შემხვედრი ავტომობილებით). ეს, ამასთანავე, არის ყოველდღიური ცხოვრება, წარმატებები და წარუმატებლობები, ნგრევები და საგანგებო სიტუაციები, რომლებსაც ყველაზე უკეთ უმკლავდება სოლიდარული საზოგადოება ცენტრალიზებული მმართველობით, როგორიც იყო საბჭოთა კავშირი, რომლისკენაც მიისწრაფვის დღეს ჩინეთი.**

კიდევ ერთი დასკვნა არის ის, რომ **მედიცინა, რომელიც საბჭოთა კავშირისგან ერგო მის ყოფილ სუბიექტებს, მათ შორის საქართველოსაც, ჯობია დასავლეთის მედიცინას და ჯანდაცვის ამჟამინდელი სისტემის გადაკეთება დასავლურ ყაიდაზე ეს ხალხის ჯანმრთელობაზე თავდასხმა იქნება.** დიახ, ფულიან ქართველებს, ისევე, როგორც რუსებს, უკრაინელებს, აზერბაიჯანელებს თუ სხვებს უყვართ დასავლეთში წასვლა სამკურნალოდ, მაგრამ, საკითხავია, მათ იქ ისე ემსახურებიან, როგორც მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანებს? თანაც, ბევრ მათგანს, ისევე, როგორც, მაგალითად, ყველა გერმანელს არ შეუძლია სამედიცინო დახმარებისთვის მიმართოს კლინიკა **შარიტეს** ან **რეხტს დერ იზარს** (ბერლინისა და მიუნხენის საუკეთესო სამედიცინო დაწესებულებები).

პანდემიის დასრულების შემდეგ მსოფლიო წესრიგი ისეთი აღარ იქნება, როგორიც დღეს არის. ის შეიცვლება. გადარჩებიან ისინი, ვინც ძლიერები არიან, და ისინი დაადგენენ თავიანთ წესრიგს. გაეროს გათვლებით, COVID-19-ის პანდემია გამოიწვევს „უპრეცედენტო ეკონომიკურ ზემოქმედებას" სუსტად განვითარებულ ქვეყნებზე და ამ ზემოქმედების შედეგების აღმოსაფხვრელად ხსენებულ ქვეყნებს 2,5 ტრილიონი დოლარი დასჭირდებათ. ვიღაც, ისევე, როგორც ომის პერიოდში, პანდემიისგან იხეირებს, ვიღაცას კი არასახარბიელო დროება დაუდგება.

ვინც გაუძლებს პირველ გამოცდას, ვინც ნაკლებად დაზარალდება სხვებთან შედარებით, ის მიიღებს მონაწილეობას ახალი მსოფლიო წესრიგის განსაზღვრაში.

**Fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

**იმედია, ამ ყველაფრისგან სწორი დასკვნების გაკეთებას მოვახერხებთ და მერე, როცა საფრთხე გადაივლის, ისევ ბევრ დროს დავუთმობთ ოჯახის წევრებს, უახლოეს ნათესავებს, იმ ნათესავებსაც, რომლებსაც მხოლოდ გასვენებასა და ქორწილებში ვხვდებით და, რაც მთავარია, სოფელს მივხედავთ, მამაპაპისეულ საძვალესაც მეტ პატივს მივაგებთ და ვინ იცის, იქნებ ეს განსაცდელი საქართველოს გადარჩენის დასაწყისი იყოს.**

საგარეო ვექტორი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კორონავირუსმა გამოაჩინა, რომ ჩვენი მთავრობისა და ლიბერალების სათაყვანებელ დასავლეთს მხოლოდ საკუთარი თავი აინტერესებს და სხვაზე მერეც არ ფიქრობს

**სანამ კორონავირუსი მსოფლიოს მოიცავდა და სიკვდილიანობის მაჩვენებელიც რამდენიმე ათეულ ათასს გაუტოლდებოდა, ერთ-ერთი ქადაგებისას საქართველოს პატრიარქმა თქვა: მეორედ მოსვლის ჟამი შორს არ არისო. მაშინ ატყდა მედასავლეთე ლიბერალების ქილიკ-ღლიცინი და იმდენი ქნეს, საპატრიარქოს განმარტების გაკეთება მოუწია: პატრიარქს არ უთქვამს, მეორედ მოსვლა ხვალ ან ზეგ იქნებაო. ამის მიუხედავად, სოციალურ ქსელებში ამ თემაზე აგდებული საუბარი კვლავ მიდიოდა, მაგრამ მერე ის ადამიანები, რომლებიც ქილიკობდნენ, უცებ გაქრნენ, დაიკარგნენ, თითქოს არც არსებობდნენ. ყველამ თვალნათლივ დაინახა, რომ სულ ორიოდე თვე იყო საჭირო სამყაროს შესაცვლელად. ჰო, მთელი სამყარო და არა ცალკეული სახელმწიფოები ნელ-ნელა, მაგრამ მყარი ნაბიჯით მივდივართ იქითკენ, რომ ვიცხოვროთ ისეთ მსოფლიოში, როგორზეც ვოცნებობდით. ვიღაცას ეს ყველაფერი პარადოქსულად მოეჩვენება, მაგრამ მოდი, ეტაპობრივად მივყვეთ.**

მედიაში თუ სოციალურ ქსელებში გავრცელებული ცრუ ინფორმაცია არაერთხელ ყოფილა მსჯელობის საგანი, თუმცა აგრესია მალევე გადაივლიდა ხოლმე ან, საერთოდ, არ იყო. **ახლა კი, აბა, გაბედეთ, ისეთი რამ დაწერეთ, რაც სიმართლესთან ახლოს არ არის. მთელი სოციალური ქსელი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თავზე გადაგივლით და, სამშობლოს კი არა, კაციობრიობის მოღალატედ გამოგაცხადებთ.** ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანებმა სიმართლის ფასი ისწავლეს და ყველას სწორედ ეს სიმართლე უნდა, მწარე, მაგრამ მაინც სიმართლე. **აღარავის სურს ილუზიებში ცხოვრება და ყველას უნდა, იცოდეს, რა ხდება არა მხოლოდ მის ქვეყანაში, არამედ მეზობელ თუ არამეზობელ სახელმწიფოებში.** შევთანხმდეთ, რომ სიმართლე ძალიან მნიშვნელოვანია და ადამიანებმა მისი დაფასება დავიწყეთ.

ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად დაიკარგა ადამიანური ურთიერთობები. საუბარი არ არის მხოლოდ მეგობრებსა და ნათესავებზე, ოჯახის წევრებისთვისაც კი ვეღარ ვიცლიდით. აჩქარდა ცხოვრება, აჩქარდა ადამიანიც და ოჯახის წევრებთან კონტაქტი ძირითადად ვირტუალურად ხდებოდა. ეგ კი არა, შინ დაბრუნებული ოჯახის წევრები ერთმანეთს თითქმის არ ესაუბრებოდნენ, ისინი თავიანთ ტელეფონებს ან კომპიუტერებს ჩაჰკირკიტებდნენ და შეიძლება კვირები ისე გასულიყო, ერთმანეთისთვის გადაბმულად 3-4 წინადადებაც არ ეთქვათ. ახლა კი ვირუსმა სახლში გამოკეტა ოჯახები და მათ ერთმანეთი ახლიდან აღმოაჩინეს. მშობლები მიხვდნენ, რეალურად რა ინტერესები აქვთ შვილებს, რა უჭირთ, რა ულხინთ, შვილებმაც დაინახეს, რომ დედ-მამა არც ისეთი უცხო და შორეული ყოფილა, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა. ისინი ერთად საუზმობენ, სადილობენ, ვახშმობენ, გვერწმუნეთ, ჭურჭლის დარეცხვასაც კი ერთმანეთს ეცილებიან, დრო რომ გაიყვანონ.

ცოდვათა ჩამონათვალში ერთ-ერთ ცოდვად ნაყროვანებაც წერია და ახლა ისეთ ეტაპზე ვართ, მომარაგებული უამრავი პროდუქტის მიუხედავად, ჭამის ხალისი ნაკლებად არის. ადამიანებს აქვთ ფული და არ იციან, სად დახარჯონ, იმიტომ, რომ ყველაფერი დაკეტილია, მაგრამ ეს არსებობისთვის ხელის შემშლელი არ არის. ანუ, ადამიანს უპრობლემოდ შეუძლია იარსებოს და მას შემდეგ, რაც ასმეერთედ უყურებს ფილმს, წიგნს აიღებს ხელში და წაიკითხავს. ჩვენ ხომ მუდმივად იმაზე ვწუწუნებდით, რომ დრო არ გვქონდა წიგნების წასაკითხად, ახლა ეს პრობლემაც მოხსნილია, დრო ძალიან ბევრია.

უკვე დავიწყეთ არა მხოლოდ ახლო, არამედ შორეული ნათესავების მოკითხვაც. ხომ არსებობენ ისეთი ნათესავები, რომლებსაც, სამწუხაროდ, მხოლოდ გასვენებაში ან ქორწილებში ვხედავთ, ჰოდა, ახლა ისინიც მოვიკითხეთ, მათი ბედითაც დავინტერესდით, ის დრო გავიხსენეთ, როცა ბავშვობაში ერთად ვთამაშობდით სოფელში და... ჰო, სოფელი ცალკე თემაა.

**არაერთხელ დაგვიწერია, რომ სოფელს მეტი ყურადღება უნდოდა, რომ დაცარიელებული სახლები ნასახლარებად არ უნდა ქცეულიყო, რომ ქართულ მიწაზე მოყვანილი პროდუქტი ყველაზე გემრიელი და სასარგებლო იყო. შემთხვევითი არ არის ის, რომ ვირუსის პიკი გაზაფხულზეა, ანუ მაშინ, როცა სოფლად მიწის სამუშაოებია ჩასატარებელი.** არაერთმა ათეულმა ოჯახმა გამოაღო მამაპისეული სახლის კარი, არაერთმა დაამუშავა მიწა და ამით ადამიანები ბედნიერები არიან. აჩქარებულ სამყაროში, იქ, სადაც შვებულება მხოლოდ რამდენიმე დღეა და ყველა ცდილობდა, ეს რამდენიმე დღე რომელიმე პრესტიჟულ კურორტზე გაეტარებინა, ახლა სოფელს მოახმარა და მიხვდა, რომ იქ მიწას სხვა სუნი აქვს და ჰაერიც სხვანაირია. ჰო, ჰაერი... **ჩინეთში სუფთა ცა დაინახეს, იტალიაში აღმოაჩინეს, რომ ვენეციის არხებში წყალი თუ დასუფთავდება, იქ შეიძლება თევზები და დელფინებიც კი გამოჩნდნენ.** ანუ, ჩვენდა უნებურად დავინახეთ, რომ ვანადგურებდით დედამიწას, იმ სამყროს, რომელშიც ყველა ერთად ვცხოვრობდით და ვერ ვამჩნევდით, როგორ მოვწამლეთ ჰაერი, დავაბინძურეთ წყლები, გავუცხოვდით არამხოლოდ ერთმანეთის, არამედ ოჯახის წევრების მიმართაც კი. ახლა ეს ყველაფერი ნელ-ნელა უბრუნდება ჩვეულ კალაპოტს, ისეთს, როგორიც გვინდოდა, რომ ყოფილიყო. ხმამაღლა ამაზე თითქმის აღარავინ საუბრობდა, რადგან წარმოუდგენლად ჩანდა აჩქარებული სამყაროს რელსებიდან გადაგდება, წარმოუდგენელი ჩანდა ის, რომ მოსახლეობა სახლებში დარჩებოდა, ვერავინ იფიქრებდა, სოფელში წასვლით ისევ თუ გაბედნიერდებოდა ადამიანი და აღარც სააღდგომოდ დაცლილი დედაქალაქის ქუჩები იქნება საქილიკო თემა.



**ნათლად გამოჩნდა, რომ ევროპაში საზღვრები მხოლოდ პირობითად ყოფილა წაშლილი, ყველა ევროპულმა ქვეყანამ გაიხსენა, რომ საზღვარი აქვს და ჩაკეტა; ყველამ საკუთარ თავზე დაიწყო ზრუნვა და ახლა ბოდიშს რიგ-რიგობით უხდიან იტალიას: გასაჭირში მიგატოვეთ, ვერ დაგეხმარეთ, საკუთარ თავზე ვზრუნავდითო. აგერ, ნატო – ორგანიზაცია, რომელიც მუდმივად წინა პლანზე იყო და მსოფლიოს აზანზარებდა, უძლიერესი სამხედრო ალიანსი ვართ, ჩვენ წინააღმდეგ წასვლა არავინ გაბედოსო, უფუნქციოდ დარჩა**

ნათლად გამოჩნდა, რომ **ევროპაში საზღვრები მხოლოდ პირობითად ყოფილა წაშლილი, ყველა ევროპულმა ქვეყანამ გაიხსენა, რომ საზღვარი აქვს და ჩაკეტა. ყველამ საკუთარ თავზე დაიწყო ზრუნვა და ახლა ბოდიშს რიგ-რიგობით უხდიან იტალიას: გასაჭირში მიგატოვეთ, ვერ დაგეხმარეთ, საკუთარ თავზე ვზრუნავდითო.** ჰო, სწორედ კორონავირუსის შემდეგ გამოჩნდა, რომ ჩვენი მთავრობის და ლიბერალების სათაყვანებელ დასავლეთის ყველა ქვეყანას მხოლოდ საკუთარი თავის ინტერესი აქვს და სხვაზე მერეც არ ფიქრობს. ეს ლოგიკურია, ასე იყო, ამას ვამბობდით, მაგრამ არავის სჯეროდა... თითქმის არავის. აგერ, **ნატო — ორგანიზაცია, რომელიც მუდმივად წინა პლანზე იყო და მსოფლიოს აზანზარებდა, უძლიერესი სამხედრო ალიანსი ვართ, ჩვენ წინააღმდეგ წასვლა არავინ გაბედოსო, უფუნქციოდ დარჩა.** შეწყდა ომები და იმ „ონლაინ" პრესკონფერენციასა თუ მინისტერიალზე, რომელიც ნატოს წევრი ქვეყნების ლიდერებმა გამართეს, ახალი ვერაფერი თქვეს. ან რა უნდა ეთქვათ, ვის უნდა დამუქრებოდნენ, ვისთვის უნდა აეწიათ ყური? მაგრამ არა, მათ წინაც გაიხედეს და ჩვენი დარი ქვეყნებისთვის მაინც განაცხადეს, **თქვენ გვერდით ვართ, შავ ზღვაში საქართველოს და უკრაინის ერთობლივ წვრთნებს გავმართავთო.** რისთვის, ვისთვის?! **ამ ძნელბედობის ჟამსაც კი ცივილიზებულმა სამყარომ სანქციები არ მოუხსნა რუსეთს, ანუ პირდაპირ განაცხადა: რუსეთის დაღუპვა გვაქვს განზრახული და ვირუსი ვერ შეგვაშინებსო.** თუ აქამდე მსოფლიოს პრობლემა მხოლოდ **ვლადიმერ პუტინი** იყო და თურმე დასავლეთი რუს ხალხს არაფერს ერჩოდა, ახლა პირიქით გამოვიდა — სწორედ ერს ერჩიან და არა კონკრეტულ პიროვნებას. რომელ სანქციებზეა საუბარი, როცა ყველა, აბსოლუტურად ყველა, გადარჩენისთვის იბრძვის, მაგრამ ამ ბრძოლაშიც მოსულა თურმე წელს ქვემოთ დარტყმა.

რაც შეეხება დახმარებას და ხელის გაწვდენას, ყვარყვარე თუთაბერი ხომ გახსოვთ, — ოქროს სარაიას აგიშენებთ, ჩემსას რომ დავამთავრებ, მერეო. 1.1 მილიონი დოლარი გამოგვიყო ამერიკამ და ამას აუცილებლად დაგვამადლის, — გაჭირვებაში არ მიმიტოვებიხართო. ეს ჩვენთვის, თორემ საკუთარი ხალხისთვის ექვსი ტრილიონის(!) დახარჯვას აპირებენ და ერთ ამდენს კიდევ გაიმეტებენ ვირუსის საწინააღმდეგოდ. **ამერიკის პრეზიდენტი ხმამაღლა ამბობს, მხოლოდ 100 ათასი ამერიკელი თუ მოკვდება, ჩავთვლი, რომ ამ ომში გავიმარჯვეო და ესეც ისტორიული სიმართლეა — ერთეულების სიკვდილია ტრაგედია, თორემ ადამიანების მასობრივი გარდაცვალება უბრალო სტატისტიკაა.**

თურმე ეს განსაცდელი ყოფილა საჭირო იმისთვის, ადამიანებს დაფიქრების შესაძლებლობა რომ გასჩენოდათ; თურმე ისევ გვყვარებია ქართველებს ერთმანეთი, ისევ ვუფრთხილდებით, ისევ ვიბრძვით გადარჩენისთვის და, როგორც ადრე, ისევ ერთად ვდგავართ. **ერის ერთ მუშტად შეკვრა დიდი ძალა რომ არის, ისევ გამოჩნდა. ისევ გვყავს ჩვენი დროის გმირები და ესენი ჩვენი ექიმები არიან, ის ექიმები, რომლებმაც მსოფლიო გააოცეს და, როგორც ადრე, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ცდილობენ ერის გადარჩენას.**

იმედია, ამ ყველაფრისგან სწორი დასკვნების გაკეთებას მოვახერხებთ და მერე, როცა საფრთხე გადაივლის, ისევ ბევრ დროს დავუთმობთ ოჯახის წევრებს, უახლოეს ნათესავებს, იმ ნათესავებსაც, რომლებსაც მხოლოდ გასვენებასა და ქორწილებში ვხვდებით და, რაც მთავარია, სოფელს მივხედავთ, მამაპაპისეულ საძვალესაც მეტ პატივს მივაგებთ და ვინ იცის, იქნებ ეს განსაცდელი საქართველოს გადარჩენის დასაწყისი იყოს.

**ბესო ბარბაქაძე**

მართლმადიდებლობის მტრები

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლეთზე ორიენტირებულ პოლიტიკოსებს ეს ყველაფერი ძალიან ახარებთ. მათ არ სურთ ქვეყნის გამარჯვება, არ სურთ უმსხვერპლოდ გამოსვლა, რადგან იციან, რაც მეტი მსხვერპლი იქნება, მით მეტი დახმარება წამოვა დასავლეთიდან და მით მეტ თანხებს ჩაიდებენ ჯიბეში. არასდროს, არასდროს არ ადარდებდათ მათ ადამიანთა ბედი, რიგითი ადამიანების ყოფა და ახლაც ასეა. ისინი ყოველთვის ილაშქრებენ ეკლესიის წინააღმდეგ, ნერვები ეშლებათ იმის გამო, რომ პატრიარქი ცოცხალია, რომ მრევლი გამრავლდა, რომ ექიმებიც კი უფალს ახსენებენ. თვითონ ულმერთოდ ცხოვრობენ და სურთ, ასევე იცხოვროს სრულიად საქართველომ.**

# რატომ მიიტანეს სოროსისტებმა იერიში ქართველ ექიმებსა და ეკლესიაზე

**საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ წინსვლისთვის აუცილებელი შეიქნა ინგლისურისა და კომპიუტერის ცოდნა. მერე, როცა ქვეყნის სათავეში „ნაციონალური მოძრაობა“ მოვიდა, დასავლური განათლების მქონე ადამიანებს ისეთ პრივილეგიებს სთავაზობდნენ, გაოცდებოდით. სწორედ დასავლური განათლება იყო მთავარი პირობა იმისა, რომ ახალგაზრდა და გამოუცდელ კადრებს მინისტრებადაც კი ნიშნავდნენ. პრინციპში, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში მინისტრი პირობითი ცნება იყო, რადგან მინისტრიც თვითონ მიშა გახლდათ, მოადგილეც, დამლაგებელიც და თავისი ხელქვეითების ქმარიც.**

დასავლური განათლების პროპაგანდის პარალელურად, აუცილებელი შეიქნა ინგლისური ენის ცოდნა საქართველოს ყველა მოქალაქისთვის. ინგლისური კი იყო ინსტრუმენტი, რათა ხალხის აზროვნება ანგლოსაქსურ, მომხმარებლურ, ეგოისტურ-ინდივიდუალისტურ ყაიდაზე გადაეწყოთ. ამიტომ იყო მასწავლებლების ჩამოყვანის პროგრამა (რომელმაც არ გაამართლა), ტელევიზიით გაშვებული ინგლისურენოვანი ფილმები (რომელმაც ასევე არ გაამართლა) და ყველაფრის დისკრედიტაცია და მიწასთან გასწორება, რაც რუსულ ენასთან იყო დაკავშირებული. არადა, ის თაობა, რომელმაც ქვეყანა აქამდე მოიყვანა, ინგლისურის ნაცვლად რუსულად საუბრობდა (ისე, ინგლისურიც მშვენივრად იცოდა ბევრმა, ზოგმაც გერმანული ან ფრანგული) და ამაში სამარცხვინოს ვერც მაშინ ხედავდა ვერაფერს და ვერც ახლა. საბჭოთა გადმონაშთს ეძახდა სააკაშვილი ყველას, ვისაც საბჭოთა კავშირში ჰქონდა განათლება მიღებული და თავისი საქმის პროფესიონალი იყო. საზოგადოდ, განათლების საბჭოთა სისტემა უნიკალური იყო, რადგან პრაქტიკულად 15-ვე რესპუბლიკაში პროცენტულად იმდენი პროფესიონალი შრომობდა, დანარჩენ მსოფლიოს გადაწონიდა. საბჭოთა განათლების უნიკალურობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ამ სისტემის დანგრევისა და ევროპულ რელსებზე გადასვლის შემდეგ, აგერ უკვე მერამდენე წელიწადია, ვერ მოვახერხეთ განათლების ისეთი სისტემის შექმნა, რომელზეც ვიტყოდით: კარგია, დავტოვოთ და... არც იმ ძველზე დაბრუნება გვინდა, რომელმაც გაამართლა.

სხვა ბევრ რამესთან ერთად, საბჭოთა მედიცინა მსოფლიოში უძლიერესი იყო. მითებად და ლეგენდებად დადის საბჭოთა ექიმების მიერ გაკეთებული საქმეები. მითები და ლეგენდებია საიდუმლო ლაბორატორიები და კიდევ ათასი რამ, მაგრამ ფაქტია, რომ იმხანად პროფესიონალიზმზე პრეტენზია თუ ვინმეს ჰქონდა, პირველ რიგში, სამედიცინო სფეროს მუშაკებს. **საბჭოთა კავშირის დამსახურებით, სამედიცინო სფერო ჩინეთსა და კუბაშიც განვითარდა და, საბედნიეროდ, დღემდე იმავე მიმართულებით ვითარდება, ჩვენთან კი... კუბელი ექიმები ერთ-ერთი (თუ ყველაზე არა) საუკეთესოები არიან მსოფლიოში. ჩინელმა ექიმებმა არამხოლოდ თავიანთი ქვეყნის, არამედ მსოფლიოს მასშტაბით გაითქვეს სახელი, ჩვენ კი ყველაფერი დავანგრიეთ და სწორება დასავლეთზე გავაკეთეთ.**

ის, რომ საბჭოთა სკოლა დასავლეთისას სჯობდა, დღეს გამოჩნდა. **ამირან გამყრელიძე, თენგიზ ცერცვაძე, მარინა ეზუგბაია** და სხვები სწორედ საბჭოთა პერიოდში მიღებულ განათლებას იყენებენ დღეს და აოცებენ მსოფლიოს ახალ ვირუსთან ბრძოლაში. ანუ, მათთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვირუსი ახალია თუ ძველი, ისინი თავიანთ ცოდნას ახმარენ საქმეს და აკი ყველა წამყვანმა ქვეყანამ აღიარა, რომ პატარა საქართველოს **დიდი ადამიანები** ჰყოლია.

რამდენიმე დღის წინათ ინფექციური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორმა, ქალბატონმა მარინა ეზუგბაიამ სააღდგომო ლიტურგიაზე მრევლის დასწრების შესახებ განაცხადა: **„მე მორწმუნე ვარ, მართლმადიდებელი მორწმუნე. მრავალი წელია, ეკლესიაში დავდივარ. ვესწრები თითქმის ყველა ლოცვას. პატრიარქის კურთხევა როგორიც იქნება, მე, როგორც მორწმუნე ადამიანი, ალბათ, მას შევასრულებ. ყველაფერი უფლის ნებაა ამ ქვეყანაზე მეტ-ნაკლებად. თუ ჩვენ დავიცავთ წესებს, თუ მორწმუნე ადამიანს, რომელსაც სურვილი აქვს, რომ ტაძარში მივიდეს და დაესწროს სააღდგომო ლიტურგიას, აქ საუბარია სააღდგომო ლიტურგიაზე, თუ დაიცვება ყველა ის წესი, რომელიც მოწოდებულია, ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში, ალბათ, შესაძლებელი იქნება სააღდგომო ლიტურგიაზე დასწრება...“**

ატყდა, მაგრამ რა ატყდა. როგორ თუ ღმერთი ახსენა ექიმმაო და **სოროსის ანასხლეტებმა იერიში არა მხოლოდ ქალბატონ მარინა ეზუგბაიაზე, არამედ ეკლესიაზეც მიიტანეს.**

**„ჩემი დიდი თხოვნაა, რომ, თუ კორონავირუსი შემეყარა და შემთხვევით, მე არ ვარ აქტიური — არ დამანახვოთ მარინა ეზუგბაია ან რომელიმე მსგავსი არაპროფესიონალი მჩხიბავი. ისეთ ექიმთან წამიყვანეთ, რომელიც საკუთარ პროფესიას პატივს სცემს, სიმართლის თქმა არ ეშინია და პაციენტებს არ ავნებს. საშიშია ისეთი ექიმების ხელში ჩავარდნა, რომლებიც მეცნიერებას არ სცნობენ და გაიძახიან, რომ „ყველაფერი უფლის ნებაა“, ძალიან საშიში. მოკლედ, ამ „უფლის მხედარი გმირებიდან“ არც ერთი. ჩვეულებრივი მოკვდავი ექიმი მინდა, ინგლისური რომ იცის, თანამედროვე ინფორმაციას პირველწყაროდან აგროვებს და სიმართლეს მეტყვის. არ მინდა, არც ვარსკვლავი რატიანი — ინგლისურის მცოდნე რიგითი, ახალგაზრდა ინფექციონისტი მეყოფა. ამ გამოქვაბულის აჩრდილებს არაფერი ეშველებათ. ან ბრეჟნევს უნდა ეთაყვანებოდნენ ან პატრიარქს“**, — ეს განცხადება **გიგა ბოკერიას** ცოლს — თამარ ჩერგოლეიშვილს ეკუთვნის.



**ეზუგბაიამ, ცერცვაძემ და გამყრელიძემ თუ უშველეს ქვეყანას, გამოვა, რომ საბჭოთა კავშირი თავისი განათლების სისტემით კარგი ყოფილა და ტყუილად ასწავლიან შვილებს ევროპასა და ამერიკაში**



დავიწყოთ იმით, რომ სოროსის თაყვანისცემას **ბრეჟნევის** თაყვანისცემა აშკარად სჯობს (რა თქმა უნდა, უფალს არ ვახსენებთ ჯოჯოხეთის მოციქულებთან). იმ შემთხვევაში, თუ ჩერგოლეიშვილს ვირუსი მართლა შეეყრება (უფალმა დაიფაროს), არავის ხელში არ ჩავაგდებთ, როგორც ისურვა და ეშმაკი თავად მოძებნის, თავად მიაკითხავს, ხომ გაგიგონიათ, ფერი ფერსაო...

რაც ყველაზე საინტერესოა, **ჩერგოლეიშვილის განცხადება „პრადვინუტი“ „ევროპული საქართველოს“ წევრებმა არ დაგმეს. პარტიის ლიდერი დავით ბაქრაძე, თავისი სიმაღლის კელაპტრით რომ დგას ხოლმე ეკლესიაში და ხალხს ანახვებს, მორწმუნე ვარ, სანთელი მიჭირავსო, რატომ არ გამოვიდა და არ ამოიღო ხმა, რატომ არ დაგმო და არ უარყო ჩერგოლეიშვილის განცხადება, რატომ არ თქვა: ჩვენი პოზიციები ერთმანეთს არ ემთხვევაო?! იმიტომ, რომ სხვა „ღმერთი“ ჰყავს და მისი წყენინება არ გამოვა, მით უმეტეს, წინასაარჩევნოდ, როცა იმ „ღმერთმა“ გრანტი უნდა გამოყოს და „ევროპულმა საქართველომ“ ხელი მოითბოს.** გრანტის ოდენობა 30 ვერცხლის ეკვივალენტი რომ იქნება, ადვილი მისახვედრია და ისიც ადვილი მისახვედრია, რა ძალები იყვნენ სათავეში და რა ძალები აპირებენ ისევ მოსვლას.

**ცივილიზებული სამყარო აღიარებს ქართველი ექიმების უპირატესობას, ყველა ტაშს გვიკრავს, სიუჟეტებს უძღვნიან ჩვენს ქვეყანას, სოროსისტებს კი ეს ხელს არ აძლევთ. არ აძლევთ იმიტომ, რომ ახლა ჩვენი ექიმების გამარჯვება მათ მარცხს ნიშნავს. მერე რა, რომ დღეს ჩვენი ექიმების გამარჯვება მთლიანად ქვეყნის და, შესაძლოა, სამყაროს გამარჯვებაც იქნება, მთავარია, ისინი არ დამარცხდნენ.**

აბა, ეზუგბაიამ, ცერცვაძემ და გამყრელიძემ თუ უშველეს ქვეყანას, გამოვა, რომ საბჭოთა კავშირი თავისი განათლებით კარგი ყოფილა და ტყუილად ასწავლიან შვილებს ევროპასა და ამერიკაში. თურმე ძველი განათლება უკეთესია; თურმე მთელი ინგლისურენოვანი ექიმები ვერ ახერხებენ იმდენს, რასაც ეს სამეული ახერხებს და ეს მათი კრახია, ეს მათი მარცხია, ეს ძია სოროსის მიწასთან გასწორებაა.

სამწუხაროდ, საქართველოში ვირუსით გარდაცვალების პირველი შემთხვევა უკვე აღირიცხა. ეს ჩვენთვის სამწუხაროდ, თორემ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, დასავლეთზე ორიენტირებულ პოლიტიკოსებს ეს ყველაფერი ძალიან ახარებთ. მათ არ სურთ ქვეყნის გამარჯვება, არ სურთ უმსხვერპლოდ გამოსვლა, რადგან **იციან, რაც მეტი მსხვერპლი იქნება, მით მეტი დახმარება წამოვა დასავლეთიდან და მით მეტ თანხებს ჩაიდებენ ჯიბეში. არასდროს, არასდროს არ ადარდებდათ მათ ადამიანთა ბედი, რიგითი ადამიანების ყოფა და ახლაც ასეა. ისინი ყოველთვის ილაშქრებენ ეკლესიის წინაშე, ნერვები ეშლებათ იმის გამო, რომ პატრიარქი ცოცხალია, რომ მრევლი გამრავლდა, რომ ექიმებიც კი უფალს ახსენებენ. თვითონ ულმერთოდ ცხოვრობენ და სურთ, ასევე იცხოვროს სრულიად საქართველომ.**

ჩვენი ექიმების პროგნოზით, გარდაცვალების ფაქტები კიდევ იქნება, რადგან მედიცინას უჭირს ვერაგი ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლა. ევროპაში ასეულობით ადამიანი კვდება ყოველდღიურად და ამ ფონზე **საქართველოს ბრძოლა მართლაც სამაგალითო და აღსანიშნავია. იმ საქართველოსი, რომლის სადარაჯოზეც საბჭოთა განათლებამიღებული ექიმები დგანან და ყველას უმტკიცებენ, რომ პროფესიონალები არიან. რომ არა ეს ვირუსი, ალბათ, ვერც ვერავინ გაიგებდა მათ უპირატესობას, მათ გამოცდილებასა და ცოდნას არავინ აღიარებდა და ისინი დარჩებოდნენ ჩასარეცხად განწირულ ადამიანებად, იმ ადამიანებად, რომელთა ჩარეცხვაც წინა ხელისუფლებამ სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა და ახლა ისევ იმავეს ცდილობენ. ამ ექიმების უკან საქართველოს მოსახლეობა დგას, სოროსის უკან — ჩერგოლეიშვილი და როგორ გგონიათ, ამ ბრძოლაში ვინ უნდა გაიმარჯვოს?**

**ბესო ბარბაქაძე**

„არ შეიძლება, ადამიანს დაუკეტო ტაძარი. წმინდა ზიარება ვერ იქნება სიკვდილის შემოტანის მიზეზი, რადგან ღმერთი არის სიცოცხლე. პური და ღვინო, რომელიც ლოცვების დროს გადაიქცევა ქრისტეს სისხლად და ხორცად, შეუძლებელია, შეიცავდეს მიკრობებს, ვირუსებსა და ბაქტერიებს. ვისაც ეს არ სწამს, შეუძლია, არ მივიდეს ტაძარში“.

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ვაჟა ოთარაშვილი: ტაძარი არ არის ენ-ჯე-ოს ოფისი, რომ დაკეტო. ტაძარი გულია, რომლის გაჩერებაც არ შეიძლება!

**ბოლო რამდენიმე დღეა, კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობის მატებასთან ერთად, ქვეყანაში მოქმედი აგრესიული ლიბერალური პროპაგანდა ეკლესიას ისევ აქტიურად უტევს. მადისკრედიტებელი კამპანია, რომელიც უკვე ერთგვარ ფსიქოზად იქცა, მრევლისა თუ სასულიერო პირების წინააღმდეგ ცილისმწამებლურ კრიტიკას არ იშურებს. მეტიც, ისმის ბრალდებები, რომ კონკრეტულ სასულიერო პირებს წმინდა სინოდში (საუბარია მაღალ იერარქებზე) მიზანმიმართულად არ სურთ ხელისუფლებასთან ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობა, რომ მათ ამ პროცესში თავიანთი სუბიექტური ინტერესები აქვთ და ადამიანების ჯანმრთელობაზე წინ ამ ინტერესებს აყენებენ; ისმის ბრალდება, რომ ზიარების წესის უცვლელად დატოვება, პრაქტიკულად, ხალხის გაწირვაა და შემდგომ დაავადების კიდევ უფრო ფართოდ გავრცელებაზე პასუხისმგებელი ეკლესია იქნება.**

რაც შეეხება კათოლიკოს-პატრიარქს, ამ დღეებში ქვეყნის ლიბერალური ელიტა საგანგებო მიმართვებს ავრცელებდა და ორ ფრონტზე ერთდროულად ცდილობდა ქულების ჩაწერას. ისინი, ერთი მხრივ, პატრიარქს სთხოვდნენ, „არ გაეწირა ხალხი“ და მოეწოდებინა მათთვის, ეკლესიაში სიარულისგან თავი შეეკავებინათ; მეორე მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოუწოდებდნენ, ძალის გამოყენებით დაეხურა ეკლესიები.

**ცნობისთვის:** ე. წ. გაერთიანებული ოპოზიციის რამდენიმე ლიდერმა რამდენიმე დღის წინათ ძალის გამოყენებით მღვდელმსახურების შეჩერების მოწოდებით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს. მათ შორის განსაკუთრებით აქტიურობდნენ „ევროპული საქართველოს“, „ნაციონალური მოძრაობის“, „რესპუბლიკური პარტიისა“ და „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლები.

**რა მიზანს ემსახურება დღეს ეპიდემიის გავრცელებაზე პასუხისმგებლობის ეკლესიაზე გადატანა და, ეპიდემიის მიუხედავად, რატომ არ უნდა შეჩერდეს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიებში ღვთისმსახურება, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება თეოლოგიის დოქტორი, პოეტი ვაჟა ოთარაშვილი.**

**— ბატონო ვაჟა, მსოფლიო კორონავირუსის ეპიდემიამ მოიცვა და ვხედავთ, რომ გარკვეული ძალები ამას თავიანთი ვიწრო პარტიული, იდეოლოგიური მიზნებისთვის იყენებენ. მაგალითად, „ნაცმოძრაობა“, „ევროპული საქართველო“, „რესპუბლიკელები“ და სხვები ეწევიან პროპაგანდას, რომ ეკლესია მიზანიმართულად არ თანამშრომლობს ხელისუფლებასთან და არ აჩერებს მღვდელმსახურებას, ამიტომ ვირუსის შემდგომ გავრცელებაზე პასუხისმგებელი საპატრიარქო იქნება. რა აზრის ხართ ამ ყველაფერზე? რაზეა ეს პროპაგანდა გათვლილი?**

— სამწუხაროდ, არავინ აანალიზებს შექმნილ ვითარებას: რატომ დაატყდა დედამიწას ეს განსაცდელი. დღეს არის აპოკალიფსური პერიოდი და ბოროტი, ფაქტობრივად, ამოსულია ჯოჯოხეთიდან. სწორედ ამ ბოროტი ძალის ბრძოლის შედეგია ეს ვირუსი და უზარმაზარი მსხვერპლი, რომელიც ამ ვირუსს მსოფლიოში მოჰყვა. აქვე ხაზგასასმელია ისიც, რომ ეს განსაცდელი კაცობრიობის გამოსაფხიზლებელია... ისე, საინტერესოა, რატომ არავის უჩნდება შეკითხვა: როგორ უმკლავდება ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო ამ მომაკვდინებელ ვირუსს, მაშინ, როდესაც მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები უძლურნი აღმოჩნდნენ და ვერაფერს აკეთებენ? ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, ესპანეთი, ფაქტობრივად, კოლაფსში არიან.

**— რა არის ამ ყველაფრის მიზეზი?**

— ქართველ მართლმადიდებელ ექიმებს სწორედ უფალი აძლევს იმ ჯადოსნურ ძალას, რომ მაქსიმალურად გაუმკლავდნენ ეპიდემიას და განკურნონ ვირუსით დაავადებული ადამიანები. თუმცა, აქ არის მათი უდიდესი თავდადებაც და პროფესიონალიზმიც, რომლისთვისაც დიდი მადლობა ამ მართლა გმირ ხალხს. აი, ეს არის რეალობა. დარწმუნებული ვარ, რომ ღვთის შეწევნით ისინი კიდევ უამრავ ადამიანს გადაარჩენენ.

რაც შეეხება პროპაგანდას, რომ თურმე ეკლესია ჯიბრში უდგას ხელისუფლებას და ამიტომ არ არის ტაძრებში ღვთისმსახურება შეჩერებული, პირველ რიგში, **არ მომეწონა ის, რომ გამოვიდა პრემიერმინისტრი და განაცხადა: საალდგომო ლიტურგიას ტელეეკრანზე ვუყურებო. შენ გინდა, სახლიდან უყურე, გინდა, სარდაფიდან და გინდა, სამზარეულოდან, მაგრამ სხვას ნუ უწევ აგიტაციას, რომ არ წავიდეს ტაძარში.** ზუსტად ამ ხალხის გასაგონად მინდა ვთქვა, რომ **ჩვენ ის ერი ვართ, რომელმაც კალას ხიდზე ფეხი არ დააბიჯა მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატებს და 100 ათასი კაცი ამისთვის ეწამა... პირიქით, მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს საპატრიარქოს, რათა მოხდეს ეკლესიაში ყველა ნორმის დაცვა, და უნდა მოხდეს დახმარება ტექნიკურადაც.** ამას იმიტომ ვამბობ, რომ დღეს, სამწუხაროდ, უამრავი ღარიბი ეკლესიაა, რომლებსაც არ აქვთ თუნდაც ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობის დამონტაჟების საშუალება, არ აქვთ სადეზინფექციო ხსნარები და ა.შ. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ საგანგებო რეჟიმის პირობებში გართულებულია ქვეყნის მასშტაბით გადაადგილება და მრევლს ძალიან უჭირს ტარძებში მისვლა.

**— უმჯობესია, ხელისუფლებამ უზრუნველყოს მრევლის მიყვანა ტაძრებში?**

— რა თქმა უნდა. და ეს სავსებით შესაძლებელია იმ გაჩერებული მუნიციპალური ავტობუსებით, რომლებიც საგანგებო მდგომარეობის გამო, უკვე რამდენიმე კვირაა, გარაჟებში აყენია. ვისაც ტაძარში მისვლა უნდა, მაინც მივა და მას ვერანაირი საგანგებო მდგომარეობა ვერ შეაჩერებს. ამიტომ არის უმჯობესი ამის ორგანიზება და ის არის, რომ გამოვიდნენ მთავრობის წევრები და იძახონ: ჩვენ სახლებიდან ვუყურებთო.

**— წმინდა სინოდმა ზიარების წესი უცვლელად დატოვა. მოდი, კიდევ ერთხელ ავუხსნათ მკითხველს, რატომ არის ამ საიდუმლოს უცვლელობა აუცილებელი, რატომ იჩენს საპატრიარქო პრინციპულობას ამ საკითხის მიმართ.**

— ზიარება უდიდესი და უპირველესი საიდუმლოა ქრისტიანისთვის, რადგან ეს არის ზიარება ქრისტეს სისხლთან და ხორცთან... სხვათა შორის, ამ დღეებში სოციალურ ქსელში გავრცელდა გორისა და ატენის მიტროპოლიტის, მეუფე **ანდრიას (გვაზავას)** ზიარების საიდუმლოს მოკლე, უზუსტესი და უბრწყინვალესი შეფასება. **არ შეიძლება, ადამიანს დაუკეტო ტაძარი. წმინდა ზიარება ვერ იქნება სიკვდილის შემოტანის მიზეზი, რადგან ღმერთი არის სიცოცხლე. პური და ღვინო, რომელიც ლოცვების დროს გადაიქცევა ქრისტეს სისხლად და ხორცად, შეუძლებელია, შეიცავდეს მიკრობებს, ვირუსებსა და ბაქტერიებს. ვისაც ეს არ სწამს, შეუძლია, არ მივიდეს ტაძარში.**

რაც შეეხება ფსევდოლიბერალებს, რომლებიც 24-საათიან რეჟიმში ქირქილებენ იმაზე, რომ თურმე საალდგომო ლიტურგია ეპიდემიის მასშტაბებს გააფართოვებს, **ეპიდემია და უბედურება არის მათი იდეოლოგია, რომელიც ადამიანს ფიზიკურად ანადგურებს; ეპიდემია არის დასავლური სოროსისტული ნეოლიბერალიზმი, რომელიც ადამიანს აბსოლუტურად უსუსურსა და დაუცველს ხდის, მათ შორის დღეს არსებული პანდემიის მსგავსი უბედურებების წინაშეც.** ამის ნათელი მაგალითია ე.წ. დემოკრატიული დასავლეთი თავისი ლიბერალური მიდგომებით. ისე, **თუ ვინმეს ჰგონია, რომ იმ ხალხს, რომელსაც ერთი სული აქვს, ეკლესიის კარი დაიხუროს, ადამიანების ჯანმრთელობა ადარდებს, ძალიან ცდება. ამ ხალხის ერთადერთი მიზანი ეკლესიის, როგორც ქვეყნის ყველაზე მძლავრი და ავტორიტეტული ინსტიტუტის, დისკრედიტაციაა. ფაქტია ისიც, რომ ამ უმძიმესი განსაცდელის პირობებში ადამიანები კიდევ უფრო უახლოვდებიან უფალს და უფრო მეტმა ადამიანმა დაიწყო ტაძარში სიარული.**

**— ხშირად ისმის, მათ შორის ხელისუფლების წარმომადგენლებისგანაც, განცხადებები, რომ მნიშვნელობა არ აქვს, ჭეშმარიტი მორწმუნე სახლში ილოცებს თუ ტაძარში. თქვენ, როგორც თეოლოგიის დოქტორი, რას ფიქრობთ ამ მოსაზრებაზე?**

— სახლი ყველას აქვს, მაგრამ უფლის სახლი ერთია და ეს არის ტაძარი. ტაძარში ლოცვისას ადამიანზე გადმოდის სულიწმინდის მადლი, ამიტომ არ შეიძლება, ადამიანებს მოუწოდო, რომ არ მივიდნენ ეკლესიაში. სხვათა შორის, 1615 წელს **შაჰ-აბასმა,** ქრისტიანობის ერთ-ერთმა სასტიკმა მტერმა, გააკეთა ასეთი რამ: რაჭაში, მრავალძალის წმინდა გიორგის სახელობის სასწაულმოქმედ ეკლესიაში დაკიდა ხმალი, რომელსაც ეწერა, რომ, ვინც ტაძარში შევიდოდა, იმ ხმლით განიგმირებოდა. იცით, რა მოხდა? პირველი **გიორგი სააკაძე** შევიდა. იმის შემდეგ მრევლი არ გამოლევია მრავალძალის ეკლესიას. ამით იმის თქმა მინდა, რომ ქართველი ერი, რომელიც არ შეუშინდა **შაჰ-აბასს, ჯალალ ედდინს, მურვან ყრუს, თემურ ლენგსა** და ქრისტიანობის სხვა სასტიკ მდევნელებს, რა თქმა უნდა, არ შეუშინდება ლიბერალების დამცინავ კიჟინს იმის თაობაზე, რომ ტაძრები უნდა დაიკეტოს. ტაძარი არ არის „ენ-ჯე-ოს“ ოფისი, რომ დაკეტო. ტაძარი ქვეყნის გულია, რომლის გაჩერებაც არ შეიძლება... **კიდევ ერთხელ მოვუწოდებ საქართველოს მთავრობას, ხელი შეუწყოს მრევლის მისვლას საალდგომო წირვაზე. არავითარი კომენდანტის საათი! როგორ შეიძლება აღდგომის დღესასწაულის გადატანა, უდიდესი ღვთიური მისტერიისა...**

**— და მაინც, თუ მოხდება ისე, რომ საალდგომო წირვაზე მიმავალ მრევლს პრობლემა შეექმნება, ვთქვათ, დაიჭერენ ვინმეს ან დააჯარიმებენ, რა შეიძლება ამას მოჰყვეს?**

— ასეთ შემთხვევაში ხელისუფლება სამარცხვინოდ დაასრულებს არსებობას. ამაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, იმიტომ, რომ უფლის წინააღმდეგ მიმავალ გზაზე საქართველოში არც ერთ ხელისუფლებას არ გაუმარჯვია. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და იმ ადამიანებს, რომლებსაც ერთი კოვზით ზიარების ეშინიათ, შევახსენებ, რომ იტალიაში, ტურინის საკათედრო ტაძარში, არის სუდარა, რომელშიც ჯვარცმის შემდეგ გაახვიეს უფალი. ამ სუდარაზე მეცნიერული კვლევაა ჩატარებული და მასზე სისხლიც იპოვეს. სხვათა შორის, ჯგუფიც არის დადგენილი. იცით, სასწაული რა არის? ამდენი საუკუნის შემდეგ, მოგეხსენებათ, 20 საუკუნე გავიდა, სისხლის შემადგენლობა უცვლელია. ანუ, არანაირი ბაცილა, არავითარი ბაქტერია და რამე, ისე იყო შენარჩუნებული, თითქოს ორი წუთის წინ აღებული სისხლია. მე იმის თქმა მინდა, რომ შეუძლებელია, სიწმინდე, ხატი, ჯვარი, ფრესკა, უფლის სიხლი და ხორცი იყოს ბაქტერიის გადამტანი, ამიტომ არის პრინციპულად მნიშვნელოვანი, რომ, ვისაც ამის სწამს, არ დაუკეტონ ტაძრები. ეს არის და ეს. მრევლს რაც შეეხება, მინდა, მოვუწოდო ყველას, რომ დაიცვან ექიმების რეკომენდაციები, დაიცვან დისტანცია, ჰიგიენური ნორმები, გამოიყენონ პირბადეები და ხელთათმანები, მაგრამ ეკლესიაში წასვლის ნუ შეეშინდებათ. ეკლესიიდან ვირუსსა და ბაქტერიას კი არ წამოიღებთ, არამედ უფლის მადლს. უფალს კი, რა თქმა უნდა, ყველამ უნდა შევთხოვოთ, რომ გადარჩეს საქართველო.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

> «მოვუწოდებ საქართველოს მთავრობას, ხელი შეუწყოს მრევლის მისვლას საალდგომო წირვაზე. არავითარი კომენდანტის საათი! როგორ შეიძლება აღდგომის დღესასწაულის გადატანა, უდიდესი ღვთიური მისტერიისა»

> ეპიდემია არის დასავლური სოროსისტული ნეოლიბერალიზმი, რომელიც ადამიანს აბსოლუტურად უსუსურსა და დაუცველს ხდის, მათ შორის დღეს არსებული პანდემიის მსგავსი უბედურებების წინაშეც

ავი მესაიფი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან დასავლეთის ქვეყნების ხელისუფლებებში ნელ-ნელა მოვიდნენ უმცირესობები, რომლებსაც დღეს ნეოლიბერალებს ვუწოდებთ. ამ ანტიქრისტეების ტრიუმფალური აღმასვლა მაშინ დაიწყო, როდესაც 1992 წელს გაეროს შესაბამისმა უწყებამ მამათმავლობა დაავადებების სიიდან ამოიღო, ხოლო ქალ-ვაჟის სიყვარულს ფსიქიკური გადახრა უწოდა და ღმერთის მიერ ადამიანისთვის ბოძებული სიყვარულის ნიჭის მაქსიმალურ ვადად 4 წელიწადი დაადგინა.**

# კორონავირუსი დაავადებაა თუ ადამისა და ევას ნაშიერთა უკანასკნელი გაფრთხილება?

**ტელევიზორს ჩართავ — კორონავირუსი, რადიოშიც — 24-საათიან რეჟიმში კორონავირუსი; სახლში მივალ და ჩემი ცოლი ოთახში არ მიშვებს, სანამ ფეხსაცმელს არ გავიხდი და ჯიბეებს ამომიტრიალებს (ისე, რომ მსგავსი „შმონი“ გლდანის ციხის „ნადზირატელებს“ შეშურდებოდათ), ემანდ კორონავირუსის შესაძლო გადამტანი რაიმე (ცხვირსახოცი, სიგარეტი და ა.შ.) ნივთი არ მქონდეს; მერე ერთ ვედრო სპირტს გადამავლებს თავ-პირზე და მხოლოდ ამის შემდეგ მაქვს უფლება ოთახში შესვლისა და დივანზე წამოწოლისა. მოკლედ, რომ იტყვიან, სახლში მისვლა შემაზარა ამ ყოველი მხრიდან კორონავირუსმა, რომელსაც მსოფლიოში შემზარავი სურათის ფონზე ჩვენი ექიმების მაღალი პროფესიონალიზმისა და, პირველ რიგში, უფლის წყალობით ჯერჯერობით წარმატებით უმკლავდება პატარა საქართველო.**

სიტყვამ მოიტანა და, ჭეშმარიტად გმირი ქართველი სამედიცინო პერსონალის თავკაცებს, „საზიზღარი“ სსრკ-ის უმაღლეს სასწავლებლებსა და კლინიკებში განათლებამიღებულ და პრაქტიკაგამოვლილ **ამირან გამყრელიძეს, თენგიზ ცერცვაძესა** და **პაატა იმნაძეს** მსოფლიოსთვის ამ მძიმე დღეებში საკონსულტაციოდ და გამოცდილების გასაზიარებლად ხშირად უკავშირდებიან უმდიდრესი ქვეყნებიდან (ერთი შეხედვით პარადოქსია, არა? მაგრამ ამაზე — ქვემოთ) მათი კოლეგები, რაც საამაყო ამბავია. სწორედ ამიტომ სარგებლობენ ჩვენი მედიკოსები საყოველთაო პატივისცემით (ლიბერასტი „ჟურნალისტებისა“ და მათივე ჯიშ-ჯილაგის „პოლიტიკოს ექსპერტთა“ და ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების, სახალხო დამცველისა და სხვა ნეოლიბერალების გარდა), რაც მადლიერმა ქართველმა ხალხმა მანამდე უპრეცედენტო აქციით გამოხატა, როდესაც თბილისელებმა 18 მარტს, 21 საათზე, აივნებიდან ერთდროულად ისეთი ტაში დაცხეს, თავი საბურთალოზე კი არა (სადაც თქვენი მონა-მორჩილი ვცხოვრობ), იმ „დინამოს“ სტადიონზე მეგონა, რომელზეც ქართველი ფეხბურთის ვარსკვლავები დიდ ფეხბურთს თამაშობდნენ.

ეს მცირე ლირიკული გადახვევა, ქართველთა დღევანდელი მწარე ვითარების მცირე ხნით დასავიწყებლად, თორემ რა დროს ფეხბურთია, თუნდაც დიდი ფეხბურთი, როცა სამშობლო თავზე გვექცევა და არა მხოლოდ კორონავირუსის გამო.

ვირუსს, ადრე თუ გვიან, მაინც დავამარცხებთ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მედიცინის მუშაკთა პროფესიონალიზმის, თავგანწირვისა და, უპირველეს ყოვლისა, უფლის შეწევნით...

**როგორი იქნება კორონავირუსის პანდემიის დამარცხების შემდეგ მსოფლიო? სად იქნება და, საერთოდ, თუ იქნება ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს ადგილი?**

ამ კითხვას ემიგრაციაში გარდაცვლილი, ლევილის სასაფლაოზე დაკრძალული, ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი სიმონიკა ბერეჟიანის ლექსით გავცემ პასუხს...

**„ვარ საქართველოს გულდამწვარი ჭირისუფალი,**
**ერის ბრწყინვალე მომავალით, მსურს, გავიხარო,**
**თუ საქართველო არ მეყოლა თავისუფალი,**
**დე მტვრადქცეული დამენახოს მთელი სამყარო!“**

ბოლო პატარა აბზაცში რამდენიმე ისეთი კითხვა გაჩნდება, რომლებიც ყველა გემოვნების მკითხველში ჰპოვებს გამოხმაურებას. ზოგი შემაჩვენებს პესიმიზმის გამო; ზოგსაც (ტაშს თუ არ დამიკრავს), სულ ცოტა, ჩააფიქრებს თქვენი მონა-მორჩილის მიერ დასმული ფატალური კითხვები.

ფატალიზმი სამი კატეგორიისაა: მითოლოგიური, რელიგიური და რაციონალისტური, რომელთა გამოც დისპუტის აუცილებლობას აქ ვერ ვხედავ. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ რელიგიური ფატალიზმის მიმდევარი ვარ — მწამს, რომ ღმერთის ნების გარეშე არაფერი არ ხდება და არ მოხდება, მათ შორის კორონავირუსის პანდემიაც. არ ვიცი, იქნებ ამიტომაც ამ დღეებში ჩვენი სასიქადულო პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის სიტყვები ამეკვიატა, რომ მეორედ მოსვლამდე მცირე დრო, შეიძლება დღეებიც არის დარჩენილიო და მრევლს ამ დღისთვის მზადყოფნისკენ მოუწოდა.

მართალია, ფატალისტი ვარ, მაგრამ არა ფანატიკოსი და კორონავირუსის ირგვლივ შეთქმულებების ნაკლებად მჯერა. ზოგი ამერიკელებს აბრალებს ამ ვირუსის შექმნას და ზოგიც — ჩინელებს, რომლებსაც კორონავირუსის ანტიდოტი ხელთ აქვთ და საჭირო დროს (ნახევარი მსოფლიო რომ გაწყდება) გამოაჩენენ. მაშინ კორონავირუსი ისევე მოულოდნელად გაქრება, როგორც გაჩნდა და ა.შ.

შეთქმულების თეორიებს თავი დავანებოთ და იმ ფაქტებიდან გამომდინარე ვიმსჯელოთ და ვიკამათოთ, რომლებიც, როგორც იტყვიან, ზედაპირზე დევს.

საზოგადოდ, მსოფლიოს მოსახლეობის უმრავლესობა ტრადიციული, ეროვნული, პატრიოტული ღირებულებებისა თუ ფასეულობების მიმდევარია — ე.წ. ტრადიციული რელიგიების (მართლმადიდებლობა, იუდაიზმი, მაჰმადიანობა, კათოლიციზმი) მიმდევარი, ანუ თავისი არსით კონსერვატიული.

სამწუხაროდ, **გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან დასავლეთის ქვეყნების ხელისუფლებებში ნელ-ნელა მოვიდნენ უმცირესობები, რომლებსაც დღეს ნეოლიბერალებს ვუწოდებთ. ამ ანტიქრისტეების ტრიუმფალური აღმასვლა მაშინ დაიწყო, როდესაც 1992 წელს გაეროს შესაბამისმა უწყებამ მამათმავლობა დაავადებების სიიდან ამოიღო, ხოლო ქალ-ვაჟის სიყვარულს ფსიქიკური გადახრა უწოდა და ღმერთის მიერ ადამიანისთვის ნაბოძები სიყვარულის ნიჭის მაქსიმალურ ვადად 4 წელიწადი დაადგინა.**




**ვირუსული დაავადებები საქართველოს (მსოფლიოსაც) ისტორიამ ბევრი იცის. უბრალოდ, ადრე მედიცინის დაბალი დონე იყო და გრიპი თუ ანგინა არავინ იცოდა, რა იყო. შესაბამისად, არც ტერმინოლოგია არსებობდა, ამიტომ ნებისმიერი სახის ეპიდემიას ერთ სახელს — ჭირს უწოდებდნენ, მაგრამ იმ «ბნელ» დროსაც კი თავში არავის მოსვლია აზრად, ადამიანებისთვის მოეწოდებინა, ეკლესიებში არ მიხვიდეთო. თანაც, ვინ მოუწოდებს ხალხს ამისკენ? — გიგა ბოკერია და მისი მსგავსნი, რომლებსაც ეკლესიასთან ახლოსაც კი არ ჩაუვლიათ და პირჯვრის გადაწერაც არ იციან**

ამის შემდეგ შეიქმნა აქტუალური ლგბტ მიმდინარეობები, ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინებები, იუვენალური იუსტიცია და ღვთის განმარისხებელი სხვა გარყვნილებები. Lლგბტ პირებმა და მათმა თანამგრძნობებმა ნელ-ნელა სახელისუფლო სტრუქტურებშიც მოიპოვეს უმრავლესობა და აგერ უკვე 30 წელიწადია, კონსერვატიული დასავლეთის მოსახლეობის უმრავლესობას უმცირესობის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული სახელისუფლო სტრუქტურები მართავენ.

დასავლეთის წამყვან ქვეყნებში უკვე აღარავის უკვირს ლგბტ ქალაქის მერები, მინისტრები, ელჩები. ლუქსემბურგის პრემიერი გეია, რომელიც დაქორწინებულია გეიზე და თავის წვერულვაშიან „პირველ ლედისთან“ ერთად ყოველგვარი უხერხულობის გარეშე დადის ოფიციალური ვიზიტებით სხვადასხვა ქვეყანაში და ასევე ურცხვად მასპინძლობენ სხვა ქვეყნების ჰეტეროსექსუალ პირველ პირებს...

ეს ნეოლიბერალები კორონავირუსით ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერას ცდილობენ მართლმადიდებელ ეკლესიასთან ბრძოლით, რომელსაც საქართველოს ეკლესიის მაგალითზე განვიხილავთ. ამ არასამთავრობო ორგანიზაციების „რეკომენდაციების“ მთავარი მიზანი კორონას დამარცხება კი არა, საქართველოს ეკლესიებში წირვების აკრძალვა და, საბოლოო ჯამში, ეკლესიების საერთოდ დაკეტვა.

ვირუსული დაავადებები საქართველოს (და მსოფლიოს) ისტორიამ ბევრი იცის. უბრალოდ, ადრე მედიცინის დაბალი დონე იყო და, გრიპი თუ ანგინა არავინ იცოდა, რა იყო და, შესაბამისად, არც ტერმინოლოგია არსებობდა, ამიტომ ნებისმიერი სახის ეპიდემიას ერთ სახელს — ჭირს უწოდებდნენ, მაგრამ იმ „ბნელ“ დროსაც კი თავში არავის მოსვლია აზრად, ადამიანებისთვის მოეწოდებინათ, ეკლესიებში არ მიხვიდეთო. თანაც, ვინ მოუწოდებს ხალხს ამისკენ? — გიგა ბოკერია და მისი მსგავსნი, რომლებსაც ეკლესიასთან ახლოსაც კი არ ჩაუვლიათ და პირჯვრის გადაწერაც არ იციან.

არ ვიცი, რა და როგორ იქნება, მაგრამ მოახლოვებული აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის დღეს მე ვერ წარმომიდგენია ლიტანიის გარეშე ჯვარი და სვეტიცხოველი, სამება თუ ანჩის ხატი და ა.შ.

რაც შეეხება ზიარების წესის შეცვლას, ეს რწმენის ამბავია და გამორიცხულია, რომ ზიარების ღვინოში რაიმე ბაქტერია იყოს, რადგან ის იმ წუთში მორწმუნე ადამიანისთვის ქრისტეს სისხლია.

**ეკლესიისა და პირადად პატრიარქის დისკრედიტაცია — აი ჭეშმარიტი მიზანი ბოკერიებისა. პირველს ციანიდის სკანდალითა და მეუფე პეტრეს გამყიდველობით ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც, მაგრამ პატრიარქის სახელს ვერაფერი დააკლეს. სწორედ ეს აგიჟებთ და აცოფებთ ბუდარა და ბუდარიხა ხლისტებს.**

ახლა გთავაზობთ, 5 აპრილის მონაცემებით, კორონავირუსით დაღუპულთა მიხედვით, ლიდერი ქვეყნების პირველ ხუთეულს და წაკითხულიდან დასკვნები ერთად გამოვიტანოთ ***(იხ. ცხრილი).***

| | ქვეყანა | ინფიცირებულთა რაოდენობა | გარდაცვლილთა რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | აშშ | 367 650 | 10 943 |
| 2. | ესპანეთი | 140 510 | 13 798 |
| 3. | იტალია | 132 547 | 16 523 |
| 4. | გერმანია | 103 375 | 1810 |
| 5. | საფრანგეთი | 98 010 | 8911 |

შემდეგ მოდის ჩინეთი, ირანი, დიდი ბრიტანეთი, თურქეთი და ათეულს კეტავს შვეიცარია. დააკვირდით პირველ ხუთეულს. ეს ქვეყნები დასავლეთის უმდიდრესი და ამასთანავე, უგარყვნილესი ქვეყნებია, რომლებიც ლგბტ პირების სამოთხეა.

**ამას წინათ, როდესაც პარიზის ღვთისმშობლის დიდებული ტაძარი ნაცარტუტად იქცა, ჩემნაირმა ფატალისტებმა ღვთის მინიშნება-გაფრთხილებად მივიღეთ, პასუხად კი ნეოლიბერასტებმა დამცინავად იქირქილეს. და აჰა, კაცობრიობისთვის მეორე მინიშნება-გაფრთხილება: ღვთის უარყოფის გზას თავი ვანებოთ, თორემ მესამე აღარ იქნება.**

მესამე, როგორც ჩვენი ბრძენი პატრიარქი ღაღადებს, მეორედ მოსვლა იქნება, რადგან უფალმა ადამი და ევა გააჩინა და არა გიგა და გიგო...

**დავით მხეიძე**

**P.S. თუ დააკვირდებით, კორონავირუსით დაზარალებულთა სიაში ლიდერებთან ახლოსაც არ არიან პოსტსაბჭოთა ქვეყნები. ნეტავ, რატომ ასეთი „უსამართლობა“? თუმცა ეს სხვა თემაა.**



**უკვე საჯაროდ აღიარეს „ლიბერასტების“ ქართველმა მამებმა და დედებმა, — ვერ ვხედავთ ვერანაირ პრობლემას იმაში, რომ ამ ქვეყნიდან ქართველები წავიდნენ, სხვა ქვეყნებში გადანაწილდნენ, ხოლო სხვა ქვეყნებიდან აქ გადმონაწილდეს ხალხი და სრულიად მულტიკულტურულ სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდეთ. არაფერია ტრაგიკული იმაში, რომ საქართველოში დანარჩენ ეროვნებებზე ნაკლები ქართველი ცხოვრობდეს, პირიქით, ეს ძალიანაც კარგიაო.**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვის და რატომ სურს «კოვიდ 19»-ის ვირუსზე მეტად ეკლესიის დამარცხება?

**სათაურში გამოტანილი შეკითხვა არც ისე უაზროდ და უადგილოდ მოგეჩვენებათ, თუ ყურადღებით გადაავლებთ თვალს დღევანდელი მსოფლიოს ნომერ პირველ მტრად აღიარებული კორონავირუსის ახალი სახეობის — „კოვიდ 19“-ის — გამოჩენის, გავრცელებისა და მის გარშემო განვითარებული მოვლენების ისტორიას საქართველოში.**



მას შემდეგ, რაც გამოცხადდა, რომ მსოფლიოს ახალი გამოწვევა დაატყდა თავს, პირველი, რისი დახურვა, აკრძალვა და ჩარაზვაც ქართველი საზოგადოების "პრადვინუტმა" ნაწილმა კატეგორიულად მოითხოვა, მართლმადიდებლური ეკლესიები იყო. ხაზს ვუსვამ, მართლმადიდებლური ეკლესიები, რადგან იმ ადამიანების პრეტენზიებში, რომლებიც ვირუსის გავრცელების ძირითად კერებად რელიგიურ მსახურებას ასახელებდნენ, არც ერთხელ არ ყოფილა ნახსენები არც კათოლიკური მრევლი, არც სინაგოგა, არც მეჩეთი და არც რომელიმე სხვა რელიგიური კონფესია თუ მიმდინარეობა; რაც ყველაზე საყურადღებოა, არც ერთ მათგანს არ მოუთხოვია ბარების, რესტორნების, ღამის კლუბების, კაზინოებისა თუ სხვა გასართობი დაწესებულებების დახურვა. აგრესიის ძირითადი ობიექტი გამოკვეთილად მხოლოდ და მხოლოდ ქართული მართლმადიდებლური ტაძრები იყო!

აბა, გაიხსენეთ, თებერვლის ბოლოდან ყველაზე ხშირად რომელ სიტყვებს ახსენებდნენ ქართულ სოციალურ თუ ჩვეულებრივ მედიაში? — **„კოვიდ 19“** და **„ზიარების კოვზი“.** გეგონება, ვირუსი არაფრის დიდებით არ გადავიდოდა ადამიანიდან ადამიანზე **რესტორნებში,** სადაც გაცილებით მეტი უცხოელი ტურისტი დადის, ვიდრე ქართულ ტაძრებში წირვაზე. „კორონაც“ ხომ სწორედ უცხოეთიდან შემოვიდა. გეგონება, ვირუსის გავრცელების ნაკლები საშიშროება იყო **ღამის კლუბებში,** სადაც გართობისას ახალგაზრდობა, ძირითადად, ერთი „პლასტმასის ბოთლიდან“ „ანაფაზებს“ მარიხუანას. არა, მთავარი აქ ზიარების კოვზი იყო და ახლაც, დარწმუნებული ვარ, **მთავრობამ ყველა კაზინო, ყველა ღამის კლუბი, ბარი და რესტორანი რომ გახსნას და იქ ხალხი თავზე აჯდეს ერთმანეთს, ეს „ლიბერასტი“ ფენა საზოგადოებისა ხმას არ ამოიღებს. სამაგიეროდ, შენიშნავენ თუ არა, რომ ეკლესიაში ვინმე ორ მეტრზე ოდნავ ახლოს დადგა ვინმესგან, იმ წამს განგაშის ზარები ატყდება — არიქა! ეკლესია ხალხს სიბნელისკენ მიაქანებს და ცივილიზაციის მოთხოვნებს უგულებელყოფსო.** სხვა რაღა უნდა ვთქვათ, როდესაც ექიმი, რომელიც ქართველმა ხალხმა ამ ძნელბედობისას ასე შეიყვარა, საზოგადოების ამ ნაგავმა ნაწილმა მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის დააბულინგა, რომ მან ერთ-ერთ სატელევიზიო კომენტარში პატრიარქი დადებითად მოიხსენია.

**„მე, როგორც მორწმუნე მართლმადიდებელი, დაველოდები, რაზე იქნება პატრიარქის კურთხევა და ისე მოვიქცევი“.** ეს სიტყვები არ აპატიეს **მარინა ეზუგბაიას** და ატყდა მის წინააღმდეგ საშინელი დამამცირებელი კამპანია.

**ეკა კვესიტაძემ, თამარა ჩერგოლეიშვილმა** და მისთანებმა კომპეტენციაც კი დაუწუნეს საუკეთესოდ აღიარებულ ექიმს. „მე რომ დაავადება დამემართოს და ვიწვე პალატაში, დავინახო რომ შემოვიდა ექიმი, რომელიც პირჯვარს იწერს, სრული უიმედობა დამემართება“, — დაწერა „ფეისბუკში“ თამარა ჩერგოლეიშვილმა.

„როგორ შეიძლება ექიმი პატრიარქის იმედზე იყოს“, „ამ ქალს თავისი ცოდნისა და გამოცდილების იმედი აქვს თუ ღმერთის, რომლის არსებობა ბევრი საუკუნეა ვერავინ დაამტკიცა?“ — და სხვა ასეთი ამაზრზენ-მკრეხელური ფრაზების დაბრეხვებაში ერთმანეთს ეჯიბრებოდა „ლიბერასტთა“ სექტა.

საინტერესოა, თუ ღვთისნიერი და პირჯვრის გადამწერი არა, აბა, როგორი უნდა იყოს, მათი აზრით, ექიმი? ჯვრის ნაცვლად სატანისტურ ატრიბუტიკას უნდა ატარებდეს, პალატაში შესვლისას კატას უნდა ატყავებდეს და თეთრის ნაცვლად შავი ხალათი ეცვას? ასეთი ექიმის დანახვისას დაეუფლებათ მათ იმედიანი განწყობა?

არ მინდა, ბოროტი ვიყო და ვინმეს ავად გახდომა ვუსურვო, მაგრამ ისინი აშკარად ღირსები არიან, ავადობის შემთხვევაში ასეთი ექიმების ხელში ჩავარდნენ. მე პირადად კი, ღმერთმა დამიფაროს და, თუკი რაიმე სერიოზული დაავადება შემხვდა, სწორედ **მარინა ეზუგბაიასნაირ** ღვთისმოშიშ, თბილ და გულისხმიერ ექიმს ვისურვებდი, რომელსაც, გარდა თავისი პროფესიონალიზმისა, უფლის მფარველობისა და დახმარების იმედიც აქვს, რადგან ეს ექიმის განწყობაზეც აისახება და, ვფიქრობ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ექიმის ცოდნასა და გამოცდილებასთან ერთად.

ეს ერთი.

და მეორე — ექიმ მარინა ეზუგბაიას ეს სიტყვები სწორედ იმ შინაარსსაც მოიცავს, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ჭკვიანი და გონიერი ადამიანია და ის კურთხევას ისეთ რამეს არ მიცემს, რაც მრევლისთვის და, საზოგადოდ, მოსახლეობისთვის საშიში და ზიანის მომტანი იქნება.

**მთავრობამ ყველა კაზინო, ყველა ღამის კლუბი, ბარი და რესტორანი რომ გახსნას და იქ ხალხი თავზე აჯდეს ერთმანეთს, ეს «ლიბერასტი» ფენა საზოგადოებისა ხმას არ ამოიღებს. სამაგიეროდ, შენიშნავენ თუ არა, რომ ეკლესიაში ვინმე ორ მეტრზე ოდნავ ახლოს დადგა ვინმესგან, იმ წამს განგაშის ზარები ატყდება — არიქა! ეკლესია ხალხს სიბნელისკენ მიაქანებს და ცივილიზაციის მოთხოვნებს უგულებელყოფსო. სხვა რაღა უნდა ვთქვათ, როდესაც ექიმი, რომელიც ქართველმა ხალხმა ამ ძნელბედობისას ასე შეიყვარა, საზოგადოების ამ ნაგავმა ნაწილმა მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის დააბულინგა, რომ მან ერთ-ერთ სატელევიზიო კომენტარში პატრიარქი დადებითად მოიხსენია**



**შეამჩნევდით, ალბათ, რომ, როდესაც უკვე აკრძალვები რესტორნებს, ბარებსა და მასობრივი თავშეყრის სხვა ადგილებსაც შეეხო და შემდგომ უკვე საქართველოს პატრიარქმაც სრულიად კეთილგონივრულად კურთხევა მისცა მრევლს, — ტაძრებს გარეთ, ეზოებში დასწრებოდნენ წირვას შესაბამისი დისტანციების დაცვით, ამან როგორ დაბოღმა და „ამოაგდო ნიფხვებიდან“ ლიბერალები.**

მათი მოლოდინი აშკარად იყო ის, რომ ეკლესია მიიღებდა არაადეკვატურ გადაწყვეტილებას ან მრევლს მოუწოდებდა, არ დაეცვა დისტანცია და ა.შ., მაგრამ, როცა ეს მოლოდინი არ გამართლდა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ღირსეულად და სწორად მოიქცა, გამწარებული ლიბერასტების შხამი საქართველოს პატრიარქის მიმართ ერთი-ორად გაიზარდა.

საინტერესოა „ლიბერასტების“ მიდგომა ამ საკითხში მთავრობისა და ხელისუფლების მიმართაც. ისინი აშკარა გაღიზიანებას გამოხატავდნენ იმის გამო, რომ მთავრობა ცდილობდა მოლაპარაკებებით, შეხვედრებით, ურთიერთდათმობებით მოეგვარებინა სხვადასხვა საკითხი ეკლესიასთან. ლიბერასტული სექტა პირდაპირ მოითხოვდა ეკლესიების, ფაქტობრივად, ძალისმიერი მეთოდებით დაკეტვას და, ერთ-ერთი მათგანის სიტყვებით რომ ვთქვათ, **„იქიდან მღვდლების წიხლებით გამოყრას“.**

ცალკე აღსანიშნავია მათი სულელური გამოთქმებიც. მაგალითად, ცნობილმა ლგბტ-აქტივისტმა **გიგა მაქარაშვილმა** საკუთარ სოციალურ ქსელში ატვირთა ორი ფოტო: ერთზე ასახულია, როგორ ასხურებენ ნაკურთხ წყალს მღვდლები თბილისის ქუჩებში, ხოლო მეორე ფოტოზე — როგორ რეცხავენ ამავე ქუჩებს სპეციალური მანქანების გამოყენებით საპნითა და სადეზინფექციო ხსნარით შესაბამისი სამსახურები.

მაქარაშვილმა ამ ფოტოებს ასეთი წარწერა გაუკეთა: **„ნახეთ, ორი კვირა აცადეს მხოლოდ და, ნაკურთხმა წყალმა რომ ვერ უშველა, საპნით გადარეცხეს“.** ამ ირონიულ კომენტარში ავტორი, თავისი ჭკუით, წყლის კურთხევას დასცინის, სინამდვილეში კი საკუთარ სისულელეს ამჟღავნებს.

როგორც ჩანს, მაქარაშვილს ჰგონია, რომ, სადაც წყალს ასხურებენ, ის იქ კვირების განმავლობაში რჩება ასფალტსა და სხვა ზედაპირზე და მერე იმის გარეცხვა რელიგიურად აკრძალულია; ფიქრობს, რომ თბილისის ნაკურთხი ქუჩების გარეცხვით მღვდლების მიერ ნაკურთხი წყლის მოსხმა „გაამასახარავა“.

არ არის გამორიცხული, ასეთ გონებაჩლუნგს ისიც ეგონოს, რომ ეკლესიებს, ეკლესიების ეზოებსა და შემოგარენს არ რეცხავენ, არ ალაგებენ და არ ასუფთავებენ. არადა, იქ იმდენი ნაკურთხი წყალი ისხმება, მაქარაშვილის ლოგიკით, ეკლესიების დასუფთავება ვერავინ ვერ უნდა გაბედოს.

ფრიად სამწუხაროა, როდესაც საზოგადოებაში არსებობენ ადამიანები, რომლებსაც უდიდესი განსაცდელის, ჭირის, ვირუსის, ეპიდემიისა თუ პანდემიის დროსაც საკუთარი ვიწრო ინტერესების გამოხატვისთვის სცხელა. ასეთ ადამიანებს პირდაპირ უნდა ვუწოდოთ მავნებლები. ისიც სათქმელია, რომ, არა გვგონია, ისინი ენთუზიაზმით მავნებლობენ. უკვე **30 წელიწადია, ქვეყანაში დიდი ფული შემოდის სწორედ იმისთვის, რომ საქართველო ე.წ. მულტიკულტურულ სახელმწიფოდ აქციონ. მარტივად რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოში ქართველი აღარ უნდა იყოს „დომინანტი“ ერი. საქართველო განიხილება მხოლოდ ტერიტორიად და ამ ტერიტორიაზე თანაბრად უნდა იცხოვრონ ჩინელებმა, ინდოელებმა, არაბებმა, თურქებმა და ა.შ. უფლებრივ თანაბრობაზე არ არის აქ საუბარი. საქმეც ის არის, რომ რაოდენობრივ თანაბრობაზეა ლაპარაკი და ქართველებიც ამ ტერიტორიის სხვებთან რაოდენობრივად თანაბარი ან სულაც უმცირესობაში მყოფი მცხოვრებნი უნდა ვიყოთ.**

აკი, ამას წინათ **უკვე საჯაროდ აღიარეს „ლიბერასტების“ ქართველმა მამებმა და დედებმა: ვერ ვხედავთ ვერანაირ პრობლემას იმაში, რომ ამ ქვეყნიდან ქართველები წავიდნენ, სხვა ქვეყნებში გადანაწილდნენ, ხოლო სხვა ქვეყნებიდან აქ გადმონაწილდეს ხალხი და სრულიად მულტიკულტურულ სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდეთ; არაფერია ტრაგიკული იმაში, რომ საქართველოში დანარჩენ ეროვნებებზე ნაკლები ქართველი ცხოვრობდეს, პირიქით, ეს ძალიანაც კარგიაო.**

აი, ამ მიზნის მისაღწევ გზაზე, ყველაზე მედგრად ამ გადაგვარებულ ადამიანებს სწორედ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია გადაეღობა და დღემდე ასე გრძელდება. სწორედ ამიტომაც არის, რომ ნებისმიერ ვითარებაში, ნებისმიერ დროს, ნებისმიერი პრობლემის წინაშე დგომისას დარტყმის მთავარი ობიექტი ეკლესიაა. ამას უკვე მივეჩვიეთ, თუმცა მაინც წარმოუდგენელი იყო, რომ მომაკვდინებელი ვირუსის, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს უპირველეს მტერთან ბრძოლის დროსაც ეს ადამიანები ისევ რაღაც თავის ვიწრო ინტერესებზე იზრუნებდნენ. ფაქტია, ისინი, თუკი ეს ეკლესიას რამენაირად ზიანს მოუტანს, საკუთარ მშობლებსაც კი გაწირავენ, თუნდაც „კოვიდ 19“-ისთვის... მაგრამ ისიც აუცილებლად საკითხავია: ნუთუ ეს არ ითვლება ქვეყნის წინაშე მავნებლობად და სად არის ამ დროს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახური? ეს ის შემთხვევაა, როცა გვირჩევნია, უმოქმედობა უნიათობას დავაბრალოთ, ვიდრე ვიფიქროთ, რომ ამ ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურებიც იმავე გლობალურ ძალებს ჰყავთ მოსყიდული, რომლებიც მართლმადიდებლობის წინააღმდეგ უკვე ხსენებულ მებრძოლებს უხვად აფინანსებენ.

საქმე №

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ნაციონალური მოძრაობა“ კრიმინალების მცირე ჯგუფი რომ ყოფილიყო, ადვილი იქნებოდა მისი განადგურება და წლების განმავლობაში ხელისუფლებასაც ვერ შეინარჩუნებდა. წინა ხელისუფლების უკან იდგა და დღესაც დგას ლიბერალების ექსტრემისტული, ბოროტი ძალა. რომ არა ეს ძალა, ეს ხელისუფლება აუცილებლად მოერეოდა მათ, მაგრამ დღეს, სამწუხაროდ, იძულებულნი არიან, ანგარიში გაუწიონ“.

# რატომ არ დაჰკითხეს ელენე თევდორაძე და სოზარ სუბარი ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზე?





**კორონავირუსის პანდემიის ფონზე ყურადღების მიღმა დარჩა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „კუხალაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, რომელიც 2 აპრილს გამოქვეყნდა. საქმე ეხება 2006 წლის 27 მარტს №მე-5 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ე.წ. ციხის ბუნტისას პატიმრების — 23 წლის ზურაბ კუხალაშვილისა და 29 წლის არსენ ბუხრაშვილის — გარდაცვალებას ე.წ. ბუნტის დროს მიღებული ჭრილობების შედეგად. ისინი სასიკვდილოდ დაჭრეს №მე-5 დაწესებულების როგორც ეზოში, ასევე სარეჟიმო კორპუსში შესული სპეცდანიშნულების რაზმების წევრებმა ცეცხლსასროლი იარაღიდან ქაოსური სროლისას. ოფიციალური მონაცემებით, ე.წ. ბუნტის დროს დაიღუპა 7 პატიმარი, დაიჭრა 22 პატიმარი და ციხის ორი თანამშრომელი.**

**სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ 2006 წლის 27 მარტს „ბუნტის“ ჩახშობის სპეცოპერაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბაჩანა ახალაია, იყო უკონტროლო, გამოყენებული ძალა კი — გადაჭარბებული. სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოხსენიებულია ბაჩანა ახალია, მაგრამ არაფერია ნათქვამი „ევროპული საქართველოს“ ლიდერ გიგა ბოკერიაზე, რომელიც „ციხის ბუნტისას“ ადგილზე იმყოფებოდა და, როგორც პატიმრები ამბობდნენ, სროლის ბრძანებაც მან გასცა.**

**ვინ და რატომ აფარებს ხელს გიგა ბოკერიას? რატომ არ დაჰკითხეს ადამიანის უფლებათა დაცვის იმჟამინდელი საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე და სახალხო დამცველი სოზარ სუბარი? ვის აძლევს ხელს დამნაშავე ოპოზიციონერის ყოფნა პარლამენტში? — ამ და სხვა საინტერესო თემებზე უფლებადამცველები გელა ნიკოლაიშვილი და ნანა კაკაბაძე გვესაუბრებიან.**



## „ელენე თევდორაძემ რაც ილაპარაკა, იყო პოსტსაუბარი და ისიც პრესით... სოზარ სუბარმაც განაცხადა, რომ მან დაინახა იქ გიგა ბოკერია, მაგრამ კატეგორიულად უარყოფს ბოკერიას მონაწილეობას იმ პროცესებში“

**გელა ნიკოლაიშვილი, ადვოკატი:**

— სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებები არ ეხება კონკრეტულ პიროვნებებსა და ორგანიზაციებს, საქმე ყოველთვის ეხება სახელმწიფოს მიერ ჩადენილ გადაცდომებსა და დანაშაულებს. ამ კონკრეტულ საქმეში საუბარია, რომ სახელმწიფოს სახელით მოქმედმა სტუქტურამ თუ პიროვნებებმა ხელყვეს ადამიანების სიცოცხლე, დაარღვიეს ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი, ამიტომ აქაც, როგორც სხვა შემთხვევებში, არის საუბარი იმაზე, რომ სახელმწიფომ კომპენსაცია გადაუხადოს დაზარალებულებს. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს წარმოადგენდა ბაჩანა ახალაია, რადგან პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელი ის იყო. სტრასბურგის სასამართლო არ იძიებს საქმეს ვარაუდით, შემთხვევის ადგილზე ვინ იყო და რას სჩადიოდა, ვინ გადაამეტა უფლებამოსილებას და ა.შ.

**— როგორც ცნობილია, ამ საქმის გაგრძელება შეიძლება, თუ ხელისუფლების ნება იქნება. შესაძლოა, დაიკითხოს მაშინდელი სახალხო დამცველი სოზარ სუბარი და ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე, რომლებმაც კარგად იციან, რა ჩაიდინა გიგა ბოკერიამ...**

— მე იქ ვიყავი მთელი ღამისა და დღის განმავლობაში, იქ იყვნენ პატიმრების ოჯახის წევრებიც, ვცდილობდით, შეგვეღწია შიგნით, იყო შეხლა-შემოხლაც, ჩვენი დაკავების მუქარაც, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ვერ შევძელით შიგნით შესვლა. შესაბამისად, რაც შიგნით ხდებოდა, გადმოცემით ვიცით ყველამ. მოსმენილი და წაკითხული გვაქვს **სოზარ სუბარისა** და **ელენე თევდორაძის** საუბრები. ვიდრე მათ საუბრებზე ვილაპარაკებ, ვიტყვი, რომ როდესაც ციხეში ბუნტის მოწყობის ბრალდებით ექვსი პატიმარი გაასამართლეს, ერთ-ერთის ადვოკატი მე გახლდით. დაიკითხა **ბაჩანა ახალაიაც.** მან თქვა, რომ **არაპროპორციული ძალა არ იყო გამოყენებული და ბუნტის აღსაკვეთად იძულებულნი იყვნენ, სათანადოდ ემოქმედათ.** ელენე თევდორაძემ უკვე მომხდარის შემდეგ ილაპარაკა, ისიც პრესაში... სოზარ სუბარმაც განაცხადა, რომ მან დაინახა იქ **გიგა ბოკერია,** მაგრამ უარყოფს ბოკერიას მონაწილეობას იმ პროცესებში. ეს ყველაფერი პრესიდან ვიცი. აქედან გამომდინარე, ვერ ვიტყვი, რა გაგრძელებას ჰპოვებს ეს საქმე ხელისუფლების მხრიდან. როგორც ჩემთვის ცნობილია, აღნიშნულ საქმეზე დაკითხულია ყველა, მათ შორის, ბოკერიაც. ჩვენებები, რომლებიც პროკურატურამ მოიპოვა, საკმარისი არ არის ბოკერიას დასადანაშაულებლად.

**— ინტერვიუში, რომელიც მე ჩამოვართვი ელენე თევდორაძეს, შეკითხვაზე — გასცა თუ არა ბოკერიამ სროლის ბრძანება, ქალბატონმა ელენემ თანხმობის ნიშნად თავი უხმოდ დამიქნია...**

— თქვენ, ჟურნალისტებმა, მეტი იცით, მაგრამ აქვე გეტყვით: ელენე თევდორაძის თავის დაქნევა არ არის საკმარისი სასამართლოსთვის. აუცილებელია სხვა სახის მტკიცებულებები, რათა სამართალი აღსრულდეს. აუცილებელია, იყოს მოწმე, რომელიც იტყვის – ვინ ვის რა უბრძანა. საუბრები იმაზე, რომ ავტომატი მას ეჭირა, ის მივარდა და ხელიდან გამოჰგლიჯა, რომ „კარმუშკებში“ ესროდნენ, საკმარისი არ არის.

**— რისთვის სჭირდებოდა ციხეში მყოფი ადამიანების დაშინება სააკაშვილის ხელისუფლებას? პატიმარი ხომ ისედაც დატყვევებული და შეშინებულია?**

— დაშინება იმისთვის სჭირდებოდათ, რომ ძალა ეჩვენებინათ ხალხისთვის; რომელიც მათი მომხრე არ იყო, ყველა მტრად მიაჩნდათ, პატიმრებში ბევრი ეგულებოდათ ასეთი, ამიტომ საჭირო იყო ამ ადამიანების დაშინება. სურდათ, დაენახვებინათ საზოგადოებისთვის, რომ უკან არაფერზე დაიხევდნენ და გააკეთეს კიდეც ეს. **არ ვიცი, მართლა გასცა თუ არა სროლის ბრძანება ე.წ. ციხის ბუნტის დროს ბოკერიამ, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ის „ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი მამოძრავებელი ძალა და იდეოლოგი იყო. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ის ციხეში მივიდოდა და მთავარი თუ არა, ერთ-ერთი მაინც იქნებოდა გადაწყვეტილების მიმღებთა შორის.**

რასაც ახლა ვამბობ, ე.წ. ქურდების ნალაპარაკევია, მაგრამ, თუ იქნება კეთილი ნება იმისა, რომ „ციხის ბუნტის“ საქმეზე სამართლებრივი გადაწყვეტილება დადგეს, ეს აუცილებლად უნდა გააკეთონ. ამისთვის საჭიროა, ჩვენებები იმ ადამიანებისა, რომლებიც შიგნით იყვნენ.

**— კეთილი ნება ახსენეთ, რატომ არ აქვს ხელისუფლებას ეს კეთილი ნება, რათა ე.წ. ოპოზიციის წევრებს შორის დანაშაულის ჩამდენები დაისაჯონ?**

— კრიმინალთან თანაარსებობა არ შეიძლება, მაგრამ, როდესაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა, ყველა საკვანძო ადგილას ნაციონალები იყვნენ, სანამ ხელახალი არჩევნები არ დაინიშნა, მათ შორის საპრეზიდენტოც. თუმცა, არჩევნები ჩატარდა და ველარ მოხერხდა დამნაშავეების დევნა. არსებობს მეორე მხარეც — ამბობენ, რატომ არ აიკრძალა „ნაციონალური მოძრაობა“-ო. **როდესაც ფაშისტური პარტია გასამართლდა და აიკრძალა, მაშინ მთელი მსოფლიო იყო ამ პარტიის წინააღმდეგი. ვფიქრობ, არანაკლები დანაშაულები აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“ ჩადენილი, მაგრამ მათ წინააღმდეგ მსოფლიო არ გამოსულა, სამწუხაროდ, მათ ბევრი მომხრე ჰყავდათ.** გარდა ამისა, პარტია თუ აიკრძალებოდა, იყვნენ ამ პარტიაში ადამიანები, რომლებიც ხელახლა შექმნიდნენ სხვა პარტიას, თანაც აკრძალვა ასე ადვილი არ იყო — მათ მსოფლიოში ბევრი ლობირებდა.

## „აუცილებლად გასარკვევია, თავისი ნებით მოქმედებდა ახალაია ასე დაუნდობლად თუ არა“

**ნანა კაკაბაძე, ადამიანის უფლებათა დამცველი:**

— ევროსასამართლოს ვერ დავადანაშაულებთ, რომ ბოკერია არ ახსენეს თავის გადაწყვეტილებაში, რადგან დანაშაულის შესახებ ინფორმაციას აწვდის მომჩივანი მხარე და სახელმწიფო, რომელიც



შეკითხვებზე პასუხს იძლევა — რაც მიაწოდეს სტრასბურგს, პასუხიც იმაზე გასცეს. ვისაუბროთ საქმის დეტალების მოწოდებაზე... სტრასბურგს არ დაესიზმრებოდა, რა ხდებოდა „ციხის ბუნტის“ დროს არაოფიციალურად. იმხანად გიგა ბოკერიას არ ეკავა არანაირი ოფიციალური თანამდებობა, რომელიც „ციხის ბუნტთან“ შეხების უფლებას მისცემდა. არის ვარაუდები, რომლებიც ევროსასამართლოსთვის მისაღები არ არის და ის ვერ იმსჯელებს ასეთ საქმეზე. სტრასბურგს სჭირდება უშუალო მოწმეები...

**— უშუალო მოწმე იყო იმხანად სახალხო დამცველი სოზარ სუბარი. მას შეეძლო, „ციხის ბუნტის“ დროს შენობაში ყოფილიყო...**

— ვერ ვიტყვი, რომ სუბარს კარგი პოზიცია ეკავა, თავის დროზე ის „ნაციონალური მოძრაობის“ გუნდის წევრი იყო... არ ვიცი, რა ჩვენება მისცა სუბარმა, ყველაფერი ჭორის დონეზეა, ამიტომ აუცილებელია საქმის გამოწვლილვით შესწავლა. სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ ბაჩო ახალაია დამნაშავეა. მან ხელოვნურად გამოიწვია ჩხუბის პროვოცირება პატიმრებს შორის და ამ ნაწილში დადანაშაულებულია სახელმწიფო, თითქმის ყველა პუნქტში დაადანაშაულეს სახელმწიფო და ხელმძღვანელი პირებიც, მაგრამ არაფერია ნათქვამი არაოფიციალურ ავტორებზე... ასე რომ, რაც არ არის ოფიციალური, იმაზე ევროსასამართლო ვერ იმსჯელებს.

**— საქართველოში დიდხანს მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი „ბუნტის“ საქმეზე...**

— დიახ, „ბუნტის“ საქმეზე ტარდებოდა სასამართლო სხდომები, მაგრამ სტრასბურგში გაიგზავნა მხოლოდ დარღვევები, იქ არ იგზავნება სისხლის სამართლის საქმე. შესაბამისად, ევროსასამართლომ გამოიტანა დასკვნა, რომ დაზარალებულებს სახელმწიფომ უნდა გადაუხადოს საკმაოდ დიდი კომპენსაცია.

ვფიქრობ, სტრასბურგის გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება აქ გაგრძელდეს საქმის გამოძიება — აუცილებლად გასარკვევია, თავისი ნებით მოქმედებდა ახალაია ასე დაუნდობლად, თუ არა. იმ ხელისუფლებას სჭირდებოდა ადამიანების დაშინება. ხომ ხედავთ, რას უშვრება დღეს კორონავირუსი ხალხს — შიში ცვლის ადამიანებს. შიშით ცარიელ ფურცლებზე აწერინებდნენ ადამიანებს ხელს, ვინც არ მოაწერდა, გაუპატიურება და სიკვდილი ელოდა. ეს აქსიომა იყო. ეს იყო შიშის დანერგვა მასობრივად, როგორც დღეს კორონათი დანერგეს, ოღონდ სრულიად მსოფლიოში. „ნაცმოძრაობის“ ასეთი სისასტიკე ნიშნავდა — „ყველაფერს ვიკადრებ ხელისუფლებისთვის!“

„ნაციონალური მოძრაობა“ სერიოზული ძალაა. ჩვენ ვხედავთ, რომ ის მისნაირ ძალებთან ერთად პრეზიდენტ **ტრამპსაც** კი უპირისპირდება. აქედან გამომდინარე, მისთვის არაფერს წარმოადგენს **ბიძინა ივანიშვილი.** „ნაციონალური მოძრაობა“ კრიმინალების მცირე ჯგუფი რომ ყოფილიყო, ადვილი იქნებოდა მისი განადგურება და წლების განმავლობაში ხელისუფლებასაც ვერ შეინარჩუნებდა. წინა ხელისუფლების უკან იდგა და დღესაც დგას ლიბერალების ექსტრემისტული, ბოროტი ძალა. რომ არა ეს ძალა, აუცილებლად მოერეოდა ეს ხელისუფლება მათ, მაგრამ დღეს, სამწუხაროდ, იძულებულნი არიან, ანგარიში გაუწიონ.

«არ ვიცი, მართლა გასცა თუ არა სროლის ბრძანება ე.წ. ციხის ბუნტის დროს ბოკერიამ, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ის «ნაციონალური მოძრაობის» მთავარი მამოძრავებელი ძალა და იდეოლოგი იყო. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ის ციხეში მივიდოდა და მთავარი თუ არა, ერთ-ერთი მაინც იქნებოდა გადაწყვეტილების მიმღებთა შორის»

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

„არ შეიძლება, ასეთ კრიზისულ ვითარებაში ქვეყანა ვიღაცის იმედად იყოს, იმიტომ, რომ ასეთ დროს ყველა სახელმწიფო ცდილობს, პირველ რიგში, თავისი მოთხოვნები დაიკმაყოფილოს. საქართველოს არავინ არ დაეხმარება, ამიტომ ჩვენი ხსნა ადგილობრივი წარმოებაა. ამას სჭირდება, კიდევ ვიმეორებ, სუბსიდიები და ჯანსაღი, მიზანმიმართული ხელშეწყობა, რაც რეალურად მისცემს სტიმულს თითოეულ მწარმოებელს, და არა ისეთი, როგორიც აქამდე იყო“.



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# პაატა კოღუაშვილი: ჩვენ, უწინარესად, ორიენტირებულნი უნდა ვიყოთ იმაზე, რომ შიმშილი არ დაიწყოს

**მას შემდეგ, რაც მთელი მსოფლიო Covid-19-ის პანდემიამ მოიცვა და გლობალური ეკონომიკა უმოკლეს დროში დაეცა, ერთი რამ ყველასთვის ცხადი შეიქნა: ეკონომიკურმა კრიზისმა უპირველესად იმ ქვეყნებს დაარტყა, რომლებსაც მძლავრი წარმოება არ აქვთ, ანუ ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ და დიდწილად იმპორტირებულ საქონელზე არიან დამოკიდებულნი. ამ გამოწვევის კვალდაკვალ ადგილობრივი წარმოების გაძლიერებაზე განცხადებებს საქართველოს ხელისუფლებამაც მოუხშირა. მეტიც, დაწყებული პრემიერით, დამთავრებული ეკონომიკის მინისტრითა და სხვებით, „თანხმდებიან“, რომ საშინაო წარმოება პრიორიტეტული უნდა იყოს. მთავრობა უკვე ისეთი დარგების აღორძინებაზეც საუბრობს, რომლებიც ადრე „არარენტაბელურობის“ გამო მივიწყებული იყო. მაგალითად, მარცვლოვანი კულტურების წარმოება, მეცხოველეობა, მეფრინველეობა და ა.შ. დღეს პრიორიტეტად უკვე არა ტურიზმი და ტურისტული ინდურსტიის განვითარება, არამედ სოფლის მეურნეობა სახელდება.**
**რა შეცვალა საქართველოსთვის პანდემიის პარალელურად დაწყებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, რა პოტენციალი აქვს ქვეყანას ამ ვითარებიდან თავის დასაღწევად? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პროფესორი პაატა კოღუაშვილი.**

**— ბატონო პაატა, პანდემიის კვალდაკვალ მსოფლიოში დაწყებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, რომლის პიკიც ჯერ კიდევ წინ გვაქვს, აჩვენა, რომ განსაკუთრებული სიმწვავით ამ პროცესს ადგილობრივი წარმოების არმქონე და იმპორტზე დამოკიდებული ქვეყნები განიცდიან. მზად არის დღეს ჩვენი ქვეყანა გლობალური კრიზისისთვის? უზრუნველყოფილნი ვართ თუნდაც სასურსათო მარაგით?**

— სამწუხაროდ, დღეს საქართველო ეკონომიკური გამოწვევებისთვის მზად არ არის, იმიტომ, რომ მისი აგრარული პოლიტიკა აგებულია იმპორტზე. ეს, რა თქმა უნდა, იმთავითვე იყო მცდარი და საზიანო ჩვენი ეკონომიკისთვის, თუმცა პირველი და უმთავრესი, რაც ხელისუფლებამ არ თუ ვერ გაითვალისწინა ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისას, ბიოკლიმატური პირობებია. ის ბიოკლიმატური პირობები, რომლებიც საქართველოს გააჩნია, სანატრელია მსოფლიოს უამრავი ქვეყნისთვის. ეს. პრაქტიკულად, არის სამოთხე, რომელიც შიდა წარმოების გასაძლიერებლად უდიდეს რესურსს იძლევა და, გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ **საქართველოში თავისუფლად შეიძლება 10-12 მილიონი ადამიანის გამოსაკვებად საჭირო სურსათის წარმოება.** ვინ იდგა იმ მცდარი ეკონომიკური ხედვების უკან, რომლებმაც ჩვენ, ფაქტობრივად, მომხმარებლებად გვაქცია? **ეს პოლიტიკა დაიწყო წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში, როცა ეკონომიკური განვითარების სტრატეგია ე.წ. თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე აიგო და ითქვა, რომ სახელმწიფოს არ სჭირდებოდა „დოტაციური“ დარგები. ამ მიდგომის თანახმად, საქართველოს არ უნდა ეწარმოებინა სურსათი — ხილი, ბოსტნეული, ხორცი და სხვ., იმიტომ, რომ ამ ყველაფრის გარედან შემოტანა გაცილებით იაფი დაჯდებოდა. შედეგად, ქვეყნის მთავარ ეკონომიკურ ფუნდამენტად გამოცხადდა ტურიზმი, საქართველოს მოსახლეობა კი იქცა მომსახურე პერსონალად...**

**— მანამდე რა ვითარება გვქონდა?**

— გააჩნია, რომელ პერიოდს გულისხმობთ? თუ მხედველობაში გაქვთ საბჭოთა პერიოდი, ყველამ ვიცით, რომ მაშინ საქართველოს მძლავრი წარმოება ჰქონდა. თუმცა მერე ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ ყველაფერი მოშლილიყო. მაგალითად, ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელმაც მოსპო და გაანადგურა ადგილობრივი მეფრინველეობა. წარმოიდგინეთ, გასული საუკუნის 90-იან წლებამდე საქართველოში მეფრინველეობის 75 ფაბრიკა იყო. დღეს თითზე ჩამოსათვლელი დარჩა. სხვათა შორის, მეფრინველეობა კონკრეტული მიმართულებაა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს იმიტომ, რომ დღეს, როდესაც სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქცია, — პირველად წარმოებაზეა საუბარი, — გათავისუფლებულია დღგ-ისგან, ქათმის ნედლი ხორცის წარმოება ერთადერთია, რომელიც 18%-იანი დამატებითი ღირებულების გადასახადით იბეგრება. აი, ეს არის ამათი ეკონომიკური პოლიტიკა და წარმატებები, რომელთა შედეგადაც მივიღეთ ის, რომ გაყინული ქათმის წლიურმა იმპორტმა ქვეყანაში 75 000 ტონას გადააჭარბა... აქვე ხაზს გავუსვამ კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას, რომელიც დღევანდელი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ დიდ ნაკლოვანებად მიმაჩნია. **შეცდომაა, რომ გადასახადისგან გათავისუფლებულია 5 ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის მფლობელი. ამ მიდგომის შედეგად სოფლად მცხოვრებმა ადამიანებმა თავი დაანებეს მიწის დამუშავებას და ურჩევნიათ, არაფერი აკეთონ, ისე მიიღონ 300 ლარი...**

**— მიწის გადასახადის შემოღება რას შეცვლიდა?**

— ადამიანმა უნდა დაამუშაოს ის მიწა, რომელიც აქვს, და აწარმოოს სურსათი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩათვალეთ, რომ ეს მიწა სახელმწიფოსთვის არ არსებობს. **რაც შეეხება მსოფლიოში დღეს არსებულ ეკონომიკურ კრიზისს, რომელიც ჩვენთვისაც უდიდესი გამოწვევაა, ეს არის გლობალური გარდაქმნა, რომლის გადატანაც საქართველოს და ყველა ჩვენისთანა მცირე სახელმწიფოს, სადაც ადგილობრივი წარმოება სუსტია, ძალიან გაუჭირდება.**

ამიტომ კიდევ ერთხელ მოვუწოდებ სოფლად მცხოვრებ ადამიანებს: **დაამუშავეთ რაც შეიძლება მეტი მიწა. გაამრავლეთ მსხვილფეხა ცხოველი და გაამრავლეთ ფრინველი; მოიწიეთ ბოსტნეული, გააშენეთ ხეხილი და სხვა კულტურები, თავიდან რომ ავიცილოთ უმძიმესი კრიზისი. და მერწმუნეთ, იმ ეკონომიკური პოლიტიკის უუნარობა, რომელიც დღეს სახელმწიფოს აქვს, თვალნათლივ გამოჩნდება. ჩვენ დავინახავთ, რომ ეს სისტემა თავიდან ბოლომდე ჩამოიშლება.**

**— თავის დროზე „ქართულმა ოცნებამ“ ორი მილიარდი ლარი ჩადო სოფლის მეურნეობის განვითარებაში, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მას შემდეგ დარგმა პროგრესი განიცადა. პირიქით, რამდენიმე მიმართულებით წარმოება მნიშვნელოვნად შემცირდა. მაგალითად, 2016 წელს 126,6 ათასი ტონა ხორბალი ვაწარმოეთ, მომდევნო წელს კი ეს მაჩვენებელი 97,9 ათას ტონამდე შემცირდა... რატომ აღმოჩნდა ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები უეფექტო?**

— სოფლის მეურნეობას რეგულირება სჭირდება და ამ დარგის მინდობა ღია ბაზრისთვის წარმოუდგენელია. არ არსებობს მსოფლიოში ასეთი პრაქტიკა და ვერც იარსებებს, ამიტომ ერთმნიშვნელოვნად სახელმწიფო უნდა იყოს მისი მარეგულირებელი. აი, ამით არის ზუსტად ნაკარნახევი ის აუცილებლობა, რომ უნდა მოხდეს აგრარული პოლიტიკის შემუშავება და ამ დარგის განვითარების ხელშეწყობა. სხვათა შორის, თავის დროზე ეს ხედვა ახალ სიმაღლეზე აიყვანა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა **რონალდ რეიგანმა**, რომელმაც შეცვალა დარგისადმი დამოკიდებულება და დაიწყო მისი ფინანსური მხარდაჭერა. რაც შეეხება იმ ორ მილიარდ ლარს, რომელიც თქვენ ახსენეთ, ეს თანხა თავიდანვე იქნა გამოყენებული არარაციონალურად. მე დღესაც ვხედავ საფრთხეებს სოფლის მეურნეობისთვის იმ ორმილიარდიანი ფონდიდან გამოყოფილი თანხებით...

**— რას გულისხმობთ?**

— ვგულისხმობ იმას, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დღევანდელი ხედვა მახინჯი ხედვაა და ამ ყველაფერს საფუძველი დაედო ჯერ კიდევ სააკაშვილის პერიოდში, ხოლო განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია **გიორგი კვირიკაშვილის** პრემიერობისას, როცა გაცხადდა, რომ არანაირი სახელმწიფო მხარდაჭერა აგრარულ სექტორს არ სჭირდებოდა. სხვათა შორის, იგი კოოპერაციის პროცესის დაუძინებელი მტერი იყო და ამ პროცესის შეჩერება ქვეყანას კატასტროფას მოუტანს. რაც შეეხება გამოსავალს, ფული ჩვენ გვჭირდება არა იმისთვის, რომ ვაწარმოოთ, ვთქვათ, სოსისი ან კონსერვი, არამედ იმისთვის, რომ საბაზისო ნედლეულის, ხორცის წარმოება დავიწყოთ. **რისთვის აშენებ საკონსერვო ქარხანას, როდესაც ხორცი არ გაქვს?! იმისთვის, რომ ხორცი სხვისგან იყიდო, აქ შემოიტანო და იმისგან გააკეთო სოსისი? და იმ სხვამ ხორცი რომ აღარ მოგყიდოს, — ამის მაგალითები უკვე არის და აწი კიდევ უფრო გახშირდება, — მერე რას შვრები? აი, ეს ვერ გაიგეს ამათ და ბუნებრივია, ამ პირობებში არანაირი აზრი თუნდაც მილიარდიან დახმარებას არ ჰქონდა.**

**— სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა ამას წინათ განაცხადა, რომ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია ცალკეულ ქვეყნებს მოუწოდებს, არ შემოიღონ სავაჭრო შეზღუდვები, რათა „სასურსათო ჯაჭვის უწყვეტობა შენარჩუნებული იყოს“. ეს ყველაფერი რა გავლენას ახდენს ადგილობრივ წარმოებაზე?**

— მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობა და მათ შორის თქვენ მიერ ნახსენები გაეროს სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის წევრობაც არაერთ ვალდებულებას გულისხმობს, თუმცა ისეთი კრიზისების დროს, როგორიც დღესაა, არც ერთ ქვეყანას ეს ვალდებულებები არ ახსენდება. საქართველოს რაც შეეხება, ჩვენ ორიენტირებულნი უნდა ვიყოთ არა იმაზე, რას ითხოვს ჩვენგან ესა თუ ის საერთაშორისო ორგანიზაცია, არამედ იმაზე, რომ საკუთარი — მინიმალური მაინც — რესურსი გვქონდეს, კრიზისული ვითარებისას შიმშილი არ დაიწყოს. რომელ ვალდებულებებზეა საუბარი, როცა მსოფლიო პანდემიამ მოიცვა და სულ მალე შეიძლება საჭმელი აღარ იშოვებოდეს. კიდევ ვიმეორებ: საქართველოს თუ რამე ვალუტა გააჩნია დღეს, ყველაფერი უნდა მიმართოს აგრარული წარმოების განვითარებისკენ. ეს არის ერთადერთი სწორი გამოსავალი არსებული კრიზისიდან, თუ, რა თქმა უნდა, გვინდა, რომ ორსამ ან ოთხ წელიწადში გვქონდეს დადებითი სავაჭრო ბალანსი და გადავლახოთ ეს 70%-იანი უარყოფითი სალდო. სხვათა შორის, **ხორბალზე უკვე არის სერიოზული პრობლემები, იმიტომ, რომ კანადამ უარი განაცხადა ექსპორტზე და რუსეთმაც კვოტები დააწესა...** ამ ყველაფრის ფონზე რას ფიქრობს ეს ჩვენი კამკამახმიანი ეკონომიკის მინისტრი, რის იმედი აქვს, როცა აცხადებს, რომ ქვეყანას საკმარისი მარაგი აქვსო?

**— ეკონომიკის მინისტრმა კი განაცხადა, ალტერნატიული წყაროები არსებობსო, თუმცა მსოფლიოში ხორბლის მსხვილი ექსპორტიორი სულ რამდენიმე ქვეყანაა: კანადა, რომელიც ძალიან შორსაა, რუსეთი, ყაზახეთი და ნაწილობრივ, უკრაინა. ამიტომ გაუგებარია, სად არის ეს „ალტერნატიული წყარო“.**

— არ შეიძლება, ასეთ კრიზისულ ვითარებაში ქვეყანა ვიღაცის იმედად იყოს, იმიტომ, რომ ასეთ დროს ყველა სახელმწიფო ცდილობს, პირველ რიგში, თავისი მოთხოვნები დაიკმაყოფილოს. საქართველოს არავინ არ დაეხმარება, ამიტომ ჩვენი ხსნა ადგილობრივი წარმოებაა. ამას სჭირდება, კიდევ ვიმეორებ, სუბსიდიები და ჯანსაღი, მიზანმიმართული ხელშეწყობა, რომელიც რეალურად მისცემს სტიმულს თითოეულ მწარმოებელს, და არა ისეთი, როგორიც აქამდე იყო. აქამდე რაც ვნახეთ, თუნდაც ე.წ. შეღავათიანი აგროკრედიტები და სხვა მსგავსი პროგრამები, ჩვეულებრივი პოლიტიკური პიარი იყო, რომლითაც ვიღაცამ ჩაიწერა ქულები, ვიღაცამ აითვისა ფული, რეალობა კი დარჩა უცვლელი.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**საქართველოში თავისუფლად შეიძლება 10-12 მილიონი ადამიანის გამოსაკვებად საჭირო სურსათის წარმოება. ვინ იდგა იმ მცდარი ეკონომიკური ხედვების უკან, რომლებმაც ჩვენ, ფაქტობრივად, მომხმარებლებად გვაქცია? ეს პოლიტიკა დაიწყო წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში, როცა ეკონომიკური განვითარების სტრატეგია ე.წ. თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე აიგო და ითქვა, რომ სახელმწიფოს არ სჭირდებოდა «დოტაციური» დარგები... მთავარ ეკონომიკურ ფუნდამენტად გამოცხადდა ტურიზმი, საქართველოს მოსახლეობა კი იქცა მომსახურე პერსონალად...**

პერსპექტივა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კრიზისი დაახლოებით 270 ათას დასაქმებულს შეეხება, რომელთაგან, კრიზისის 2-3 თვით გაგრძელების პირობებში, გარკვეული ნაწილი უმუშევარი დარჩება, ხოლო გარკვეული ნაწილი სასოფლო თვითდასაქმების სექტორში გადავა. აქედან გამომდინარე, სოციალური ზეგავლენაც მკვეთრად უარყოფითი იქნება.**

# ჩვენი მოთხოვნების დაკმაყოფილება ადგილობრივი წარმოების პროდუქციით

## უპირველესი სასურსათო უსაფრთხოებაა

# პოსტკრიზისული სტრატეგიის კონტურები

**კორონავირუსის გავრცელებით გამოწვეულმა აჟიოტაჟმა ბევრ ისეთ კითხვას გასცა პასუხი, რომლებზეც საზოგადოების გარკვეული ნაწილი დუმდა და არსებულ წინააღმდეგობებზე თვალს ხუჭავდა. საქართველოს მთავრობა ამ პრობლემის წინააღმდეგ ეფექტიანად მოქმედებს. ცალკე საუბრის თემაა, შესაბამისია თუ არა საფრთხის რეალური მასშტაბი და მის ირგვლივ შექმნილი საინფორმაციო ბუმი. ამ წერილში შევეხები შექმნილი მდგომარეობის შესაძლო სოციალურ და ეკონომიკურ ზეგავლენას.**



სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2015 წლის საბაზისო ფასებში მთლიან შიდა პროდუქტში მხოლოდ 28 პროცენტი იყო, — მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის ჩათვლით, — ეკონომიკის რეალური სექტორის ხვედრითი წონა. თუ აქედან გამოვრიცხავთ სოფლის მეურნეობას, რომელიც საქართველოში უფრო სოციალური დატვირთვის მქონე დასაქმებაა, ვიდრე ეკონომიკური, და, აგრეთვე, — მშენებლობას, ეკონომიკის რეალური სექტორის წილად მხოლოდ 10,4 პროცენტი დაგვრჩება, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია. საბაზისო ფასებში მშპ-ის 72 პროცენტი სხვადასხვა მომსახურების წილად მოდიოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **2019 წლის მდგომარეობით, საქართველოს ეკონომიკა უპირატესად მომსახურებაზე ორიენტირებული ეკონომიკა იყო.**

გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობისა და შექმნილი პანიკის ზეგავლენა ეკონომიკის ყველა სექტორზე ერთნაირი არ იქნება. განვიხილავ ზეგავლენის სამ დონეს:

*** დაბალი** — როდესაც ეკონომიკის სექტორზე კრიზისის ზეგავლენა მინიმალურია;

*** საშუალო** — როდესაც ეკონომიკის სექტორზე კრიზისი ზეგავლენას ნაწილობრივ მოახდენს, თუმცა მთელ სექტორზე ეს ზეგავლენა არ გავრცელდება;

*** მაღალი** — როდესაც ეკონომიკის სექტორზე გავლენა ძალიან დიდია სექტორის სრული კოლაფსის ჩათვლით.

რასაკვირველია, საჭიროა უფრო ღრმა და დეტალური ანალიზი, მაგრამ ეს ამოცანა ერთი საგაზეთო სტატიის ფარგლებს სცილდება. ანალიზისთვის ვიყენებ იმ მონაცემებს, რომლებიც ხელმისაწვდომია სტატისტიკის სამსახურის ვებგვერდზე. ზეგავლენის ხარისხი თითოეულ სექტორზე, სავარაუდოდ, ასეთი იქნება *(იხ. ცხრილი №1)*

**მშპ-ის სტრუქტურიდან გამომდინარე, ზეგავლენის ხარისხის მიხედვით, მშპ-ის 42,5 პროცენტზე კრიზისის გავლენა დაბალი იქნება, 42,4 პროცენტზე — საშუალო, ხოლო 15,1 პროცენტზე — მაღალი, ანუ საქართველოს ეკონომიკის 15,1 პროცენტი მაღალი რისკის ზონაშია.** რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ კრიზისი მხოლოდ ამ სექტორებს შეეხება. **ასეთი დაშვების პირობებში კრიზისის ერთი თვე ეკონომიკური ზრდის ტემპს დაახლოებით 2-2,5 პროცენტული პუნქტით შეამცირებს. თუ კრიზისი ორ თვეს გაგრძელდება, მაშინ წლის ბოლოს ზრდის ნულოვანი ტემპი გვექნება, ხოლო, თუ კიდევ უფრო მეტ ხანს გაგრძელდება, მაშინ მოსალოდნელია ზრდის ტენდენციის კლებით შეცვლა. ეს პროგნოზი, რასაკვირველია, განხილულია „სხვა თანაბარ პირობებში“, ანუ ყველა სხვა ფაქტორის გარეშე.**

როგორი იქნება კრიზისის სოციალური ზეგავლენა? ვირუსით გამოწვეული პანიკის უარყოფითი ფსიქოლოგიური ზეგავლენა ცალკე საუბრის თემაა. ამჯერად მხოლოდ ერთი შემიძლია ვთქვა, რომ პანიკის გავრცელების უარყოფითი ზეგავლენა თვითონ დაავადების გავრცელების ზეგავლენას არა ჯერადობით, არამედ თანრიგით აღემატება.

ეკონომიკის სექტორებზე ზეგავლენა, ბუნებრივია, ამ სექტორებში დასაქმებულებს შეეხება. სტატისტიკის სამსახურის სამუშაო ძალის გამოკვლევის 2018 წლის მონაცემებით, დასაქმების სტრუქტურიდან გამომდინარე, კრიზისის დაბალი ზეგავლენის ზონაში მთლიანი დასაქმების 61,4 პროცენტი ხვდება, ამის უდიდესი ნაწილი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, სადაც დასაქმების ნაყოფიერება მინიმალურია, თუმცა ასევე მინიმალურია კრიზისის ზეგავლენის რისკიც. 28,4 პროცენტი საშუალო ზეგავლენის ზონაშია, ხოლო 10,2 პროცენტი მაღალი რისკის ზონაა.

ამ დაშვებებიდან გამომდინარე, **კრიზისი დაახლოებით 270 ათას დასაქმებულს შეეხება, რომელთაგან, კრიზისის 2-3 თვით გაგრძელების პირობებში, გარკვეული ნაწილი უმუშევრად დარჩება, ხოლო გარკვეული ნაწილი სასოფლო თვითდასაქმების სექტორში გადავა. აქედან გამომდინარე, სოციალური ზეგავლენაც მკვეთრად უარყოფითი იქნება** *(იხ. ცხრილი №2).*

ეს რაც შეეხებოდა არსებულ მდგომარეობას და „სხვა თანაბარ პირობებში“ პერსპექტივას, რომელიც ყოველგვარი ჩარევის გარეშეც მოხდება, **მაგრამ მთავრობას შეუძლია ამ უარყოფითი ზეგავლენის მნიშვნელოვნად შერბილება.**

უპირველეს ყოვლისა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს მთავრობის ბოლო რამდენიმე ინიციატივა, რომლებიც კრიზისის შედეგების შერბილებაზეა მიმართული: **კომუნალური გადასახადების დაფარვა, შეღავათები კრედიტებზე და სხვ.** ეს ინიციატივები უდავოდ მისასალმებელია და მთავრობის ეფექტიან მუშაობაზე მეტყველებს. **ასევე აღსანიშნავია პრევენციული ღონისძიებები და სამედიცინო პერსონალის შეთანხმებული მუშაობა, რაც მათი უმაღლესი პროფესიონალიზმის დამსახურებაა და ეს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც აღიარებულია. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კრიზისულმა მოვლენებმა გვიჩვენა ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მხოლოდ კერძო ინიციატივაზე მინდობის და სისტემიდან სახელმწიფოს გასვლის დაუშვებლობა.** უპირველეს ყოვლისა, ეს დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახვა. ის გარემოება, რომ საქართველოში დღემდე წარმატებით უმკლავდებიან პრობლემას, სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობის დიდი დამსახურებაა. გარდა ამისა, აუცილებლად აღსანიშნავია დიდი გამოცდილების მქონე პროფესიონალების ყოლა და მათი წვლილი. კრიზისმა გვიჩვენა, რომ სახელმწიფო ჯანმრთელობის დაცვის სფეროში აქტიურად უნდა მონაწილეობდეს, ასევე აუცილებელია მისი აქტიური ჩართვა ფარმაცევტიკის სფეროშიც.

ზემოთ ნახსენები ღონისძიებები, რასაკვირველია, ძალიან კარგია, მაგრამ ისინი მხოლოდ „ხანძრის ჩაქრობას“ ემსახურება და არ შეეხება „სახანძრო უსაფრთხოებას“. ძალიან კარგია კომუნალური გადასახადების დაფარვა, ძალიან კარგი იქნება შემწეობის გაცემა, ძალიან კარგი იქნება ყველა მსგავსი ღონისძიება, მაგრამ ისმის კითხვა: როდემდე?

პრემიერმინისტრმა განაცხადა, რომ მთავრობა იწყებს ანტიკრიზისულ პროგრამაზე მუშაობას. ეს უდავოდ მისასალმებელია, მაგრამ მნიშვნელოვანია, კონკრეტულად როგორ მოხდება ეს. როგორც **უინსტონ ჩერჩილი** ამბობდა, „ყოველი კრიზისი უნდა განიხილო, როგორც შესაძლებლობა“, შესაძლებლობა იმისა, რომ შემდგომში გახდე უფრო ძლიერი, კრიზისის გამოცდილებით დაბრძენებული და ანტიკრიზისული იმუნიტეტით შეიარაღებული. ამისთვის აუცილებელია რეალური მდგომარეობის გათვალისწინება და გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება. გავიმეორებ: **კომუნალური გადასახადების დაფარვა და შემწეობების გაცემა ძალიან კარგია, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი ღონისძიებებია. ჩემი აზრით, მთავრობამ, უწინარესად, უნდა გაითვალისწინოს გაკვეთილები, რომლებიც კრიზისმა გვასწავლა. კერძოდ ის, რომ კრიზისის დაძლევისას, უპირატესად, საკუთარი ძალების (და არა გარედან მოსული დახმარების) იმედად უნდა იყო.** რასაკ- ▶

**ქვეყანა, უკვე წლებია, იმპორტზეა დამოკიდებული. ზემოთაც აღვნიშნე, რომ ეკონომიკის რეალური სექტორის წილი ძალიან დაბალია. იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანა კი გლობალური კრიზისების პირველი რიგის მსხვერპლია. მიუხედავად ბოლო წლებში ექსპორტის მოცულობის გაზრდისა, იმპორტ-ექსპორტის სალდო მაინც მკვეთრად უარყოფითია**

ცხრილი №1

| | ეკონომიკური საქმიანობის სახეები | მშპ ლარი 2015 ფასებში | % | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| A | სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა | 2.679,8 | 7.4% | დაბალი | საოჯახო მეურნეობა, მინიმალური ზეგავლენა ექნება |
| B | სამთომოპოვებითი მრეწველობა | 388.9 | 1.1% | საშუალო | [illegible] |
| C | დამამუშავებელი მრეწველობა | 3.368,7 | 9,4% | საშუალო | [illegible] |
| D | ელექტროენერგია, აირი | 749,5 | 2,1% | დაბალი | საოჯახო მეურნეობა, მინიმალური ზეგავლენა |
| E | წყალმომარაგება, ნარჩენების მართვა | 307,1 | 0,9% | დაბალი | საოჯახო მეურნეობა, მინიმალური ზეგავლენა ექნება |
| F | მშენებლობა | 2.612,6 | 7,3% | დაბალი | [illegible] |
| G | ვაჭრობა, ავტომობილების რემონტი | 4.966,5 | 13.8% | საშუალო | მნიშვნელოვნად შეეხება სასურსათო მაღაზიების გარდა |
| H | ტრანსპორტი და დასაწყობება | 2.160.3 | 6.0% | მაღალი | მნიშვნელოვნად შეეხება |
| I | სასტუმროები და რესტორნები | 1.563.2 | 4.3% | მაღალი | პრაქტიკულად მთლიანად გაჩერდება |
| J | ინფორმაცია და კომუნიკაცია | 1.155.8 | 3.2% | დაბალი | პირდაპირი ზეგავლენა არ ექნება |
| K | საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა | 2.392.8 | 6.6% | დაბალი | პირდაპირი ზეგავლენა არ ექნება |
| L | უძრავი ქონება | 4.456.7 | 12.4% | საშუალო | მნიშვნელოვნად შეეხება |
| M | პროფესიული, სამეცნიერო საქმიანობა | 1,072,7 | 3,0% | დაბალი | პირდაპირი ზეგავლენა არ ექნება |
| N | ადმინისტრაციული საქმიანობა | 493,1 | 1.4% | მაღალი | პრაქტიკულად მთლიანად გაჩერდება |
| O | სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა | 2.691,5 | 7.5% | დაბალი | პირდაპირი ზეგავლენა არ ექნება |
| P | განათლება | 1,764,8 | 4,9% | საშუალო | მნიშვნელოვნად შეეხება |
| Q | ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება | 1.641,9 | 4.6% | დაბალი | პირდაპირი ზეგავლენა არ ექნება |
| R | ხელოვნება, გართობა და დასვენება | 1.223.7 | 3.4% | მაღალი | პრაქტიკულად მთლიანად გაჩერდება |
| S | სხვა სახის მომსახურება | 319.1 | 0.9% | საშუალო | მნიშვნელოვნად შეეხება |
| T | შინამეურნეობების საქმიანობა | 34.3 | 0.1% | დაბალი | საოჯახო მეურნეობა, მინიმალური ზეგავლენა ექნება |
| | მშპ საბაზისო ფასებში | 36,112,5 | 100,1% | | |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: WWW.GEOSTAT.GE

# სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, ბოლო 30 წელიწადია, ლაპარაკობს ყველა, ვისაც არ ეზარება, მაგრამ შედეგი არ ჩანს და ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ხშირად ისეთი ადამიანები ზრუნავენ, რომლებსაც ცოცხალი ძროხა ახლოდან არ უნახავთ, ხოლო მათი ცოდნა სოფლის მეურნეობასა და სოფლის პრობლემებზე ბებიის გამომცხვარი ხაჭაპურის იქით ვერ მიდის.

პერსპექტივა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ცვირველია, საერთაშორისო სოლიდარობა რაღაც დონეზე გვქნება, მაგრამ მისი მასშტაბი ვერ იქნება გადამწყვეტი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ყველას თავისი გაჭირვება აწუხებს.**

ამ მხრივ კი საქართველოში, პრაქტიკულად, ყველაფერი თავიდანაა დასაწყები. ქვეყანა, უკვე წლებია, იმპორტზეა დამოკიდებული. ზემოთაც აღვნიშნე, რომ ეკონომიკის რეალური სექტორის წილი ძალიან დაბალია. **იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანა კი გლობალური კრიზისების პირველი რიგის მსხვერპლია.**

საქართველოს იმპორტ-ექსპორტის სალდო მკვეთრად უარყოფითია. მიუხედავად ბოლო წლებში ექსპორტის მოცულობის გაზრდისა, სალდო მაინც მკვეთრად უარყოფითია. იხილეთ დიაგრამაზე ***(იხ. ცხრილი №3).***

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სურსათზე იმპორტდამოკიდებულებაა. **საქართველოში მოხმარებული სურსათის უდიდესი ნაწილი იმპორტული წარმოშობისაა და კრიზისის უპირველესი მსხვერპლი სწორედ ეს ნაკადებია. 2019 წელს საქართველოში თითქმის 1 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების სურსათის იმპორტი განხორციელდა, მაშინ, როდესაც ექსპორტის ჯამური მოცულობა მხოლოდ 284 მილიონი აშშ დოლარი იყო. და ეს მაშინ, როდესაც საქართველოში განუხრელად იკლებს დამუშავებული მიწის ფართობი, პირუტყვის სულადობა და ასე შემდეგ.** არადა, საქართველო სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორი იყო. ამჟამად კი საქართველოს საშინაო ბაზარი იმპორტირებული პროდუქციითაა გაჯერებული და საქართველოს მოსახლეობის მიერ წარმოებული პროდუქტები სამომხმარებლო ბაზრის უმნიშვნელო ნაწილს იკავებს ***(იხ. ცხრილი №4).***

პოსტკრიზისული სტრატეგიის შემუშავების გადაწყვეტილება სწორი და დროულია; შეიძლება, ცოტა დაგვიანებულიც, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. არის რამდენიმე საერთო გარემოება, რომელზეც, წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე, ყურადღების გამახვილება აზრს მოკლებული არ იქნება:

**1. არ უნდა გაგვიტაცოს ეიფორიამ, რომელიც კონკრეტულად ამ კრიზისისთვისაა დამახასიათებელი. დიდი შეცდომა იქნება, თუ მივეცემით ადმინისტრაციულ აღტაცებას და დავიწყებთ საკარანტინო და მსგავსი ტიპის ღონისძიებების „დახვეწას". სტრატეგია უნდა იყოს კომპლექსური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტს უნდა ითვალისწინებდეს;**

**2. დიდი შეცდომა იქნება, თუ პოსტკრიზისული განვითარების პროგრამა მიიღებს კამპანიურ ხასიათს, რომელსაც კრიზისის გავლის შემდეგ ყველა დაივიწყებს და მხოლოდ მომდევნო მსგავსი ან შეიძლება სხვა სახის კრიზის დადგომისას გაახსენდებათ, მაგრამ პროგრამა შეუსრულებელი დარჩება, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა. მიმდინარე კრიზისმა გვიჩვენა, თუ რამდენად ეფექტიანია გეგმები, რომლებშიც გათვალისწინებულია მოსალოდნელი საფრთხეები;**

**3. სასურველი იქნება, სტრატეგიის შემუშავებისას თუ მოვამზადებთ სოციალურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, სამედიცინო, სასურსათო და სხვა სახის უსაფრთხოების კონცეფციას და მისი განხორციელების სტრატეგიას;**

**4. ძალიან კარგი იქნება, თუ მთავრობა შეძლებს რამდენიმე დამოუკიდებელი კვლევითი ჯგუფის შექმნას და, მათ მიერ მომზადებული დოკუმენტების შეჯერების შემდეგ მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. ოპტიმალური გადაწყვეტილების შესარჩევად ყოველთვის უმჯობესია, როდესაც ერთსა და იმავე საკითხზე რამდენიმე მოსაზრება არსებობს.**

ეს, რაც შეეხება, საზოგადოდ, პოსტკრიზისული სტრატეგიის შემუშავების პროცესს. მთავრობამ, უპირველესად, ეკონომიკის რეალური სექტორის გაძლიერებაზე უნდა იზრუნოს. აუცილებელია ინდუსტრიული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას. ინდუსტრიული პოლიტიკის მთავარი პირობები უნდა იყოს:

**1. იმპორტის ჩანაცვლება — და არა მხოლოდ ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების მხარდაჭერა, როგორც ეს არაერთხელ ითქვა;**

**2. ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების მაქსიმალური გამოყენება — რასაკვირველია, არა რესურსების მტაცებლური ათვისება, როგორც ეს ძალიან ხშირად ხდება;**

**3. განვითარების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის უპირატესი ჩართვა — პრიორიტეტი უნდა ენიჭებოდეს ისეთ პროექტებს, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას უზრუნველყოფს.**

მაგრამ ინდუსტრიული პოლიტიკის პარალელურად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მაქსიმალური უზრუნველყოფა, ამისათვის კი აუცილებელია სოფლის მეურნეობის განვითარების მაქსიმალური ხელშეწყობა.

**აუცილებელია სოფლის მეურნეობის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება; აუცილებელია სოფლის მეურნეობის განვითარების დღემდე არსებული პროგრამებისა და პროექტების განხორციელების დროს გამოვლენილი პრობლემებისა და შეცდომების გათვალისწინება. პრობლემები და შეცდომები ამ მიმართულებით საკმარისზე მეტია.**

სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, ბოლო 30 წელიწადია, ლაპარაკობს ყველა, ვისაც არ ეზარება, მაგრამ შედეგი არ ჩანს და ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ხშირად ისეთი ადამიანები ზრუნავენ, რომლებსაც ცოცხალი ძროხა ახლოდან არ უნახავთ, ხოლო მათი ცოდნა სოფლის მეურნეობასა და სოფლის პრობლემებზე ბებიის გამომცხვარი ხაჭაპურის იქით ვერ მიდის. „საქართველო და მსოფლიოს" მიერ ჩამორთმეულ ინტერვიუში ვთქვი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ: **საქართველოში სოფლის მეურნეობისა და, საზოგადოდ, სოფლის განვითარების შესახებ საუბარი ლიბერალური და კონსერვატორული მიმართულებების ემოციურ დონეს, ანუ გულზე მჯიღის ცემასა და ცინიკურ ქირქილს ვერ სცილდება. ასე ქმედითი პოლიტიკის შემუშავება და, მით უმეტეს, განხორციელება შეუძლებელია. სოფლის მეურნეობის განვითარება კი სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებელი წინაპირობაა.**

ცხრილი №2

| [illegible] | [illegible] | [illegible] | % | | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|
| A | [illegible] | 659.0 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| B | [illegible] | 9.0 | 0.5% | [illegible] | [illegible] |
| C | [illegible] | 105.2 | 6.2% | [illegible] | [illegible] |
| D | [illegible] | 13.7 | 0.8% | [illegible] | [illegible] |
| E | [illegible] | 17.0 | 1.0% | [illegible] | [illegible] |
| F | [illegible] | 99.0 | 5.8% | [illegible] | [illegible] |
| G | [illegible] | 185.4 | 10.9% | [illegible] | [illegible] |
| H | [illegible] | 78.0 | 4.6% | [illegible] | [illegible] |
| I | [illegible] | 44.4 | 2.6% | [illegible] | [illegible] |
| J | [illegible] | 30.9 | 1.8% | [illegible] | [illegible] |
| K | [illegible] | 33.0 | 2.0% | [illegible] | [illegible] |
| L | [illegible] | 4.4 | 0.3% | [illegible] | [illegible] |
| M | [illegible] | 21.4 | 1.3% | [illegible] | [illegible] |
| N | [illegible] | 21.4 | 1.3% | [illegible] | [illegible] |
| O | [illegible] | 91.5 | 5.4% | [illegible] | [illegible] |
| P | [illegible] | 155.4 | 9.2% | [illegible] | [illegible] |
| Q | [illegible] | 65.4 | 3.9% | [illegible] | [illegible] |
| R | [illegible] | 28.5 | 1.7% | [illegible] | [illegible] |
| S | [illegible] | 21.2 | 1.3% | [illegible] | [illegible] |
| T | [illegible] | 19.4 | 1.1% | [illegible] | [illegible] |
| | [illegible] | 1,694.2 | 100.0% | | |

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: WWW.GEOSTAT.GE

**აუცილებელია სოფლის მეურნეობის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება; აუცილებელია სოფლის მეურნეობის განვითარების დღემდე არსებული პროგრამებისა და პროექტების განხორციელების დროს გამოვლენილი პრობლემებისა და შეცდომების გათვალისწინება. პრობლემები და შეცდომები ამ მიმართულებით საკმარისზე მეტია**




წყარო: გაეროს საერთაშორისო ვაჭრობის ორანიზაცია: COMTRADE.UN.ORG/DATA/




წყარო: გაეროს საერთაშორისო ვაჭრობის ორანიზაცია: COMTRADE.UN.ORG/DATA/

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებას რამდენიმე მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა ხვდება, რომელთა გადალახვაც მხოლოდ სახელმწიფოს ქმედითი ჩარევით არის შესაძლებელი:

**1. სამეურნეო მიწის მაღალი ფრაგმენტაცია** — ოჯახების სარგებლობაში არსებული 0,8 ჰექტარი ფართობის მიწა საშუალოდ 2,2 ნაკვეთად არის განაწილებული და მიწის ასეთ მცირე ფართობზე ვერანაირი ფინანსური დახმარება გრძელვადიანი ეფექტის მქონე ვერ იქნება. აუცილებელია სამეურნეო მიწის ფართობების კონსოლიდაცია. ამისათვის მინიმალური სოციალური რისკის შემცველი გზა კოოპერაციის მხარდაჭერაა. კოოპერაციის მხარდამჭერი დღემდე განხორციელებული ღონისძიებების შედეგები, რბილად რომ ვთქვათ, სახარბიელო არ არის. კოოპერაციის მხარდაჭერისთვის აუცილებელია სპეციალური სახელმწიფო პროგრამის შემუშავება, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის შემადგენელი ნაწილი იქნება;

**2. დაბალი მისაწვდომობა ფინანსებზე** — აუცილებელია სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი სპეციალური ფინანსური ინსტრუმენტარის შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სოფლის მეურნეობის სპეციფიკა. მაგალითად, როდესაც მიწათმოქმედი გაზაფხულზე იღებს კრედიტს სამეურნეო სამუშაოებისთვის, მას დაუყოვნებლივ არ უნდა ჩაურთო მრიცხველი, ვინაიდან იგი შედეგს მხოლოდ შემოდგომაზე მიიღებს. აღარაფერს ვამბობ უფრო გრძელვადიანი სამეურნეო საქმიანობების განხორციელებაზე, როგორიცაა მრავალწლიანი ნარგავების გაშენება ან მეცხოველეობის ფერმის გამართვა;

**3. გასაღების ბაზარი** — სოფლის მურნეობის განვითარების მთავარი ამოცანა ადგილობრივი ბაზრის ათვისება უნდა იყოს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს ადგილობრივი მწარმოებლის ინტერესების დასაცავად. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, განვითარების პროცესის მთავარი გენერატორი ყოველთვის და ყველგან მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები იყო. გამონაკლისი არც საქართველოა.

**პოსტკრისიზული ღონისძიებების შემუშავებისას აუცილებელია პრობლემის სისტემური ხასიათის გათვალისწინება.** შეუძლებელია მხოლოდ სოფლის მეურნეობის ან მხოლოდ დამმუშავებელი მრეწველობის განვითარება. ადრეც მითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებ: შუაგულ ჯოჯოხეთში ცალკე აღებულ კვადრატულ სანტიმეტრზე სამოთხეს ვერ ააშენებ. დამამუშავებელი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა — ეს ორი ყველაზე თვალში საცემი ფრაგმენტია. აუცილებელია ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების კომპლექსური და მაღალი დეტალიზაციის სტრატეგიის შემუშავება, რომელსაც უნდა ერთვოდეს მონტირინგისა და შეფასების ინდიკატორთა ბადე მაჩვენებლების საპასპორტო მონაცემებით (როგორ იანგარიშება მაჩვენებლები, რა არის ინფორმაციის წყარო და ასე შემდეგ) და საპროგნოზო გათვლებით. ეს არის აუცილებელი ღონისძიება. ასეთი მიდგომის გარეშე ყველაფერი იმავე რეჟიმში გაგრძელდება, როგორც აქამდე იყო, ანუ დრეიფის რეჟიმში — უკომპასოდ და საჭის გარეშე.

**ნოდარ კაპანაძე**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ჰიტლერმა, რადგან მოსკოვისა და სტალინგრადის აღებაში მას გენერალი „ტალახი“ და გენერლი „ზამთარი“ უშლიდნენ ხელს, გადაწყვიტა, აუტალახებელ კურსკის ველზე გაეტეხა წელში წითელი არმია და შეადგინა სწრაფი თავდასხმისა და განადგურების გეგმა „ციტადელი“, რომელიც 5 ივლისს უნდა დაწყებულიყო. ჰიტლერის ამ გეგმას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა სატანკო ბრძოლების გამოცდილი სპეციალისტი ჰაინც გუდერიანი, რომელიც უმტკიცებდა ჰიტლერს, რომ ამას მოჰყვებოდა გერმანული სატანკო შეიარაღების აუნაზღაურებელი დანაკარგი, რომელსაც ვეღარ შეავსებდნენ. ამ მოსაზრებას იზიარებდა გენერალი ვალტერ მოდელიც.**

# კურსკის ბრძოლა — ყველაზე მასშტაბური სატანკო შეტაკება კაცობრიობის ისტორიაში

**მეორე მსოფლიო ომი ყველაზე დიდი და სისხლისმღვრელია ომების ისტორიაში. ამ ომმა ყველაზე დიდი ზარალი გამოიწვია როგორც ადამიანური, ისე ეკონომიკური და ტექნიკური დანაკარგების თვალსაზრისით. ამ ყველაზე სისხლისმღვრელ ომში უსაშინელესი შედეგებით გამოირჩვა ათი ბრძოლა, რომელთა მსგავსიც არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას.**

ადამიანის სიცოცხლე ფასდაუდებელი და აუნაზღაურებელია მისთვის, ვინც თავის ადამიანურ დანაკარგებს ითვლის, მაგრამ სხვისი (მტრის) დანაკარგების დათვლაში ადამიანური ცოტა რამ ურევია, ის მხოლოდ მშრალი სტატისტიკაა. გვიახლოვდება დედამიწაზე ყველაზე სისხლისმღვრელი ომის მსხვერპლთა მოგონების დღე — 9 მაისი, რომელიც ჩვენთვის დიდებისა და ზეიმის დღეა, სხვისთვის კი — გლოვის, დამარცხებისა და დანაკარგების დათვლის.

გადავხედოთ იმ ათ ყველაზე სისხლიან ბრძოლებს, რომლებმაც მილიონობით ადამიანთა სიცოცხლე შეიწირა:

**1. სტალინგრადის ბრძოლა** (17.07 1942 წ. — 02.02 1943 წ.). საბჭოთა კავშირიდან დაიღუპა 1 130 000 ადამიანი, გერმანიისა და მისი მოკავშირეების მხრიდან — 1 500 000 ადამიანი; **2. მოსკოვისთვის ბრძოლა** (30.09 1941 წელი — 20.04 1942 წელი). საბჭოთა კავშირი — 937 000 ადამიანი, გერმანია — 582 000 ადამიანი; **3. კიევისთვის ბრძოლა** (17.07 1941 წ. — 13.10 1943 წ.), საბჭოთა კავშირი – 628 000 ადამიანი, გერმანია — 120 000 ადამიანი; **4. ბრძოლა დნეპრისათვის** (26.08 1943წ. – 23.12 1943წ.), საბჭოთა კავშირი — 417 000 ადამიანი, გერმანია — 400 000; **5. კურსკის ბრძოლა** (05.07 1943წ. — 23.08 1943წ.), საბჭოთა კავშირი — 254 000 ადამიანი, გერმანია — 500 000 ადამიანი; **6. ოპერაცია „ბაგრატიონი“** (23.06 1944 წ. — 29.08 1944 წ.). საბჭოთა კავშირი — 178 000, გერმანია — 555 000 ათასი; **7. ვისლა-ოდერისთვის ბრძოლა** (1945 წ 12.01. 1945 წ. — 03.02 1945წ.). საბჭოთა კავშირი — 43 000 ადამიანი, გერმანია 480 000 ათასი ადამიანი; **8. ბრძოლა ბერლინისთვის** (16.04 1945 წ. – 08.05 1945წ.). საბჭოთა კავშირი — 81 000, გემანია — 400 000; **9. ბრძოლა მონტე-კასინოსთან** (17.01. 1944 წ. — 19.03. 1944 წ.). აშშ და მოკავშირეები — 100 000 ადამიანი, გერმანია – 20 000; **10. ბრძოლა ივოძიმასთვის** (19.02 1945 წ. — 28.03. 1945 წ.). აშშ — 8 000, იაპონია — 22 000.

ბერლინში სტალინგრადთან დამარცხების გლოვის დღეები დასრულდა. ფელდმარშალი **პაულიუსი,** „ჩასვენებული“ მდიდრულ კუბოში, რომელზეც **ჰიტლერმა** გამოთხოვებისას ბრილიანტებით შემკული ხმალი დადო, სამარეში დიდებით ჩაუშვეს.

ჰიტლერმა, რადგან მოსკოვისა და სტალინგრადის აღებაში მას გენერალი „ტალახი“ და გენერლი „ზამთარი“ უშლიდნენ ხელს, გადაწყვიტა, აუტალახებელ კურსკის ველზე გაეტეხა წელში წითელი არმია და შეადგინა სწრაფი თავდასხმისა და განადგურების გეგმა „ციტადელი“, რომელიც 5 ივლისს უნდა დაწყებულიყო. ჰიტლერის ამ გეგმას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა სატანკო ბრძოლების გამოცდილი სპეციალისტი **ჰაინც გუდერიანი**, რომელიც უმტკიცებდა ჰიტლერს, რომ ამას მოჰყვებოდა გერმანული სატანკო შეიარაღების აუნაზღაურებელი დანაკარგი, რომელსაც ვეღარ შეავსებდნენ. ამ მოსაზრებას იზიარებდა გენერალი **ვალტერ მოდელიც.**

ჰიტლერმა „პოლიტიკური მოსაზრებებით“ გეგმა „ციტადელი“ უცვლელი დატოვა.

1943 წლის 5 ივლისს კურსკთან თავი მოიყარა გერმანელთა 900-ათასიანმა არმიამ 2700 ტანკით, 1200 თვითმფრინავითა და ამდენივე საველე ქვემეხით. სტალინს დაზვერვისგან მიღებული ჰქონდა დაშიფრული ტელეგრამა შეტევის დაწყების ზუსტი თარიღის შესახებ, ამიტომ, მისი უშუალო განკარგულებით, 2 000 000 ჯარისკაცი 8000 ტანკსაწინააღმდეგო დანადგარით, 3600 ტანკითა და 4000 თვითმფრინავით კურსკის რკალზე განლაგდა.

5 ივლისს ვერმახტმა საბჭოთა პოზიციების საარტილერიო დაბომბვა დაიწყო. საბჭოთა ჯარებმა სტრატეგიული თვალსაზრისით უკან დაიხიეს და დადევნებული გერმანული ჯარები რკალში მოიქციეს. მცირე ხნის განმავლობაში გაანადგურეს 20 000 ფაშისტი ჯარისკაცი. ჰიტლერის ბრძანებით გერმანიის ჯარის ნაწილებმა უკან დახევა დაიწყეს, მაგრამ ბრძოლებს განაგრძობდნენ.

**1943 წლის 5 ივლისს დაიწყო უდიდესი სატანკო ბრძოლა, რომელსაც მსოფლიო ომების ისტორიაში ანალოგი არ მოეპოვება. ორივე მხრიდან ბრძოლაში მონაწილეობდა 5000-მდე ტანკი, 5000-მდე თვითმფრინავი, 3 000 000 ჯარისკაცი. ბრძოლის შედეგად ცა ქუხდა, მიწა გრგვინავდა. კურსკის ბრძოლა იქცა ნამდვილ ჯოჯოხეთად, რომელშიც ერთმანეთს ეჯახებოდა ციდან ჩამოყრილი ჭურვები და დედამიწიდან ჰაერში ატყორცნილი ტანკების ჯავშნის უზარმაზარი ნაგლეჯები. ტანკების პირდაპირი დაჯახების გამაყრუებელ ხმაურში დაკარგული იყო ადამიანურობის ყველანაირი ნიშანი.** იქ მხოლოდ გამაყრუებელი აფეთქების ხმა ისმოდა, თითქოს ამ ყველაფრის გამომწვევი ადამიანი არ ყოფილიყო. გამაოგნებელმა საარტილერიო მეხთატეხამ ვერმახტის საუკეთესო ნაწილები სასოწარკვეთილებაში ჩააგდო და არაორგანიზებულად უკან დახევა დაიწყეს. საბჭოთა მეომრებმა იცოდნენ, რა ხაფანგიც დაუგეს მოწინააღმდეგეს და, როცა იგრძნეს მტერზე დიდი უპირატესობა, გააფთრებული მეომრები მომხდურთ უკანასკნელ თავშესაფრამდე მისდევდნენ.



**1943 წლის 5 ივლისს კურსკთან თავი მოიყარა გერმანელთა 900-ათასიანმა არმიამ 2700 ტანკით, 1200 თვითმფრინავითა და ამდენივე საველე ქვემეხით. სტალინს დაზვერვისგან მიღებული ჰქონდა დაშიფრული ტელეგრამა შეტევის დაწყების ზუსტი თარიღის შესახებ, ამიტომ, მისი უშუალო განკარგულებით, 2 000 000 ჯარისკაცი 8000 ტანკსაწინააღმდეგო დანადგარით, 3600 ტანკითა და 4000 თვითმფრინავით კურსკის რკალზე განლაგდა**



**კურსკის ბრძოლა 50 დღის განმავლობაში გრძელდებოდა, გერმანელებმა დაკარგეს 30 დივიზია 500 000 ჯარისკაცით. საბჭოთა ავიაცია უკვე ბატონობდა მთელ საჰაერო სივრცეზე.** ნიურნბერგის პროცესზე, როდესაც საჭირო ხდებოდა ბრძოლების ზოგიერთი მომენტის განხილვა, ერთი ასეთი განხილვისას ვერმახტის უმაღლესი მთავარსარდლობის ოპერატიულმა ხელმძღვანელმა **ალფრედ იოდლმა** განაცხადა: **„როდესაც კურსკის ოპერაციის გეგმა „ციტადელს“ ვადგენდით და ვიხილავდით, ვიმედოვნებდით, რომ მოულოდნელობის ეფექტით იმუშავებდა ბრძოლის დაწყების მომენტში, მაგრამ, როგორც ირკვევა, სანამ მას ფიურერი ხელს მოაწერდა, მანამდე ის სტალინს ედო მაგიდაზე და შემხვედრ გეგმას ადგენდა და ამუშავებდა“.**

ავტორი წიგნისა „სტალინი ბოროტი გენია“ **ნიკილოზ ცვეტოვი**, კურსკის ბრძოლებში სტალინის გენიალურობით დაბრმავებული, ბოროტად აცხადებს, რომ სტალინი ბრძოლის სტრატეგიას **ჟუკოვისა** და **ვასილევსკის** თავებზე გავლით ამუშავებდა. არადა, სწორედ კურსკში მისწერა სტალინმა დაშიფრული ტელეგრამა ვასილევსკის: **„თუ კიდევ დააგვიანებ შტაბში ცნობის გადმოცემას, თანამდებობიდან მოგხსნი და ზურგში გადაგიყვან სამუშაოდ“.**

როგორც უცხოური საარქივო მასალებიდან ირკვევა, ომის ნამდვილი ისტორია ჩვენ არ გვაქვს, გარდა იმ „მონადირე“ მემუარისტების ნაამბობისა, რომლებიც მდარე ლიტერატურული ნაწარმოებებია მხოლოდ.

1942 წელს, სტალინის ბრძანებით, გენერალურ შტაბში შეუქმნიათ ცალკე განყოფილება, რომელიც დაკომპლექტებული ყოფილა სამხედრო სპეციალისტებისა და ისტორიკოსებისაგან, რომლებსაც უნდა ჩაეტარებინათ ექსპერტიზა ყველა დიდი ოპერაციისა, სად რა შეცდომა იყო დაშვებული ამა თუ იმ საბრძოლო ოპერაციის განხორციელებისას, რომელიც სახელმძღვანელო იქნებოდა მომავალში მოსალოდნელი ომის შემთხვევაში. კვლევა უნდა ყოფილიყო, როგორც ბრძოლის წარმატებით დასრულების, ასევე წარუმატებლობის შემთხვევაშიც.

ომის ისტორიის დაწერა არ შეიძლება თურმე მხოლოდ ერთი მხარის ხელთ არსებული მასალებით. ომის ისტორია იწერება ომში მონაწილე მხარეთა შორის არსებული მასალების შეჯერებით. ჯერ კიდევ გაურკვეველია, როგორ მოხვდა გერმანიის ყველა საქმე ამერიკელთა ხელში, რომელთა მიღება გერმანელმა ხალხმა გარკვეული წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ შეძლო და ისიც ასლების სახით. და თუ სხვა ქვეყნის წარმომადგენელს დასჭირდება მათი გამოყენება, ამა თუ იმ დოკუმენტის გასაცნობად საკმაო თანხაა საჭირო. ამიტომაც წუხს საბჭოთა კავშირის გმირი, მწერალი **მიხეილ ბულატოვი**, რომ ჩვენი სამამულო ომის ისტორია სანახევროდ დაწერილი ისტორიაა. ამის თქმის საშუალება მას მისცა იმან, რომ გარკვეული დროით იმუშავა აშშ-ის არქივის შესაბამის განყოფილებაში. მიხეილ ბულატოვი ამბობს, რომ კურსკის ბრძოლაში გერმანელთა მთავარი დამრტყმელი ძალის, უმსხვილესი სატანკო გაერთიანების სარდალმა, ფელდმარშალმა რომელმა ჰიტლერს ორჯერ განუცხადა უარი არმიის სარდლობაზე, — ოპერაცია „ცოტადელი“ განწირულია და ჩვენ რუსებს ვერ მოვერევითო. ბულატოვის თქმით, გერმანელი მარშლების ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ჰიტლერი ვერ ერკვევა ომის მიმდინარეობაში და დაბნეულია, მაგრამ პრინციპებს არ ცვლის.

სწორედ გერმანულ საარქივო მასალებში ამოიკითხა ბულატოვმა, რომ **მხოლოდ კურსკთან ბრძოლის გეგმამ არ გადაწყვიტა საბჭოთ არმიის წარმატება. სტალინმა შორსმჭვრეტელურად გათვალა კურსკამდელი ბრძოლების მნიშვნელობა, მოამზადა სამხედრო ეკონომიკა, განამტკიცა სტალინგრადის გამარჯვების იდეური მხარე და ფრონტს გმირობის სული შთაბერა და სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა ორიოლთან** ▶

**„კურსკის ბრძოლა დასრულდა გერმანელ ფაშისტთა ჯარების ორი ძირითადი შემტევი ჯგუფის განადგურებითა და საბჭოთა ჯარების კონტრშეტევაზე გადასვლით, რომელიც შემდეგ წითელი არმიის მძლავრ შეტევად გადაიქცა. ბრძოლა კურსკზე ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან გერმანელების შეტევით დაიწყო. ეს იყო გერმანელთა უკანასკნელი ცდა, დაეწყოთ ზაფხულის დიდი შეტევა და მისი წარმატების შემთხვევაში აენაზღაურებინათ ის, რაც დაკარგეს სტალინგრადთან. გერმანელთა შეტევა მარცხით დასრულდა — წითელმა არმიამ არა მხოლოდ მოიგერია გერმანელთა შეტევა, არამედ თვითონ გადავიდა შეტევაზე და ზაფხულის პერიოდში თანმიმდევრული დარტყმებით მდინარე დნეპრს გაღმა გადარეკა გერმანელ ფაშისტთა ჯარები“.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ მრავალშრიანი დაცვის მოწყობა, რომელიც შეტევის დაწყების წინაპირობა იყო.** ასე რომ, სტალინს სააშკარაოზე არ გამოჰქონდა ომის წარმატებისა თუ წარუმატებლობის საკითხები და ხალხს მხოლოდ გამარჯვების ტკბობით ამშვიდებდა, ომზე კინოფილმების ჩვენებაც კი შეზღუდა. მან მითითება მისცა რესპუბლიკებს, რომელი ჟანრის ფილმები უნდა გადაეღოთ ხალხის გასახალისებლად.

სტალინის მოულოდნელი გარდაცვალებისთანავე წაიშალა ყოველივე სტალინისეული, რომლებსაც ახლა გაბნეული მარგალიტებივით აქა-იქ ვეძებთ და ვაგროვებთ, მაგრამ ამას არცთუ დიდი მონდომებით ვაკეთებთ.

გერმანული საარქივო მასალებით ირკვევა, რომ ოპერაცია „ციტადელის“ გეგმა, რომელსაც ჰიტლერმა 15 აპრილს მოაწერა ხელი, 12 აპრილს სტალინს თავის მაგიდაზე ედო, რამაც ათქმევინა სიტყვები: „გაფრთხილებული ხარ? — ესე იგი, შეიარაღებული ხარ“.

გერმანელთა მთავარსარდლობამ იცოდა, რომ ოპერაცია „ციტადელის“ შესახებ იცოდა სტალინმაც, მაგრამ ჯაშუშის კვალს ვერაფრით მიაგნეს. თუ ვინ აწვდიდა ჰიტლერის უახლოესი გარემოცვიდან ყველა საიდუმლოებას, რომლებსაც უშუალოდ იღებდა, ეს სტალინმა იმქვეყნად წაიღო. ისე, როგორც ბევრი სხვა რამ...

კურსკის ბრძოლის დაწყება ჰიტლერისთვის უდიდესი რისკის შემცველი იყო. ამ ბრძოლას უნდა მოეწმინდა ნამუსი მსოფლიოში უძლეველად ცნობილი ვერმახტის ჯარებისთვის, რომლებმაც ჯერ მოსკოვთან, ხოლო შემდეგ სტალინგრადთან ტალახში ამოსვარეს უძლეველობის შარავანდედი. სტალინური ბრძოლების მასტერკლასმა განაცვიფრა მსოფლიო, მათ შორის, გერმანული მთავარსარდლობაც.

ჰიტლერი ვარსკვლავთმრიცხველებთან აზუსტებდა ბრძოლის გეგმას, სტალინი კი ბრძოლების სტრატეგიულ რუკებს დღედაღამ ათასფერი ხაზებით ფარავდა. თვითონ ჰიტლერსა და მის მთავარსარდლებსაც კარგად ესმოდათ, რომ მათი ჯარები ისეთი აღარ იყო, როგორიც ომის პირველ დღეებში გამოიყვანეს ბრძოლის ველზე, ხოლო წითელი არმია ორი წლის განმავლობაში საოცრად გაძლიერდა და ბრძოლებისთვის კარგად მოემზადა.

ჰიტლერს სულ სხვა პოლიტიკური ინტერესი ამოძრავებდა, გარდა სამხედრო ინტერესებისა. „კურსკის ბრძოლამ უნდა განაცვიფროს მოსკოვის მისადგომებთან სიცივისგან აკანკალებულ მსოფლიო“, „ჩვენ კურკსთან უნდა გავიმარჯვოთ ძლევამოსილად, ლამაზად, საბჭოეთმა მომავალში ვერასოდეს რომ ველარ აღმართოს საბრძოლო დიდების წითელი დროშა“, — ამბობდა ჰიტლერი.

კურსკთან ვერმახტმა მსოფლიოს დასანახავად გამოიყვანა იმხანად უძლიერესი და უახლესი სატანკო შენაერთები „ტიგრებით“, „პანტერებით“ და „ფერდინანდებით“ შეიარაღებული, რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ მსოფლიოს. 1943 წლის ზაფხულის კამპანიის პომპეზურობა ჰიტლერის ყველა გამარჯვების საზეიმო განწყობას აჭარბებდა.

ის პატრიოტიზმი და ჯარისკაცული რუსული სული, რომელიც თითოეულ ჯარისკაცში აანთო სტალინურმა პროპაგანდამ მხოლოდ და მხოლოდ მთავარსარდალმა იცოდა, იცოდა თითოეული არმიის, დივიზიისა თუ ქვედანაყოფის უშუალო მეთაურისაგან. სტალინმა იცოდა, რომ ორიოლთან გაუგონარი ორთაბრძოლა გაიმართებოდა. ძნელია, კალმით ან კინოფილმით აღიწეროს ის მეხთატეხა, რომელიც ერთ დღეს მოხდა, როცა ერთ გარკვეულ მონაკვეთზე მიწაზე ერთმანეთს ეკვეთნენ მოწინააღმდეგეთა ტანკები, ჯარისკაცები, ჰაერში — თვითმფრინავები. წარმოდგენა შეუძლებელია იმ თავგანწირვისა, რომელსაც ორივე მხარის მებრძოდები იჩენდნენ. ტყვია-წამალშემოლეული ტანკისტები ლუკებიდან ამოდიოდნენ და ხელჩართულ ბრძოლებში ებმებოდნენ. ზოგიერთი მოძველებული საბჭოთა ტანკი ტარანზე მიდიოდა უძლეველ „ტიგრზე“ და ორივე ფეთქდებოდა. მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ გერმანელთა სატანკო შენაერთები საბჭოთა მფრინავებმა ჰაერიდან გაანადგურეს, მანამ, სანამ ბრძოლის ველზე შეიჭრებოდნენ.

რით იყო გაპირობებული ეს არნახული შემართება, როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან?

„სტალინგრადის ბრძოლა დამთავრდა გერმანელთა 300-ათასიანი არმიის ალყაში მოქცევით, მისი განადგურებითა და გარშემორტყმული ჯარების დაახლოებით 1/3 -ის დატყვევებით. წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ისტორიაში იმ უმაგალითო ხოცვა-ჟლეტის ფარგლებზე, რომელიც სტალინგრადთან დატრიალდა, უნდა ვიცოდეთ, რომ სტალინგრადის ბრძოლის დამთავრების შემდეგ დამარხულ იქნა 147 200 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და 46 700 საბჭოთა ჯარისკაცი და ოფიცერი. სტალინგრადთან გერმანელი ფაშისტების არმიის მზის ჩასვენება დაიწყო. სტალინგრადთან გამანადგურებელი მარცხის განცდის შემდეგ გერმანელებმა, როგორც ცნობილია, ვეღარ შეძლეს წელში გამართვა.

რაც შეეხება კურსკის ბრძოლას, იგი დასრულდა გერმანელ ფაშისტთა ჯარების ორი ძირითადი შემტევი ჯგუფის განადგურებითა და საბჭოთა ჯარების კონტრშეტევაზე გადასვლით, რომელიც შემდეგ წითელი არმიის მძლავრ შეტევად გადაიქცა. ბრძოლა კურსკზე ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან გერმანელების შეტევით დაიწყო. ეს იყო გერმანელთა უკანასკნელი ცდა, დაეწყოთ ზაფხულის დიდი შეტევა და მისი წარმატების შემთხვევაში აენაზღაურებინათ ის, რაც დაკარგეს სტალინგრადთან. როგორც ცნობილია, გერმანელთა შეტევა მარცხით დასრულდა — წითელმა არმიამ არა მხოლოდ მოიგერია გერმანელთა შეტევა, არამედ თვითონ გადავიდა შეტევაზე და ზაფხულის პერიოდში თანმიმდევრული დარტყმებით მდინარე დნეპრს გაღმა გადარეკა გერმანელ ფაშისტთა ჯარები.

**თუ სტალინგრადთან ბრძოლა გერმანელ ფაშისტთა არმიის მზის ჩასვენებას მოასწავებდა, კურსკთან ბრძოლამ იგი კატასტროფის წინაშე დააყენა“,** — განაცხადა სტალინმა (ნაწყვეტი 1943 წლის 6 ნოემბერს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 26-ე წლისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე გამოსვლიდან).




**1943 წლის 5 ივლისს დაიწყო უდიდესი სატანკო ბრძოლა, რომელსაც მსოფლიო ომების ისტორიაში ანალოგი არ მოეპოვება. ორივე მხრიდან ბრძოლაში მონაწილეობდა 5000-მდე ტანკი, 5000-მდე თვითმფრინავი, 3 000 000 ჯარისკაცი. ბრძოლის შედეგად ცა ქუხდა, მიწა გრგვინავდა. კურსკის ბრძოლა იქცა ნამდვილ ჯოჯოხეთად, რომელშიც ერთმანეთს ეჯახებოდა ციდან ჩამოყრილი ჭურვები და დედამიწიდან ჰაერში ატყორცნილი ტანკების ჯავშნის უზარმაზარი ნაგლეჯები**

* კურსკის ბრძოლა, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა, გინესის წიგნშია შეტანილი, როგორც ყველა დროის ყველაზე მასშტაბური სატანკო დაპირისპირება.

წითელი არმია თავის კეთილშობილურ მისიას ასრულებდა — იცავდა სამშობლოს, მას თან სდევდა მოსკოვთან გამოჩენილი გმირობა, სტალინგრადის უკვდავი ეპოპეა. საბჭოთა მეომრის ხელში ბრწყინავდა დიდი ბრიტანეთის მეფის — გიორგი მეექვსის სტალინგრადის გმირი დამცველებისთვის გამოგზავნილი უნიკალური საბრძოლო ხმალი, რომელიც ჩერჩილმა სტალინს მიართვა. ყველა მებრძოლის საბრძოლო ლოზუნგი იყო: **„სამშობლოსათვის, სტალინისათვის!“.** ყველა თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული იყო ლეჩაქმოხდილი დედის შეძახილი: „დედასამშობლო გვიხმობს!“

ჰიტლერულ გერმანიას სდევდა ელვისებური ომის ჩაფუშვა, მოსკოვთან სამარცხვინო დამარცხება, სტალინგრადთან ფელდმარშალ პაულიუსის დატყვევება 300 000-იან არმიასთან ერთად და ეს სამარცხვინო ლაქები უნდა ჩამოერეცხათ კურსკთან, რადაც უნდა დაჯდომოდათ.


კურსკის ბრძოლის სახელობის მემორიალური არკა

**კურსკთან სამომავლო ბრძოლამ და ჰიტლერის ტრაბახმა ისე შეაშინა უინსტონ ჩერჩილი, რომ სტალინს შეუფარავად განუცხადა: „შეიძლება ლენდ-ლიზი შევწყვიტოთ, რადგანაც თვითონ დაგვჭირდება იარაღი, დღედღეზე სიცილიაში უნდა გადავსხათ ჯარები“. სტალინმა ჩერჩილს არაფერი უპასუხა, მაგრამ ჟუკოვსა და ვასილევსკის ჩვეულებრივი ტონით გადაულაპარაკა: „ჩვენ მოკავშირეების გარეშეც მოვუვლით ჰიტლერს“.**

კურსკის ჯოჯოხეთურ ბრძოლაში გამარჯვებას 227 ქვემეხიდან 24 საარტილერიო ზალპით მიესალმა მოსკოვი 1943 წლის 23 აგვისტოს.

ამ დღიდან 1945 წლის პოტსდამის კონფერენციამდე სტალინი დიპლომატიაზე ლექციებს უკითხავდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ხელმძღვანელებს, რომელიც 1945 წლის შემოდგომაზე ბერლინში, დაბომბვას გადარჩენილ ერთი მემამულის სასახლეში — ციცელიენჰოფში — ტრიუმფით დასრულდა.





**გრიგოლ ონიანი**

დასასრულის დასაწყისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**30 მარტს უნგრეთის პარლამენტმა, რომლის ორი მესამედი ქვეყნის პრემიერმინისტრ ვიქტორ ორბანის პარტია „ფიდესის“ წარმომადგენელია, ქვეყანაში შემოიღო საგანგებო მდგომარეობა და მინისტრთა კაბინეტს ფართო უფლებები მიანიჭა ინფექციის საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად. ევროპოლიტიკოსებმა ამას დიქტატურისკენ გადადგმული ნაბიჯი უწოდეს, განსაკუთრებით მიუთითებენ იმაზე, რომ ორბანს თითქმის შეუზღუდავი უფლებამოსილებები განუსაზღვრელი ვადით გადაეცა, მაგრამ, ასეთი რამ იმ ქვეყანაში რომ მომხდარიყო, რომელსაც ბრიუსელი კარგი თვალით უყურებს, მაგალითად, ფინეთში ან პორტუგალიაში, სკანდალი არ ატყდებოდა.**

# ევროკავშირს კიდევ ერთი ბზარი გაუჩნდა

**კორონავირუსით დასნებოვნებულ ევროკავშირში „მოღალატე“ და „ავადმყოფი ადამიანი“ გამოავლინეს. მოუწოდებენ, რომ უნგრეთის წარმომადგენლები ევროკავშირის მმართველი სტრუქტურებიდან გააძევონ, რადგან ამ ქვეყნის პრემიერმინისტრმა ვიქტორ ორბანმა დიქტატორული უფლებამოსილებები მიითვისა. პანდემიის პერიოდში ატეხილი ეს სკანდალი კიდევ ერთხელ წარმოაჩენს იმას, რომ „ერთიანი ევროპა“ სულაც არ არის ერთიანი და ბრიტანეთს, როცა ევროკავშირი დატოვა, კარი არ მიუხურავს.**

„არ შეიძლება უნგრეთის მთავრობის დაშვება იმ მაგიდასთან, რომლის გარშემოც იკრიბებიან ევროპული ინსტიტუტების წარმომადგენლები“ ეს ფრაზა ეკუთვნის ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრ **ჟან ასელბორნს.** ის მოუწოდებს, ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი **უნგრეთი** „პოლიტიკურ კარანტინში“ გაამწესონ, ამ ქვეყნის მთავრობის წევრები კი ევროკავშირის მინისტრთა საბჭოდან გარიცხონ.

ეს არ ნიშნავს უნგრეთის გარიცხვას ევროკავშირიდან, თუმცა შეიძლება ეწოდოს გარიცხვისკენ გადადგმული „პირველი ნაბიჯი“ და მაქსიმალურად მკაცრი სასჯელი. ევროკავშირში ბევრია მინისტრთა საბჭო. თავისი აქვთ ფინანსთა მინისტრებს, თავისი — თავდაცვის მინისტრებს და ა.შ. ანუ, ევროკავშირის ცხოვრებაზე გადაწყვეტილებები შეიძლება მიიღონ ბუდაპეშტის გარეშე.

ასეთი მუქარები უწინ მხოლოდ **პოლონეთის** მიმართ ისმოდა, სადაც კლერიკალურ-ნაციონალისტურმა მმართველმა პარტიამ „სამართალი და სამართლიანობა“ ჩაიფიქრა, განეხორციელებინა რეფორმა, რომელიც ზღუდავდა მოსამართლეების დამოუკიდებლობას. ბრიუსელში მანამდეც არ ეხატებოდათ გულზე ძმებ **კაჩინსკების** პარტია, რომელსაც ბნელეთის მოციქულებს უწოდებდნენ, ახლა კი ევროპელი მაღალჩინოსნები ყალყზე შედგნენ და, პოლონეთის ჰონორის მიუხედავად, თავისი მაინც გაიტანეს: რეფორმა შეკვეცილი ვერსიით განხორციელდა.

ამჟამად ემუქრებიან უნგრეთს და არავინ იფიქროს, რომ ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრი უმნიშვნელო ფიგურაა. პატარა საჰერცოგო ევროკავშირისა და შენგენის ზონის ერთ-ერთი დამფუძნებელია, ხოლო მისი პრემიერი ევროპის პოლიტიკის აღიარებული პატრიარქი. **ჟან-კლოდ იუნკერი** 5 წლის განმავლობაში მეთაურობდა ევროკომისიას და მესამე ლუქსემბურგელი იყო ამ თანამდებობაზე.

თვითონ ასელბორნი ძალიან გამოცდილია იმისთვის, რომ სიტყვები ჰაერში ისროლოს. თავისი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს ის უკვე 10 წელი ხელმძღვანელობს, მანამდე კი აქტიურად მუშაობდა ევროკავშირის სტრუქტურებში, მათ შორის მინისტრთა საბჭოშიც. ყოველ შემთხვევაში ის გამოხატავს ბრიუსელელი ბიუროკრატების აწონილ-დაწონილ თვალსაზრისს, ოღონდ უფრო მკვეთრი ფორმით. იუნკერის მემკვიდრემ ევროკავშირის მეთაურის პოსტზე — **ურსულა ფონ დერ ლაიენმა,** აგრეთვე, გაავრცელა სპეციალური განცხადება, რომელშიც ევროკავშირის ქვეყნებისგან მოითხოვა, თავს არ დაესხან „მოქალაქეების ფუნდამენტურ უფლებებს“ და „მასმედიის თავისუფლებას“. და თუმცა „ცუდი ქვეყანა“ არ დასახელებულა, ევრობომონდისთვის ნათელია, ვისზეა ლაპარაკი.

რით განარისხა უნგრეთის მთავრობამ ევროკავშირი? — იმით, რითაც არის დაკავებული ახლა ევროპისა და მსოფლიოს თითოეული ქვეყნის მთავრობა კორონავირუსთან ბრძოლაში.

**30 მარტს უნგრეთის პარლამენტმა, რომლის ორი მესამედი ქვეყნის პრემიერმინისტრ ვიქტორ ორბანის პარტია „ფიდესის“ წარმომადგენელია, ქვეყანაში შემოიღო საგანგებო მდგომარეობა და მინისტრთა კაბინეტს ფართო უფლებები მიანიჭა ინფექციის საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად. ევროპოლიტიკოსებმა ამას დიქტატურისკენ გადადგმული ნაბიჯი უწოდეს, განსაკუთრებით მიუთითებენ იმაზე, რომ ორბანს თითქმის შეუზღუდავი უფლებამოსილებები განუსაზღვრელი ვადით გადაეცა, მაგრამ, ასეთი რამ იმ ქვეყანაში რომ მომხდარიყო, რომელსაც ბრიუსელი კარგი თვალით უყურებს, მაგალითად, ფინეთში ან პორტუგალიაში, სკანდალი არ ატყდებოდა.**

მაგრამ ეს ორბანია, რომელსაც არ ენდობიან. მასში ხედავენ მტერს და თეთრკანიან ტეტიას წარსულიდან, რომელიც ელოდა მომენტს, რათა ავტოკრატია დაემყარებინა უნგრეთში.

**ორბანი არ უყვართ ბევრი მიზეზის გამო. მათ შორის, პირველია ის, რომ ძალიან კონსერვატიულია, ევროკავშირის საზომებით კატეგორიულად ეწინააღმდეგება მიგრაციას და მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომელიც უარყოფს ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინებას და გულისხმობს აბორტების აკრძალვას.**

**მეორე** — ის ანტიგლობალისტი და ევროსკეპტიკოსია, რომელიც ბრიუსელელ ბიუროკრატებს უპირისპირდება. ასე რომ, ახლა ეს უკვე პირადულიც არის. ორბანი სარგებლობს ევროკავშირის საშინაო პრობლემებითა და ამ გაერთიანების ხელმძღვანელების პოპულარობის დაცემით და მათ უპირისპირდება, როგორც ქრისტიანობის, უნგრელთა იდენტობისა და ეროვნული სუვერენიტეტის დამცველი. უნგრელები პატრიოტი ერია, მათ ეს მოსწონთ.

**მესამე** — ორბანი დაუძინებელი მტერია თანამემამულის, ფინანსისტ **ჯორჯ სოროსისა**, რომელიც, დიდი ხანია, ცდილობს მის ჩამოშორებას უნგრეთის ხელისუფლებიდან და ბრიუსელელ ბიუროკრატიას ბითუმად ყიდულობს.


ვიქტორ ორბანი

**ორბანი არ უყვართ ბევრი მიზეზის გამო. მათ შორის, პირველია ის, რომ ძალიან კონსერვატიულია, ევროკავშირის საზომებით კატეგორიულად ეწინააღმდეგება მიგრაციას და მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომელიც უარყოფს ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინებას და გულისხმობს აბორტების აკრძალვას. ორბანი დაუძინებელი მტერია თანამემამულის — ფინანსისტ ჯორჯ სოროსისა, რომელიც, დიდი ხანია, ცდილობს მის ჩამოშორებას უნგრეთის ხელისუფლებიდან და ბრიუსელელ ბიუროკრატიას ბითუმად ყიდულობს**


ჟან ასელბორნი


ურსულა ფონ დერ ლაიენი



უნგრეთის პრემიერს „ევროკავშირის უკანასკნელ დიქტატორს“ ეძახიან, აგრეთვე, „ევროპის პუტინსაც“, რადგან რუსეთის პრეზიდენტთან კარგი სამუშაო ურთიერთობა აქვს. ორბანი „სანქციების ომის“ კატეგორიული წინააღმდეგია (სანქციებისგან ძალიან ზარალდებიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების უნგრელი მწარმოებლები), აგრეთვე, განათლების უკრაინიზაციის, რომელსაც ატარებს ოფიციალური კიევი (ის ურტყამს ამიერკარპატებში მცხოვრები უნგრელების ინტერესებს). და, რასაკვირველია, ბრიუსელის თვალში ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაკლია ორბანის ხელისუფლებისა.

უფრო გასაგები რომ იყოს, არანაირ განსაკუთრებულ საპოლიციო ზომას უნგრეთში არ მიმართავენ. იქ კარანტინი ისეთივე შეზღუდვებით არის, როგორიც ბევრ ქვეყანაში თვითიზოლაციის რეჟიმია, საპარიკმახეროში წასვლაც კი დასაშვებია...

აი **ნიდერლანდებში** კი, ევროკავშირის ფრიადოსან ქვეყანაში, ნაბრძანებია, რომ „სამზე მეტი არ შეიკრიბონ“. სხვა საქმეა, რომ უნგრეთში დააწესეს პასუხისმგებლობა კორონავირუსის შესახებ ფეიკების (ყალბი ინფორმაციის) გავრცელებაზე (ისე, საქართველოშიც არ გვაწყენდა მსგავსი რეგულაციის შემოღება — გ.გ.). ანალოგიური რამ გაკეთდა რუსეთშიც, მაგრამ ეს ევროკავშირის საზომით არატიპურია. ამით არის განპირობებული „სიტყვის თავისუფლების“ მოხსენიება ურსულა ფონ დერ ლაიენის განცხადებაში.

**მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირიდან ზოგიერთი აღმოსავლეთევროპული ქვეყნის გამოყოფა სრულიად შესაძლებელია, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ასელბორნის მუქარა შესრულდება: ამჟამად ევროკავშირში არავის სცხელა ორბანისა და მისი ფართო უფლებამოსილებებისთვის, უფრო მეტიც — ორბანს აქვს შანსი, პოლონელებისგან განსხვავებით, არაფერი დათმოს და თავისი ბრიუსელელი მტრები ძალიან არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენოს...**

პანდემიის ფონზე ევრობიუროკრატიამ თავი ძალიან ცუდი მხრიდან წარმოაჩინა, ერთიანი ევროპული სივრცის კონცეფცია კი სასწრაფოდ გაუქმდა უკეთესი დროების მოლოდინში. მწვავე კრიზისის პირობებში მაღალჩინოსნებს, რომელთა არსებობის აზრიც გაუგებარია, მით უმეტეს, ახლა, შეეძლოთ, უკეთესი რალაცისთვის მოეკიდებინათ ხელი, ვიდრე ორბანთან ანგარიშსწორებაა. იმიტომ, რომ საბოლოოდ ყველაფერი თავის ადგილზე დაბრუნდება და პრემიერის უფლებამოსილებებიც ისეთივე იქნება, როგორიც იყო.

**თუ სტერეოტიპურ აზროვნებას თავს დავანებებთ, ორბანი სულაც არ არის დიქტატორი, არც პოტენციური დიქტატორია. დიახ, ვოლუნტარისტია, დიახ, ცბიერი მელაა, მაგრამ მეტი არაფერი. ბრიუსელელი ბიუროკრატების ერთგვარ მავნებლებად წარმოჩენა ორბანისთვის ძალიან სასარგებლოა, რადგან აღნიშნულ ბიუროკრატებთან ასოცირდება უნგრეთის ლიბერალური ოპოზიცია.**

სამშობლოს მხსნელის დიდების გვირგვინი ორბანს იმიტომაც წაადგება, რომ მის მიმართ პრეტენზიები გაუჩნდათ უნგრელებსაც: ვიღაცას ის, უბრალოდ, მოსწყინდა; ვიღაცას ახსოვს მისი გარემოცვის წევრის კორუფციული სკანდალი; ვიღაც გეების ქომაგია და ა.შ. ამ ქარიზმულ ლიდერს კი, უწინარესად, პატივს სცემდნენ ქვეყნის ეკონომიკის მაჩვენებლების ზრდისთვის, ახლა კი უნგრეთის ეკონომიკას ჩამოშლით დაემუქრა კორონავირუსი. მოკლედ, ორბანის ამჟამინდელი ამოცანა ეპიდემიის შეტევის მოგერიებაა. გამარჯვების შემთხვევაში მას პატივს მიაგებენ, როგორც კორონავირუსსა და ბრიუსელელ ბიუროკრატებზე გამარჯვებულს. ევროჩინოსნები, მართალია, არ კლავენ მოხუცებს, მაგრამ მათი ღირსებების ჩამოთვლა და არსებობის დასაბუთება ყოველდღე რთულდება.

**vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**გაერომ გამოაცხადა, რომ საზღვრების საყოველთაო დახურვის შედეგად ევროკავშირს პროდუქტების დეფიციტის საფრთხე დაემუქრება. საქმე მხოლოდ ის არ არის, რომ საწარმოების გაჩერება ბევრი მათგანის გაკოტრებას გამოიწვევს, არამედ ისიც, რომ მდიდარი ქვეყნის ფერმერები იყენებდნენ იაფ მუშახელს აღმოსავლეთ ევროპიდან — ბულგარეთიდან, რუმინეთიდან, უკრაინიდან. ახლა გასტერბაიტერების ნაკადი შეწყვეტილია, არადა, პირველი მოსავლის აღების დრო მოახლოვდა. იტალიაში უკვე ამ ზაფხულს 50 ათასი მუშახელის დეფიციტს წინასწარმეტყველებენ, საფრანგეთში 200 ათასი სეზონურად მომუშავეა საჭირო, გერმანიაში — 300 ათასი.**

**ევროკავშირისგან მიტოვებული**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# იტალიელები ევროკავშირის დროშებს ხსნიან და რუსებს მადლობას უხდიან

## ქვეყანა აღარ არის აივანზე სიმღერების შესრულების განწყობაზე და მშიერ ბუნტს ელოდება

**იტალიაში ძალას იკრებს ფლეშმობი, რომლის არსიც ევროკავშირის დროშების ჩამოხსნაა. ეს გამოწვეულია იმით, რომ ევროკავშირელმა პარტნიორებმა კორონავირუსის აფეთქების კრიტიკულ მომენტში იტალია ბედის ანაბარა მიატოვეს და მიითვისეს დახმარება, რომელიც იტალიისთვის იყო განკუთვნილი.**



ფაბიო რამპელი



30 მარტს **ფაბიო რამპელიმ**, იტალიის დეპუტატების პალატის ვიცეპრეზიდენტმა, თავის კაბინეტში ევროკავშირის დროშა ჩამოხსნა. ამ ქმედების ამსახველი ვიდეო მან YouTube-ზე გამოაქვეყნა.

ხელთათმანებითა და ნიღბით აღჭურვილმა რამპელიმ დემონსტრაციულად ჩამოხსნა ევროკავშირის დროშა ფლაგშტოკიდან და მის ადგილას იტალიის დროშა დაკიდა. პოლიტიკოსმა თავისი საქციელი იმით ახსნა, რომ ევროკავშირი არ დაეხმარა ქვეყნებს, რომლებიც კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ კორონავირუსის პანდემიის გამო. **„ეს არის გზავნილი იმ ევროპისთვის, რომელმაც იტალია რთულ ვითარებაში მიატოვა. ევროპამ უნდა გადაწყვიტოს, სურს მას, კვლავაც იარსებოს თუ მოექცეს გერმანული ეგოიზმის სიმძიმის ქვეშ“,** — დაწერა იტალიელმა პოლიტიკოსმა. ამ საპროტესტო აქციამდე რამდენიმე დღით ადრე რამპელიმ ევროკავაშირის ხელმძღვანელობას მიმართა განცხადებით, რომელშიც აღწერა, როგორ სარგებლობდა ევროკავშირი იტალიის სისუსტით წლების განმავლობაში. დეპუტატის განცხადებით, **„იტალიას არ სურს ოფიციანტობა, როცა გერმანია და საფრანგეთი ლობსტერებს მიირთმევენ“.** რამპელის აზრით, ისეთ ევროპას, რომელშიც ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნები ჩაგრავენ სუსტებს, მომავალი არ აქვს. უფრო ადრე კი პიემინტოს მცხოვრებმა **ფედერიკო კეინმა** ევროკავშირის დროშა ჩამოხსნა და მის ნაცვლად რუსეთის დროშა ჩამოკიდა.

ეს ყველაფერი მოასწავებს იმ ცვლილებებს, რომლებიც ელოდება არა მხოლოდ იტალიას და არა მხოლოდ ევროპას.

კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-პოლიტიკური ძვრების ფონზე იტალიის მთავრობამ 400 მლნ ევრო გამოყო საგანგებო სასურსათო ფონდის შესაქმნელად და ტალონების დასარიგებლად ყველაზე ღარიბებისთვის. ამის შესახებ იტალიის პრემიერმინისტრმა **ჯუზეპე კონტემ** მას შემდეგ განაცხადა, როცა გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქვეყნის სამხრეთში ადამიანებს არ ჰყოფნით საკვები და ფული. ევროკავშირის წევრ ქვეყანაში პირველად შემოიღეს ბარათები საკვებ პროდუქტებზე.

ამერიკული გაზეთის — The Huffington Post-ის იტალიურმა ვერსიამ დაბეჭდა თავისი კორესპონდენტის რეპორტაჟი იტალიის სამხრეთიდან „შიში მრისხანებად იქცევა“. ჟურნალისტი წერს:

***„ჩვენ გვინდა ჭამა, — ისმის ზოგის ყვირილით, ზოგის ჩურჩულით, ზოგის მრისხანებით ნათქვამი, ვინც მოითხოვს პროდუქტებს, მაგრამ ფული არ ჰყოფნით. როგორ უნდა იკვებოთ, თუ ხელფასი არ გაქვთ? შენ, სახელმწიფოვ, უნდა მომცე ეს ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში, მე მაქვს უფლება, გავიტაცო პროდუქტები თაროებიდან და დახლებიდან. გაფრთხილდით! იცვლება არა მხოლოდ სტატისტიკა, არამედ ვითარებაც. ჩვენმა ქვეყანამ შეწყვიტა აივნებიდან სიმღერა...“**

* „ბევრი ადამიანი უსახსროდ დარჩა, უიმედო მდგომარეობაში. ისინი გადასარჩენად იბრძვიან, — ამბობს მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალის დირექტორი სარდინიაზე **ანჯელო ტანჯარო**, — ისინი ვერ ყიდულობენ პროდუქტებს, უიმედოდ არიან. მეგობარი ქვეყნების დახმარების იმედადღა ვართ, ისეთის, როგორიც რუსეთია, ჩინეთი, კუბა, ალბანეთი...“

* „რადგან საწარმოების დიდი ნაწილი დაიხურა, ბევრი უფულოდ დარჩა, ისინი ვერ ყიდულობენ სურსათ-სანოვაგეს და ამან შეიძლება მშიერი ბუნტი გამოიწვიოს, — ამბობს სიცილიის ქალაქ სირაკუზის ბავშვთა საკვები პროდუქტების მწარმოებელი ფაბრიკის მფლობელი **ფაბრიციო ლო ბელო.** — როგორც ჩანს, მთავრობამ შექმნა ფონდები საგანგებო ვითარებაში მყოფი კომუნებისთვის. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს პროდუქტები მიაღწევს დანიშნულების ადგილებამდე, თანაც ვიცით, რომ რუსეთიც ახლოსაა!“

* „იტალიაში კრიტიკული ვითარებაა, — ამბობს რომში რუსული ენისა და კულტურის ინსტიტუტის დირექტორი **კარლო ფრედუცი.** — მიუხედავად იმისა, რომ ვირუსი თავდაპირველად ქვეყნის ჩრდილოეთში გავრცელდა, პროტესტი სამხრეთ ოლქებში იწყება. წერენ, რომ სხვადასხვა მაფია მილიარდებს აკეთებს დამცავი ნიღბებით, სამედიცინო მოწყობილობებით, ანტივირუსული სპრეებით, ჟანგბადის ბალონებითა და მედიკამენტებით, ამ ყველაფერს სხვადასხვა მაქინაციის შედეგად შავ ბაზარზე ყიდიან ზღაპრულ ფასად ან გააქვთ საზღვარგარეთ... ყველა გაზეთი, სამთავრობო თუ ოპოზიციური, უტევს ევროკავშირს. მე და ჩემი ცოლი რომის გარეუბანში, საკუთარ სახლში ჩავიკეტეთ და გარეთ მხოლოდ პროდუქტების საყიდლად გამოვდივართ. აუცილებლად თან უნდა გვქონდეს სპეციალური სერტიფიკატი, რომელსაც გამუდმებით ცვლიან. თუ პოლიცია გაგაჩერებს და ეს სერტიფიკატი არ გექნება, 5 ათასი ევროთი დაგაჯარიმებენ“.

პრობლემის წინაშე მხოლოდ იტალია არ არის. **გაერომ გამოაცხადა, რომ საზღვრების საყოველთაო დახურვის შედეგად ევროკავშირს პროდუქტების დეფიციტის საფრთხე დაემუქრება. საქმე მხოლოდ ის არ არის, რომ საწარმოების გაჩერება ბევრი მათგანის გაკოტრებას გამოიწვევს, არამედ ისიც, რომ მდიდარი ქვეყნის ფერმერები იყენებდნენ იაფ მუშახელს აღმოსავლეთ ევროპიდან — ბულგარეთიდან, რუმინეთიდან, უკრაინიდან. ახლა გასტერბაიტერების ნაკადი შეწყვეტილია. არადა, პირველი მოსავლის აღების დრო მოახლოვდა. იტალიაში უკვე ამ ზაფხულს 50 ათასი მუშახელის დეფიციტს წინასწარმეტყველებენ, საფრანგეთში 200 ათასი სეზონურად მომუშავეა საჭირო, გერმანიაში — 300 ათასი.**

„ჩვენ ომში ვართ ჩართული, — განაცხადა პარტიის „წინ, იტალია!“ ლიდერმა, ყოფილმა პრემიერმინისტრმა **სილვიო ბერლუსკონიმ**, — ევროკავშირის მომავალს საფრთხე ემუქრება!“

„კორონავირუსით გამოწვეული კრიზისი ევროპის კრახზე მიუთითებს, — ამბობს ბელგიის ყოფილი პრემიერმინისტრი **გი ვერჰოფსტადტი** გაზეთ „სტამპასთვის“ მიცემულ ინტერვიუში. — ამის მტკიცებულებებს ჩვენ ყოველდღიურად ვიღებთ იანვრის ბოლოდან, ე.ი., ჩინური ქალაქის — უჰანის დახურვის მომენტიდან. ევროპის მოქალაქეები ტელეეკრანებზე უყურებდნენ კრიზისის განვითარებას, ეროვნული მთავრობები კი ნახევარზომებს ატარებდნენ, თუმცა ყველამ ვიცით, რომ პანდემიის მომენტში საჭიროა ერთი ცენტრი, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებებს. პანდემია „ომივით“ კი არ არის, ის ომია. ჩვენ კი ბოლო 8 კვირის განმავლობაში ვხედავდით, რომ 28 ცენტრი იღებდა გადაწყვეტილებებს, ცდილობდნენ, 28 ცენტრიდან ემართათ ვითარება“.

აღსანიშნავია, რომ ბელგიის ყოფილი პრემიერი ზუსტად ისე მსჯელობს, როგორც ბრიტანეთის ყოფილი პრემიერი **გორდონ ბრაუნი**, რომელსაც „გლობალური ელიტის განწყობების გამხმოვანებლად“ მიიჩნევენ.

ამასთანავე, სულ უფრო მეტი ევროპელი პოლიტიკოსი იმეორებს იტალიის ეკონომიკის ყოფილი მინისტრის, **ჯულიო ტრემონტის,** სიტყვებს: **„გლობალიზაცია დასრულდა. იმას, რაც ადრე იყო, მსოფლიო წესრიგს უწოდებდნენ, ახლა გლობალურ უწესრიგობაზე გადასვლის რისკი წარმოიქმნა“.**

ამ სიტყვების უკანაც მსოფლიო მთავრობის შექმნის მოწოდებაა, რომელიც დაიქვემდებარებს სუვერენულ (ყოფილ) ეროვნულ სახელმწიფოებს. აი საით ექაჩებიან გლობალიზაციის მესვეურები მსოფლიოს მისი კრახის შემდეგ.

ამასობაში, რუსი მედიკოსების რაზმი განაგრძობს ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებას იტალიის ლომბარდიის ოლქის სამედიცინო დაწესებულებებში. რუსმა სამხედრო ექიმებმა იტალიელ სამხედროებთან ერთად სადეზინფექციო სამუშაოები ჩაატარეს შემდეგ ქალაქებში: კლუზონე, ჩენი და ვერტილა.

რუსეთმა რამდენიმე დღის წინათ გადაისროლა იტალიაში სამედიცინო დესანტი სამედიცინო მოწყობილობებსა და მედიკამენტებთან ერთად. მადლიერი იტალიელები საქებარ სიტყვებს არ იშურებენ რუსების მიმართ.





ფედერიკო კეინი

**fopcok.ru-სა და fondsk.ruზე გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

კორონავირუსი და პოლიტიკა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ანგელა მერკელი** — გერმანიის კანცლერი: „მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩვენი ქვეყნის წინაშე არ დამდგარა ასეთი სერიოზული გამოწვევები“.

**ემანუელ მაკრონი** — საფრანგეთის პრეზიდენტი: „ჩვენ სანიტარული ომის პირობებში ვიმყოფებით“.

**დონალდ ტრამპი** — აშშ-ის პრეზიდენტი: „უამრავმა ამერიკელმა გაწირა თავი მეორე მსოფლიო ომის დროს. დადგა ჩვენი დრო. ჩვენ ყველამ თავი უნდა გავწიროთ, რადგან ყველანი ვმონაწილეობთ ამაში და ჩვენ ერთად დავძლევთ ამას. გარკვეული აზრით, თავს ვგრძნობ ომისდროინდელ პრეზიდენტად“.

# როდის დამთავრდება პანდემია

**დღეს, როცა COVID-19 ისევე წარმატებით დახეტიალობს ევროპაში, როგორც თავის დროზე კომუნიზმი, ავტორიტეტული მკვლევარები ეპიდემიის მალე დამთავრებას წინასწარმეტყველებენ.**


რუსული „რუსლანი“ ნიუ იორკის ჯონ კენედის სახელობის აეროპორტში

**«ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ამ უმძიმეს ვითარებაში, — შენიშნავს საიმსი, — ორი პრეზიდენტის ტრამპისა და პუტინის — ინიციატივით რუსეთიდან ნიუ-იორკში ჩავიდა მედიკამენტებითა და სამედიცინო მოწყობილობებით დატვირთული თვითმფრინავი. იგი განტვირთეს და ყველაფერს ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად გამოიყენებენ» (ამ ფაქტზე საუბრისას ტრამპმა თქვა: «ძალიან, ძალიან დიდი თვითმფრინავი»)**

სტენდფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა, ქიმიის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატმა **მაიკლ ლევიტმა** ყველაზე ადრე, ჯერ კიდევ წლევანდელი იანვრის თვეში ჩამოაყალიბა მოდელი იმისა, თუ როგორ განვითარდებოდა ეპიდემია ჩინეთში, — იუწყება Los Angeles Times.

თებერვლის დასაწყისში გაგზავნილ თავის ანგარიშში იგი აღნიშნავდა, რომ დაავადებამ პიკს მიაღწია და სიკვდილიანობის ზრდის ტემპი კვირის განმავლობაში კიდევ უფრო შენელდებოდა.

ლევიტმა იწინასწარმეტყველა, რომ COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევების საერთო რაოდენობა ჩინეთში დაახლოებით 80 ათასს მიაღწევდა, დაიღუპებოდა დაახლოებით 3250 ადამიანი.

ზუსტად გათვალა ბატონმა ლევიტმა!

მაშასადამე, სანდო უნდა იყოს ის ვარაუდი, რომელსაც იგი აშშ-სა და დანარჩენ მსოფლიოზე გამოთქვამს. მისი დასკვნაც ყურადსაღებია: ამჟამად უნდა გავაკონტროლოთ პანიკა!

არ უნდა ავყვეთ ბრბოს ინსტიქტს და მაშინ, გრანდიოზული სქემით, „ყველაფერი რიგზე იქნება“. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ეპიდემიოლოგი გვაფრთხილებს სოციალური რყევების თაობაზე, რომლებიც თვეებისა და წლების განმავლობაში თავს გადაგვხდება და დაიღუპება მილიონობით ადამიანი.

მეცნიერი გვარწმუნებს: **არსებული მონაცემები არ ადასტურებს ამ აპოკალიფსური სცენარის განვითარების რეალობას. განსაკუთრებით იმ რაიონებში, რომლებშიც ეპიდემიის შეჩერებისა და სოციალური დისტანცირების დაცვის გონიერი ღონისძიებები განახორციელეს.**

ასეთ პროგნოზს ბევრი სპეციალისტი ეთანხმება. ჩვენც დავიჯეროთ და ვიყოთ ამის იმედად.

ამასობაში კი მსოფლიოში საერთაშორისო ურთიერთობების სურათი იცვლება და თანდათან თავს იჩენს მეორე მსოფლიო ომისდროინდელი აქცენტები, რომლებიც ძალიან ჰგავს სამოკავშირეო მიმართულებას.

პოლიტიკური ამბიციებით დაცილებული კონტინენტები ურთიერთმიზიდულობის, დახმარებისა და თანალმობის ნაკადის გავლენას სულ უფრო შესამჩნევად ემორჩილებიან.

დრომ მოიტანა.

ამერიკელი პოლიტოლოგი **დიმიტრი საიმსი** ამ ახალ ტენდენციებს რომ განიხილავს, შენიშნავს: **„მაშინ, როცა აშშ-ში პანდემიის უბედურება ტრიალებს, როცა ნიუ-იორკის საავადმყოფოებში დაავადებულთა მისაღებად ადგილები არ ჰყოფნით, ხელოვნურ სუნთქვაზე შეერთებული პაციენტებიდან არჩევენ, ვინ დატოვონ, ვინ გამოთიშონ გაჯანსაღების უპერსპექტივობის გამო, ინფიცირებულები დერეფნებში უწევთ, მათი მკურნალობის საშუალება არ აქვთ და ასე უყურადღებოდ მიგდებულები იღუპებიან, ხოლო ოჯახის წევრები და ნათესავები უკანასკნელ გზაზე ვერ აცილებენ ინფექციის გავრცელების შიშით. აი, ეს ყველაფერი მესამე მსოფლიო ომის შთაბეჭდილებას ტოვებს“.**

ამერიკამ ინფიცირებულებისა და გარდაცვლილთა რაოდენობით ბევრად გაუსწრო ჩინეთს და მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას.

**„ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ამ უმძიმეს ვითარებაში, — შენიშნავს საიმსი, — ორი პრეზიდენტის ტრამპისა და პუტინის — ინიციატივით რუსეთიდან ნიუ-იორკში ჩავიდა მედიკამენტებითა და სამედიცინო მოწყობილობებით დატვირთული თვითმფრინავი. იგი განტვირთეს და ყველაფერს ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად გამოიყენებენ“ (ამ ფაქტზე საუბრისას ტრამპმა თქვა: „ძალიან, ძალიან დიდი თვითმფრინავი“).**

საიმსი კი ასკვნის: „პრეზიდენტმა ტრამპმა ძალიან თბილად ილაპარაკა იმ დახმარებაზე, რომელსაც რუსეთიდან იღებს.

ეს მოწმობს, რომ ტრამპს ძალიან უჭირს, განახორციელოს არაკონფრონტაციული პოლიტიკა რუსეთის მიმართ, მაგრამ, დაინტერესებული რომ არის, უეჭველია. ეს კრიზისი ტრამპს აძლევს საშუალებას, სულ ცოტა, შეეცადოს ახალი ურთიერთობის დამყარებას რუსეთთან, პირადად პრეზიდენტ პუტინთან“.

ვითარება მართლაც ჰგავს საომარ მდგომარეობას და ამას ადასტურებენ მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ლიდერები.

**ანგელა მერკელი — გერმანიის კანცლერი:** „მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩვენი ქვეყნის წინაშე არ დამდგარა ასეთი სერიოზული გამოწვევები“.

**ემანუელ მაკრონი — საფრანგეთის პრეზიდენტი:** „ჩვენ სანიტარული ომის პირობებში ვიმყოფებით“.

**დონალდ ტრამპი — აშშ-ის პრეზიდენტი:** „უამრავმა ამერიკელმა გაწირა თავი მეორე მსოფლიო ომის დროს. დადგა ჩვენი დრო. ჩვენ ყველამ თავი უნდა გავწიროთ, რადგან ყველანი ვმონაწილეობთ ამაში და ჩვენ ერთად დავძლევთ ამას. გარკვეული აზრით, თავს ვგრძნობ ომისდროინდელ პრეზიდენტად“.

ასეთ „საომარ ვითარებაში“ რუსეთმა დიდი ჰუმანიტარული დახმარება და თავისი სპეციალისტები გაგზავნა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იტალიაში.

„საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ!“

ზოგიერთი სახელმწიფო ამ საქმეს „ჯერ თავო და თავოს“ პრინციპით განახორციელებს.

რამდენიმე დღის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმად, COVID-19-ით დაავადების დასადგენი ტესტების პირველი პარტია — 100 ათასი ეგზემპლარი ისრაელში „მოსადის“ მიერ განხორციელებული ოპერაციის შედეგად ჩაიტანეს. ოპერაცია, რომელიც სპარსეთის ყურის ერთ-ერთ სახელმწიფოში (!) ჩაატარეს, ისე საიდუმლოდ იყო ორგანიზებული, რომ ისრაელის დაზვერვის საქმეთა მინისტრმა **ისრაელ კაცმა** არაფერი იცოდა.

ეს „კურიოზი“ ასე ახსნა ისრაელის სახელმწიფო მოღვაწემ და სამხედრო-პოლიტიკურმა მოღვაწემ, ერთ დროს ისრაელის სპეცსამსახურ „ნათივის“ ხელმძღვანელმა **იაკობ კედმიმ:**

— უპირველესად, კაცის შესახებ. დაზვერვის საქმეში მისი მოღვაწეობა მახსენებს ანეკდოტს შუააზიელი კოსმონავტის შესახებ, რომელსაც საბჭოთა კავშირში ჰყვებოდნენ. დედამიწაზე დაბრუნებულს ხელები დალურჯებული ჰქონდა. ორბიტაზე ყოფნისას ხელსაწყოებთან შეხებას რომ მოინდომებდა, ხელებზე გამეტებით ურტყამდნენ, ხელი არაფერს ახლოო.

ან აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ **ტრუმენს** (რუზველტის პრეზიდენტობისას), რომელიც ისეთ სულელად მიაჩნდათ, რომ არც ერთ სერიოზულ საქმეში არ რევდნენ. მან არაფერი იცოდა იმის შესახებ, რომ შტატებში ატომური იარაღის შექმნაზე მუშაობდნენ.

ჩვენთან კაცი დაახლოებით იმავე დორნეზეა, ანუ ტიტული კი აქვს, მაგრამ ღმერთმა არ ქნას, რომ მისნაირ ადამიანებს რაიმე შეხება ჰქონდეთ დაზვერვასთან.

ის, რაც მოხდა, სამწუხაროდ, ისევ ანეკდოტს მაგონებს. საერთაშორისო კონკურსზე პირველი ადგილ მოიპოვა ისრაელელმა ქირურგმა, რომელმაც ჩიყვის ოპერაცია სწორი ნაწლავიდან გააკეთა. ჩვენი ქვეყანა თანდათან ანეკდოტს ემსგავსება, სამწუხაროდ: ისეთი მარტივი და ნახევრადპრიმიტიული ნივთების შესაძენად, როგორიც აღნიშნული ტესტების ჩხირებია და რომლის შეძენაც ინტერნეტის საშუალებით შეგვიძლია, ვიყენებთ მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო, ყველაზე პროფესიულ სპეცსამსახურს.

ასეც ხდება.

**არმაზ სანებლიძე**



**ნიუ-იორკის საავადმყოფოებში დაავადებულთა მისაღებად ადგილები არ ჰყოფნით, ხელოვნურ სუნთქვაზე შეერთებული პაციენტებიდან არჩევენ, ვინ დატოვონ. მათი მკურნალობის საშუალება არ აქვთ და ასე უყურადღებოდ მიგდებულები იღუპებიან, ხოლო ოჯახის წევრები და ნათესავები უკანასკნელ გზაზე ვერ აცილებენ ინფექციის გავრცელების შიშით**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯერ კიდევ 2015 წელს (!) ავტორიტეტულმა ჟურნალმა „ნატურემ“ (გამოსცემენ ლონდონში, ოფისები აქვს ნიუ-იორკში, სან-ფრანცისკოში, ვაშინგტონში, ტოკიოში, პარიზსა და მიუნხენში) გამოაქვეყნა წერილი, რომ ამერიკელმა ბიოლოგებმა ღამურებზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად შექმნეს ადამიანის სიცოცხლისთვის სასიკვდილოდ სახიფათო კორონავირუსი.**

# კორონავირუსი 2015 წელს შექმნეს

**„საქართველო და მსოფლიოს“ წინა, მე-12 ნომერში გამოქვეყნებულ წერილში („ვატიკანი ბრალს სდებს: კორონავირუსი ხელოვნურად შექმნეს“) ვწერდით, რომ რომის კათოლიკური ეკლესიის კარდინალმა კოლომბო მალკოლმ რანჟიჩმა ერთი „ძლევამოსილი და მდიდარი ქვეყანა“ კორონავირუსის შექმნაში დაადანაშაულა, თუმცა ეს ქვეყანა არ დაუსახელებია. კანადური კვლევითი ცენტრის — Global Research-ის მიმომხილველმა ლერი რომანოფმა განაცხადა, რომ კორონავირუსი შექმნეს აშშ-ში, კერძოდ, ფორტ დეტრიკის ლაბორატორიაში, რომელიც ვირუსის ეპიდემიის აფეთქებამდე ცოტა ხნით ადრე დახურეს. ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ჩჟაო ლიძიანმა კი აშშ პირდაპირ დაადანაშაულა ჩინეთში კორონავირუსის შეტანაში.**


nature International weekly journal of science
Home | News & Comment | Research | Careers & Jobs | Current Issue | Archive | Audio & Video | For Authors
News & Comment > News > 2019 > May > Article
NATURE | NEWS
Engineered bat virus stirs debate over risky research

**გამოცემა წერს, რომ ბიოლოგებმა შექმნეს ვირუსი, რომელსაც შეუძლია დაასნებოვნოს ადამიანი და გამოიწვიოს მისი სიკვდილი. სპეციალისტები ექსპერიმენტებს ატარებდნენ ღამურებზე, რომლებიც ჩინეთში ბინადრობენ. მათ შეაჯვარეს ზედაპირული ცილა SHCO14 ვირუს SARS-თან, რომელიც ღამურების ფილტვებიდან აიღეს. შედეგად მიიღეს მუტანტი ვირუსი. ტესტებმა დაადასტურა, რომ ვირუსს შეუძლია, ძალიან სწრაფად და აქტიურად განვითარდეს ადამიანის უჯრედებში**

ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯერ კიდევ 2015 წელს (!) ავტორიტეტულმა ჟურნალმა „ნატურემ“ (გამოსცემენ ლონდონში, ოფისები აქვს ნიუ-იორკში, სან-ფრანცისკოში, ვაშინგტონში, ტოკიოში, პარიზსა და მიუნხენში) გამოაქვეყნა წერილი, რომ ამერიკელმა ბიოლოგებმა ღამურებზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად შექმნეს ადამიანის სიცოცხლისთვის სასიკვდილოდ სახიფათო კორონავირუსი.

გამოცემა წერს, რომ ბიოლოგებმა შექმნეს ვირუსი, რომელსაც შეუძლია, დაასნებოვნოს ადამიანი და გამოიწვიოს მისი სიკვდილი. სპეციალისტები ექსპერიმენტებს ატარებდნენ ღამურებზე, რომლებიც ჩინეთში ბინადრობენ. მათ შეაჯვარეს ზედაპირული ცილა SHCO14 ვირუს SARS-თან, რომელიც ღამურების ფილტვებიდან აიღეს. შედეგად მიიღეს მუტანტი ვირუსი. ტესტებმა დაადასტურა, რომ ვირუსს შეუძლია, ძალიან სწრაფად და აქტიურად განვითარდეს ადამიანის უჯრედებში. გამოკვლევის ავტორებმა შეძლეს დაემტკიცებინათ, რომ ეს ვირუსი ძალიან სახიფათოა, შესაბამისად, კაცობრიობა გაფრთხილებულია.

აღმოჩენამ მწვავე კამათი გამოიწვია სამეცნიერო წრეებში. კამათობდნენ არა აღმოჩენის მნიშვნელობაზე, არამედ ლაბორატორიიდან მისი გაჟონვის შესაძლებლობაზე და იმ საფრთხეზე, რომელსაც ის შეუქმნიდა კაცობრიობას.

მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ვირუსი ბევრ ადამიანს შეიწირავდა. სპეციალ-



ისტები აკრიტიკებენ იმ ფაქტსაც, რომ ექსპერიმენტი ჩატარდა მას შემდეგ, რაც 2014 წელს აშშ-ის ხელისუფლებამ მორატორიუმი დააწესა გრიპის ისეთი ვირუსების კვლევების დაფინანსებაზე, როგორებიც არის SARS-ი და MERS-ი, თუმცა ეს შემთხვევა რატომღაც გამონაკლისი იყო.



# გაერო, ჯანმო და მსო სასურსათო კრიზისზე ალაპარაკდნენ

**თუ ქვეყნების მთავრობები ვერ გაატარებენ აუცილებელ ზომებს, კორონავირუსით გამოწვეული მძიმე ვითარება შეაფერხებს სურსათ-სანოვაგის მიწოდებას მსოფლიოში. ასეთი განცხადებებით გამოვიდნენ 1 აპრილის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო), ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა (ჯანმო) და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (მსო) წარმომადგენლები.**

„სურსათზე ხელმისაწვდომობაში დაურწმუნებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ექსპორტის შეზღუდვა, რაც შექმნის სურსათის დეფიციტს გლობალურ ბაზრებზე... COVID-19-ის გამო საზღვრების ჩაკეტვამდე ძალისხმევა იქით უნდა იყოს მიმართული, რომ სასაქონლო ნაკადებმა თავისუფლად იმოძრაოს, რათა არ შეიქმნას სასურსათო დეფიციტი“, — ნათქვამია ერთობლივ განცხადებაში.

# აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი: აშშ-მა რუსეთისგან სამედიცინო მოწყობილობები შეიძინა







მორგან ორტეგუსი

**1 აპრილს ნიუ-იორკის აეროპორტში დაეშვა რუსეთის საჰაერო-კოსმოსური ძალების თვითმფრინავი Ан-124, რომლითაც ამერიკელებს ჩაუტანეს სამედიცინო მოწყობილობები და კორონავირუსთან ბრძოლის ინდივიდუალური საშუალებები.**

„აშშ და რუსეთი ადრეც ეხმარებოდნენ ერთმანეთს კრიზისულ პერიოდებში და ასე განაგრძობენ მომავალშიც“, — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა **მორგან ორტეგუსმა.**

„პრეზიდენტ ტრამპისა და პრეზიდენტ პუტინის სატელეფონო საუბრის შემდეგ აშშ რუსეთისგან შეიძენს აუცილებელ სამედიცინო მოწყობილობებს, მათ შორის სასუნთქ აპარატებსა და დაცვის ინდივიდუალურ საშუალებებს. ეს ყველაფერი საგანგებო სიტუაციების ფედერალურ სააგენტოს 1 აპრილს გადაეცა ნიუ-იორკში“, — წერია სახელმწიფო დეპარტამენტის საიტზე.



# «ინგლისურად ცრუობენ»: ერაყმა თავისი საინფორმაციო ველიდან REUTERS-ი გააძევა

**ერაყის კომუნიკაციებისა და მასმედიის კომისიამ 3 აპრილს განაცხადა, რომ ახალი ამბების ბრიტანულ სააგენტო Reuters-ს 3 თვით აუკრძალა პროფესიული საქმიანობა ერაყის არაბთა რესპუბლიკაში.**

ერაყის საინფორმაციო რეგულატორის ამ გადაწყვეტილების მიზეზი იყო Reuters-ის მიერ რამდენიმე დღის წინათ გავრცელებული ინფორმაცია, რომ ერაყში „სინამდვილეში“ ათასობით ადამიანია ინფიცირებული ახალი ტიპის კორონავირუსით და ქვეყნის ხელისუფლება მალავს ეპიდემიის ჭეშმარიტ მასშტაბს.

სააგენტოს ლონდონის ოფისი 21 ათასი დოლარით დააჯარიმეს ყალბი ინფორმაციის გავრცელებისთვის, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ერაყის ეროვნულ უსაფრთხოებას. კომისიამ, აგრეთვე, მოითხოვა, Reuters-მა ბოდიში მოუხადოს ერაყს.

Reuters-ი თავის სკანდალურ მასალაში წერდა, რომ ეყრდნობოდა 3 ერაყელი ექიმისა და ერაყის ჯანდაცვის სამინისტროდან ანონიმური წყაროების ინფორმაციებს.

**ერაყის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 3 აპრილს ქვეყანაში იყო კორონავირუსით ინფიცირების 772 დადასტურებული შემთხვევა, 54 ადამიანი გარდაიცვალა.**

# ნატოს საწინააღმდეგო ბილბორდები ბოსნია-ჰერცეგოვინაში

**აღმოსავლეთ სარაევოში, რომელიც ბოსნია-ჰერცეგოვინის შემადგენლობაში არსებული სერბეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზეა, ნატოს საწინააღმდეგო ბილბორდები გაჩნდა. ქალაქის რამდენიმე რაიონში დადგეს სარეკლამო ფარები წარწერით „არა ნატოში“, რომლებიც მოუწოდებენ, არანაირი პირობებით არ დაუშვან ბოსნია-ჰერცეგოვინის დაახლოება და ინტეგრაცია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან.**

ბილბორდებზე, აგრეთვე, გამოსახულია ნატოს სატრანსპორტო თვითმფრინავი და წარწერა: **„ნატოს თვითმფრინავებმა იტალიიდან კორონავირუსის დამდგენი ნახევარი მილიონი ტესტი გაიტანეს“.**

სერბეთის რესპუბლიკა, რომელსაც ნატო სამოქალაქო ომის წლებში (1992-1995) ბომბავდა, ნატოსთან დაახლოების სასტიკი წინააღმდეგია. ბოსნიელმა სერბებმა არაერ-




თხელ განაცხადეს, რომ, თუ ბოსნია-ჰერცეგოვინის ხელისუფლება სერბი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ იმოქმედებს, რესპუბლიკა რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვს ამ სახელმწიფოს დატოვების შესახებ.

გვერდი მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენ კი, ქართველებმა, მიწა მივატოვეთ: აღარ ვხნავთ, აღარ ვთესავთ... ავჩეხეთ ვაზი, „შვილივით ნაზარდი“; მიწას ვყიდით ან მეზობლებს ვჩუქნით; ქვეყნიდან უკანმოუხედავად გავრბივართ და ამის მერე ერთი ნაწილი საზოგადოებისა იმაზე „წუხს“ და წუწუნებს, რომ გადამთიელები დაეპატრონნენ ყველაფერს. წუწუნი, წყევლა-კრულვა და ლანძღვა-გინება თავის მართლების საუკეთესო ხერხად გავიხადეთ, „შემოდგომის აზნაურებივით“ მივსტირით წარსულს, ვსხედვართ ჩამქრალ კერასთან და ვკითხულობთ: გვეშველება რამე?**

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

დღეს ბევრი ფიქრობს, რომ კორონავირუსმა არა მხოლოდ აწმყო შეცვალა, მომავალიც განსაზღვრა და ამაში, უპირველესად, ღვთის ნებას ხედავს, რადგან, „ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედამიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი, ულეველი სიმდიდრე ჩაუდვა და ადამიანს უანდერძა: იშრომე, გაისარჯეო და ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდამ ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო“ *(ილია).*

ადამიანები კი ამ ულევ სიმდიდრეს უდიერად მოვექცით — გავჩეხეთ ტყეები, დავაბინძურეთ წყალი და ჰაერი... ერთი სიტყვით, ეკოლოგიურად მძიმე ვითარება მივიღეთ, რითაც, უპირველესად, საკუთარ თავს შევუქმენით საფრთხე.

ჩვენ კი, ქართველებმა, მიწა მივატოვეთ: აღარ ვხნავთ, აღარ ვთესავთ... ავჩეხეთ ვაზი, „შვილივით ნაზარდი“; მიწას ვყიდით ან მეზობლებს ვჩუქნით; ქვეყნიდან უკანმოუხედავად გავრბივართ და ამის მერე ერთი ნაწილი საზოგადოებისა იმაზე „წუხს“ და წუწუნებს, რომ გადამთიელები დაეპატრონნენ ყველაფერს. წუწუნი, წყევლა-კრულვა და ლანძღვა-გინება თავის მართლების საუკეთესო ხერხად გავიხადეთ, „შემოდგომის აზნაურებივით“ მივსტირით წარსულს, ვსხედვართ ჩამქრალ კერასთან და ვკითხულობთ: გვეშველება რამე?

ნეტა, ვის ვეკითხებით ანდა ასე რა უნდა გვეშველოს?!

ისევ ერის მამას მოვუსმინოთ, რომლისთვისაც წარმატებული სახელმწიფო არა დიდი საბიუჯეტო შემოსავლების მქონე ქვეყანა, არამედ კარგი პირადი შემოსავლების მქონე ხალხის ქვეყანაა.

სწორედ ადამიანებზე მოფიქრალი ილია გვასწავლის, რომ „ქვეყნისთვის, ყველასათვის, ერთნაირად ღია ბაზარი უმჯობესია, იმიტომ, რომ ყოველის კაცისათვის ისა სჯობია, საშუალება ჰქონდეს, საჭირო საქონელი იქ და იმისგან იყიდოს, საცა და ვისაც უფრო კარგი საქონელი აქვს და უფრო იეფი ჩემ-შინაობის განურჩევლად“.

1886-1887 წლების მიჯნაზე ილია აქვეყნებს წერილების სერიას „პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში“. ეს თემა საინტერესოდ ჩავთვალეთ იმდენად, რამდენადაც დღევანდელ სიტუაციაში, როცა მსოფლიოში პანდემია მძვინვარებს, ბევრ სოფელში „მთვარის იმედად“ დატოვებულ სახლებში შუქი აინთო, ველ- მინდვრებს ბარ-თოხიანი ადამიანები შეესივნენ, გაცოცხლდა გარემო. იქნებ სწორედ ესაა დასაწყისი, ის ნანატრი დასაწყისი აღმშენებლობისა, რომელსაც, ათეული წლებია, ვერა და ვერ დავუდეთ სათავე.

ამ დღეებმა ქართველობა გაგვაერთიანა, დამჯერი და დაწესებული ინსტრუქციების ზედმიწევნით შემსრულებელნიც გაგვხადა. ჩვენ თვითონვე გვიკვირს, იმ ფონზე, როდესაც საუბარია მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისებზე, სურსათის ექსპორტის შესაძლო შეფერხებაზე, სასურსათო მაღაზიებში იმაზე ნაკლები მყიდველია, ვიდრე კორონავირუსის ეპიდემიამდე იყო. პურის ფქვილი და ხორბალი ველარ შემოვაო (ჩვენ ხომ მხოლოდ უცხოეთიდან შემოტანილ პურზე ვართ დამოკიდებულნი) და, რაოდენ დაუჯერებელიც უნდა იყოს, პანიკას არავინ აჰყვა. ერთი სიტყვით, მე პირადად თავი ლამაზ სიზმარში მგონია, კოვიდ-19 რომ არ მახსენებდეს თავს. და რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ იმაზე, რომ მომავალში საქართველო თვითონ გახდეს პურის მწარმოებელი ქვეყანა? თუ ექსპორტზე არ გაიტანს, მოსახლეობას მაინც გვექნება „პური ჩვენი არსობისა“. ხომ იყო პერიოდი საქართველოს ცხოვრებაში, როდესაც ქართველი კაცი თავის სამყოფ ხორბალს თესავდა?

# «ჩვენ მარტო იმას უნდა ვეცადოთ, პური იმოდენად მოვიყვანოთ, რომ სასყიდელი არ გაგვიხდეს, ჩვენ და ჩვენს შინაურს ბაზარს ეყოს»



## «ჩვენებური მიწა და ჰაერი ყოველს განკარგებას სასოფლო წარმოებისას ხელს უწყობს და ყოველგვარს პურს მოიყვანს ჩვენში მაღალის ხარისხიდამ დაწყებულს დაბალ ხარისხის პურამდე»

# პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში

**თბილისი, 9 დეკემბერი, 1886 წელი**

„საქვეყნო ბაზარში დიდი ცილობაა, რომელსაც მეცნიერნი „კონკურენციას“ ეძახიან. რომ ამ ცილობაში ჩვენმა პურმა თავი გაიტანოს და საქვეყნო ბაზრის მოედანზედ თავისი შესაფერი ადგილი დაიჭიროს, ორი აუცილებელი სიკეთე უნდა სჭირდეს: ერთი რომ თვისებით და ღირსებით სხვაზედ კარგი იყოს და მეორე სხვაზედ იეფი, თვისებისა და ღირსების კვალობაზედ.

**რაც შეეხება თვისებას და ღირსებას ამიერკავკასიის პურისას, ამ მხრით ჩვენებური პური ბევრს სხვას არ ჩამოუვარდება, და თუ დღეს მაინცდამაინც ამ მხრით აკლია რამ, საქმე ადვილად გასასწორებელია, რადგანაც ჩვენებური მიწა და ჰაერი ყოველს განკარგებას სასოფლო წარმოებისას ხელს უწყობს და ყოველგვარს პურს მოიყვანს ჩვენში მაღალის ხარისხიდამ დაწყებულს დაბალ ხარისხის პურამდე.** ეს დღესაც არის ჩვენში და კეთილად განწყობილი ვაჭრობა უფრო გააძლიერებს შემდეგისათვის. მაშასადამე, დაგვირჩა გამოსაკვლევად: **იეფობით შეუძლიან ჩვენებურს პურს შეეჭიდოს სხვა ქვეყნის პურს საქვეყნო ბაზარში, თუ არა?**

**ტფილისი, 19 დეკემბერი, 1886 წ.**

წინა წერილებში ჩვენა ვსთქვით, რომ რადგანაც პურის მოსავლისა ჩვენში სასტატისტიკო ცნობანი არა გვაქვს, ჩვენ მოკლებულნი ვართ საბუთს ჯეროვანი და უტყუარი სიტყვა წარმოვსთქვათ მასზედ თუ, გვაქვს ჩვენ გასასყიდი პური, თუ არა. ისიც მოვახსენეთ მკითხველებს, რომ თუნდაც გვქონდეს, პურის გატანა საქვეყნო ბაზრამდე ძალიან ძვირად გვიჯდება და ერთიორად ჰხდის პურის ფასსა. გზა და გადატანა ამ შემთხვევაში თავისას არ იშლის და მაშასადამე იმისათვის, რომ ჩვენმა პურმა სხვის პურს იეფობაში ცილობა გაუწიოს, ფასი თვით პურისმომქმედმა უნდა დაიკლოს. ჩვენის ფიქრით, **ის ამბავი, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენი პური საზღვარგარეთ გადის, ჩვენს ეკონომიურად გაღონიერებას კი არ უნდა მიეწეროს, არამედ რაიმე უეცარს შემთხვევას, რომელიც შესაძლოა ხვალ არ იყოს და რომელზედაც, მაშასადამე, არარაიმე დასკვნა არ აიგება ჯერ-ხანად მაინც. წარსულ 1885 წელს, როცა ამ პურის ვაჭრობამ ჩვენში ცოტა რომ გაიღვიძა, ფოთისა და ბათუმის ნავთსადგურებიდამ სულ 681.595 ფუთი პური გაუტანიათ. ამ 1886 წელს კი ამ რიცხვმა ოთხ მილიონ ფუთამდე აიწია. შემთხვევაა ეს, თუ დასაწყისია კარგა მაგრად ფეხმოკიდებულ ვაჭრობისა?** სწორედ შემთხვევაა, ჯერ იმიტომ რომ 1885 და 1886 წელს ფასი პურისა ჩვენში ისე დაეცა, რომ თუმცა საზღვარგარეთ გატანა ძვირად უჯდებოდათ, მაგრამ თითონ პურის ფასი ისეთი დაბალი იყო, რომ ამ სიძვირეს გზისას და გატანისას იტანდა საქვეყნო ბაზარზედ. მეორე ისა, რომ ერთმა დიდმა პურის მოსავლის ქვეყანამ და პურის გამსყიდველმა ამ ხანებში ველარ მიაწოდა პური საქვეყნო ბაზარსა. ეს ქვეყანა რუსეთია. ამას გვიმტკიცებს ეხლახან პეტერბურგიდამ მიღებული დაბეჭდილი წიგნი, რომელსაც სათაურად აქვს: „1886 წელიწადი, როგორც სასოფლო-სამეურნეო წელიწადი“. ამ წიგნიდამა სჩანს, რომ რუსეთს, რომელსაც 1884 წელს საქვეყნო ბაზარში გაუტანია 13.000.000 „ჩეტვერტი“, წელს თითქმის საშინაოდ საკმაო პურიც არ მოსვლია... ამ 1886 წელს მოვიდა ძალიან ნაკლებადაო. გაზაფხულის პურმა ორთა-შუა რიცხვს ვერ გადააჭარბაო. ამ ორიოდე სიტყვიდამა სჩანს, რომ რუსეთი ამ 1886 წელს ვერ შეიძლებდა, საბაზროდ გაეტანა ბევრი პური.

## მაშ რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ იმაზე, რომ მომავალში საქართველო თვითონ გახდეს პურის მწარმოებელი ქვეყანა? თუ ექსპორტზე არ გაიტანს, მოსახლეობას მაინც გვექნება «პური ჩვენი არსობისა». ხომ იყო პერიოდი საქართველოს ცხოვრებაში, როდესაც ქართველი კაცი თავის სამყოფ ხორბალს თესავდა?

მართალიც არის: დღეს რუსეთში უჩივიან პურის ვაჭრობის დაკლებასა. ამ ჩივილში, რასაკვირველია, ის მიზეზიც არის, რომ უწინ თითქმის მარტო რუსეთი იყო ბოლაზი საქვეყნო ბაზრისა და ახლა კი ამერიკამ, ინდოეთმა და ავსტრალიამ ცილობა გაუწია, შესანიშნავი ადგილი დაიჭირა საქვეყნო ბაზარში და ბაზარს რუსეთის პური იმოდენა აღარ მოანდომა. 1868 წელს, როცა ამერიკამ კარგა საგრძნობლად გამოდგა ფეხი პურის საქვეყნო მოედანზედ, ამერიკის პური მოვიდა ევროპაში გასასყიდლად 6.834.000 ჩეტვერტი, რუსეთისა 12.062.000 ჩეტვერტი. მაშინ ინდოეთს სულ 600.000 ჩეტვერტი გამოეტანა და ავსტრალიას კი სრულიად არაფერი. შემდეგ ამერიკის პური უფრო და უფრო ჰმატულობს, და თუმცა ინდოეთიდამ პურის მოტანა თითქმის ისპობა, მაგრამ, მაგალითებრ, 1873 წელს მარტო ამერიკას გამოაქვს 22.872.000 ჩეტვერტი, რუსეთს კი 19.915.000. შემდეგს წლებში უფრო ძლიერდება ამერიკის პურის გამოტანა, მაგრამ რუსეთისაც ჰმატულობს. ამერიკა მაგრად ფეხს იკიდებს საქვეყნო ბაზარში, ხოლო როცა ავსტრალიასა და ინდოეთში რიგიანად მოაწყვეს პურის ვაჭრობის საქმე, ამერიკის პურის ვაჭრობა არამცთუ ჰმატულობს, კლებულობს კიდეც.

**...დღეს საქვეყნო ბაზარში ბევრნი მოცილენი არიან, მაგრამ, როგორც ვატყობთ, ამ ცილობამ უფრო ამერიკის პური შეჰხუთა, რუსეთის პურს კი ვერა დააკლო-რა და რუსეთს მაინც დიდი ადგილი უჭირავს. ამის შემდეგ ადვილად გასაგებია, რომ რუსეთში პურის უმოსავლობას რა დიდი ზედმოქმედება უნდა ჰქონდეს პურის ვაჭრობაზედ საქვეყნო ბაზარში.** ზემოთ ნათქვამისაგან სჩანს, რომ რუსეთი ამ 1886 წელს პურზედ ნაკლებად იყო. ამ გარემოებას, უეჭველია, უნდა აღეძრა პურის ვაჭრობა იმ ადგილებშიაც, სადაც თავის-დღეში არა ყოფილა. აი გამოცანა იმისი, რომ 1886 წელს ამიერკავკასიიდამ 4.000.000 ფუთი პური გაიტანეს ევროპაში. ეს მაშ რა არის, თუ არ შემთხვევა!.. **როგორც ერთის მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, ისეც ერთი ეს მაგალითი საკმაო არ არის, ჩვენდა სამწუხაროდ, გული დავაჯეროთ, რომ პურის ვაჭრობამ ჩვენში სამუდამო დვრი-** ▶

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „აქ, ჩვენში, ვაჭრობა მოტყუებაზედ უფროა დამყარებული, ვიდრე იმის ცდაზედ, რომ საქონლის სიკეთით და იეფობით მუდამი მუშტარი აიჩინოს კაცმა და თავნის ხშირად და ბევრჯელ გადატრიალებით იმდენი მოიგოს, რამოდენისაც ერთხანად ვაჭარს სიხარბე აქვს“.

**«წარსულ 1885 წელს, როცა ამ პურის ვაჭრობამ ჩვენში ცოტა რომ გაილვიძა, ფოთისა და ბათუმის ნავთსადგურებიდამ სულ 681.595 ფუთი პური გაუტანიათ. ამ 1886 წელს კი ამ რიცხვმა ოთხ მილიონ ფუთამდე აიწია. შემთხვევაა ეს, თუ დასაწყისია კარგა მაგრად ფეხმოკიდებულ ვაჭრობისა?»**

**◀ტა დაიდო. ღმერთმა ჰქმნას, რომ ჩვენს დაუჯერებლობას სამერმისოდ საბუთი არა ჰქონდეს და პურის ვაჭრობა გაძლიერდეს ჩვენში, მაგრამ ტყუილი სიხარულიც უქმი თამასუქია და გვეშინიან ბოლოს მარტო ეს გაუქმებული სიხარული არ დაგვრჩეს ხელში და არა ვსთქვათ: ესეღა დაგვრჩა სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა.**

**ტფილისი, 20 დეკემბერი, 1886 წ.**

რომ 1886 წელს გაძლიერდა ჩვენში პურის ვაჭრობა და ჩვენის ქვეყნიდამ საქვეყნო ბაზარში 4.000.000 ფუთი პური გავიდა, — ეს ამბავი უნდა მიეწეროს სხვა მიზეზსაც იმ მიზეზთა გარდა, რაც ჩვენ წინა წერილებში მოვიხსენიეთ. ეს სხვა მიზეზნიც იმისთანავე შემთხვევითნი არიან, როგორც წინანდელნი, მხოლოდ სხვა მხრით-კი. წინანდელი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ იმ ქვეყნებმა, რომელთაც დიდძალი პური გამოაქვთ საქვეყნო ბაზარში გასასყიდად, უმოსავლობის თუ სხვა მიზეზის გამო პური ამ 1886 წელს ნაკლებად გამოიტანეს და ბაზარს პური უჭირდა. ბაზარს პურის შოვნა გაუჭირდა და დიდი დანაკლისი იგრძნო მარტო იმით კი არა, რომ საკმაო პური არ მიიტანეს, პურის ნაკლებობა ბაზარში იმით უფრო გაძლიერდა, რომ იმ ქვეყნებმაც, რომელნიც პურის უქონლობის გამო, პურსა ჰყიდულობენ, ამ 1886 წელს უფრო ბევრი პური მოითხოვეს, იმიტომ რომ ამ წელს მოუსავლობამ საკუთარის პურისამ პურის საჭიროება გაუძლიერა...

**ტფილისი, 5 იანვარი, 1887 წ.**

ჩვენი წერილები პურის ვაჭრობის თაობაზედ ჩვენში სავსე არ იქნება, რომ ერთი ის გარემოებაც არ წარმოვუდგინოთ მკითხველს, რომლის გამოც ჩვენში აღძრული 1885 და 1886 წელს პურის ვაჭრობა შემთხვევას უნდა მიეწეროს და არა მკვიდრად დაყენებულს წარმატებას პურის მოყვანისას. ვის არ ახსოვს, რა რიგად დაიწია ჩვენში პურის ფასმა 1884 წელს და ამ დაწეულმა ფასმა საგრძნობლად არც 1885 წელს აიწია. გარდა ამისა, თუმცა ფასები მეტად დაწეული იყო, ამ 1884 წელს თითქმის მუშტარი არა ჰყვანდა ჩვენს პურსა... საქვეყნო ბაზარს პურისას 44.640.000 ჩეტვერტის მუშტარი ჰყოლია და გამსყიდველი-კი 58.650.000 ჩეტვერტისა. ამ სახით საქვეყნო ბაზრისათვის თოთხმეტი მილიონი ჩეტვერტი პური მეტი ყოფილა იმაზედ, რაც საჭირო იყო. აშკარაა, პურის ფასი უნდა დაცემულიყო საქვეყნო ბაზარში; აშკარაა, რაკი ჩვენს საზღვარგარეთ ამოდენად მეტი პური იყო, რომ იქაც მუშტარი ვერ ეშოვნა, ჩვენში იქიდამ პურის სასყიდლად არავინ მოვიდოდა 1884 წელს. ამან ძალიან დასწია პურის ფასი ყველგან და ნამეტნავად ჩვენში.

პურის ფასის ძლიერმა დაწევამ ის შედეგი იქონია, რომ ინგლისმა ირჩია საპურედ სახნავ-სათესს მიწებზედ პურის მაგიერ სხვა უფრო ძვირის ფასის მცენარენი რამ მოეყვანა და ამიტომაც ხვნა-თესვა პურისათვის შეამოკლა ასე, რომ ასზედ თოთხმეტი დააკლო. ამერიკაში პურის ფასის დაწევის გამო ბევრს ადგილას მოსული ყანები აღარ დამკეს და ისე მიანებეს თავი მინდვრებზედ, რადგანაც მომკისა და გალეწვის ფასადაც არა ჰქონდათ იმედი პური გაეყიდნათ. ინდოეთში 227,481 აკრითნაკლები მიწები მოხნეს და მოთესეს. ამის გამო პურის რაოდენობამ 1885 წ. და ნამეტნავად 1886 წ. ძალიან იკლო და ფასმა აიწია.

რაკი საქვეყნო ბაზარს პური შემოაკლდა იმ ადგილებიდამ, საიდამაც აქამდე მოსდიოდა პური, რა თქმა უნდა მუშტარი ყველგან დაიწყებდა ძებნას პურისას. ამის გამო პურის მუშტარი საზღვარგარეთიდამ ჩვენშიაც მოვიდა და მას აქეთია პურის ფასი ჰმატულობს. აშკარაა, ეს მაგალითი და იშვიათი შემთხვევა ჭკვას ასწავლის ინგლისსაც და იმისთანა პურის ბოლაზებსაც, როგორნიც არიან ამერიკა, ინდოეთი და ავსტრალია. **არასგზით მოსალოდნელი არ არის, რომ 1885 და 1886 წლებით განსწავლული ინგლისი, ამერიკა, ინდოეთი და ავსტრალია, ჩვენ თავის მუშტარს პურისას დაგვითმობს. პირიქით, ყოველს ღონეს იხმარებენ, რომ ჩვენი საკუთარი მუშტარიც წაგვართვან.** ეს უსაბუთო შიში არ არის და ძალიან ჭკუაზედ ახლოა, თუ კაცი კარგად დააკვირდება მიწათმოქმედებისათვის ავკარგიანობას ჩვენის ქვეყნის გარეთ. ამ საგანზედ შემდეგს ნომერში ზოგიერთს მოსაზრებას წარვუდგენთ მკითხველსა.

**ტფილისი, 7 იანვარი, 1887 წ.**

საკვირველი გაზშირება სამიწათმოქმედო მაშინებისა ამერიკაში ხარჯს პურის მოყვანისას მეტისმეტად აცოტავებს. თითქმის არ არის იმისთანა სამუშაო მიწისა, რომ მაშინით არა კეთდებოდეს. გარდა ამისა, რომ ხარჯი იქ ამ გზით შემოკლებულია, თითონ მოსავალიც პურისა დიდია, იმიტომ, რომ ცოდნით ეკიდებიან საქმეს და ყოველს სახსარს და ღონეს მეცნიერებისას ჰხმარობენ მოსავლის განდიდების და გაძლიერებისათვის. რა თქმა უნდა, ესე ყოველი იმოდენად გააიეფებს პურსა, რომ ჩვენ ამაში ცილობის გაწევა არ შეგვიძლიან. თუნდ ესეც არ იყოს, **მარტო ის გარემოება, რომ ყოველი კუნჭული ამერიკისა რკინისგზით არის შეერთებული ნავთსადგურებთან და რკინისგზებით პურის გადატანა დაუყოვნებელია, სწრაფია და იეფი, — მარტო ეს გარემოება საკმაოა დააფოლოს ჩვენი პური საქვეყნო ბაზარში და იეიდამ, როგორც მეტიჩარა გამოდევნოს.** ამას ისიც დაუმატეთ, რომ **ამერიკის მიწათმოქმედს დაუჯერებლად იეფი კრედიტი აქვს სახელმწიფოსაგან, ასე რომ გაჭირების დროს მიწათმოქმედი სუბუქად და ადვილად ხელს ინაცვლებს. ამას ისიც ზედ დაურთეთ, რომ დიდს აღებ-მიცემობაში საზოგადოდ და პურისაში საკუთრივ პატიოსნება და ნამუსიც დიდს საქონლად მიაჩნიათ ამერიკაში.** ჩვენებური ვაჭარი ისე თითქმის არ გაჰყიდის, რომ მუშტარი არ მოატყუოს და ამით ეხტიბარი არ გაიფუჭოს სამერმისოდ. **აქ, ჩვენში, ვაჭრობა მოტყუებაზედ უფროა დამყარებული, ვიდრე იმის ცდაზედ, რომ საქონლის სიკეთით და იეფობით მუდამი მუშტარი აიჩინოს კაცმა და თავნის ხშირად და ბევრჯელ გადატრიალებით იმდენი მოიგოს, რამოდენისაც ერთხანად ვაჭარს სიხარბე აქვს.** ამერიკელი ვაჭარი ცოტა სარგებელსაც სჯერდება, რადგანაც იქ თავნი იეფია და ამასთან ისეთი ეხტიბარი და ნდობა აქვს ევროპის ვაჭრებთან, რომ უნახავადაც მარტო ერთის დეპეშით მილიონობის პურსა ჰყიდის და ჰყიდულობს, და დარწმუნებულია, რომ არც ერთსა და არც მეორეს არც თითონ მოსტყუვდება და არც სხვას მოატყუებს. ყოველივე ეს იმისთანა გარემოებაა, რომ ამერიკის პურის ვაჭრობა ჩვენს ვაჭრობას პურისას არ ახეირებს საქვეყნო ბაზარში, თუ ერთი უბედური წელიწადი არ შეხვდა ამერიკასა.

მეორე დიდი ბოლაზი პურისა ინდოეთია, რომელსაც დღეს თითქმის მესამე ადგილი უჭირავს პურის საქვეყნო ბაზარში. ინდოეთში მუშა ძლიერ იეფია, და თუმცა დიდი სასიხარულო აქ არა არისრა, მაგრამ ამ იეფობის გამო პურის მოყვანაც იეფად უჯდებათ. თვითონ მიწები ძლიერ ნაყოფიერია და ცდა ინგლისელებისა, რომ პურის ვაჭრობაში ინდოეთმა თუ არ აჯობოს ამერიკას, ბევრით აღარას ჩამორჩეს-რა, ამაო ცდა არ არის. ჯერ ეს წარმოიდგინეთ, რომ იქ ათას-ხუთასი მილიონი დესეტინა მშვენიერი მიწა ჯერ თავისუფალია, უქმად არის და ელის კაცის მარჯვენა ხელს, რომ სულ საყანედ გადაიქცეს. გარდა ამისა, ინდოეთი ევროპის ბაზარზედ უფრო ახლოა, ვიდრე ამერიკა. ეს გარემოება პურის გადატანის ფასს ჰცვლის ინდოეთის სასარგებლოდ და ამერიკის საწინააღმდეგოდ. გარდა ამისა, ინგლისელები ჰცდილობენ ინდოეთის შიდა გზები იმოდენად კარგი იქონიონ, რომ პურის გამოტანა შიგნიდამ ნავთსადგურებამდე ბევრი არა ჰჯდებოდეს. იმის მაგალითად, თუ რამოდენად მარჯვედ მიჰყავთ ინგლისელებს ამ მხრით საქმე, საყურადღებოა შემდეგი ციფრები. 1853 წელს ინდოეთში რკინისგზები სულ 20C ინგლისური მილის მანძილზედ იყო; 1860 წ. 839 მილი რკინისგზა ჰქონდათ უკვე; 1870 წ. — 4,775; 1895 წ. — 6,519 და 1881 წლის დასასრულს — 9,875. ესე სწრაფათ კეთება რკინისგზებისა ამ სიდიდე მანძილზედ იმ ქვეყანაში, საცა იმოდენა სიმრავლეა მკვიდრთა და იმოდენა ბუნებური სიმდიდრეა, აშკარად გვაჩვენებს იმას, თუ რა ბედი მოელის ინდოეთს საქვეყნო ბაზარში საზოგადოდ და პურის ვაჭრობაში საკუთრივ.



თითქმის ამისთანა სახეირო გზაზედვე სდგას ავსტრალიაც, ეს მეოთხე ბოლაზი პურისა, და მოდით და თქვენ იქონიეთ იმედი, რომ, თუ არ უეცარი და იშვიათი რამ უბედურება ჩამოთვლილ ქვეყნებისა, სხვა რაიმე აიძულებს საქვეყნო ბაზრის მუშტარს ამ ბოლაზებს პურისას თავი დაანებოს და ჩვენში მოვიდეს სავაჭროდ!.. ამ იშვიათის უბედურობის იმედით ნურავინ ნუ მოსტყუვდება და ხვნისა და თესვის რაოდენობა მარტო შინაურს ბაზარზედ გაიანგარიშოს. თორემ თუ წასცდა და ამ 1885-1886 წლების იშვიათს მაგალითებს მიჰყვა, პური ამბრებში დაულპება და ზარალის მეტს არასა ჰნახავს. იმას აღარ ვიტყვით, რომ არც ამ წლების ფასებმა პურისამ იმოდენად აიწია, რომ დიდად სახარბიელო ყოფილიყო მიწათმომქმედისათვის. თუ ეს ასეა დღეს, როცა ასეთი იშვიათი და ჩვენთვის სახეირო წელიწადები შეგვესწრო, რა უნდა ვიგულისხმოთ მაშინ, როცა რუსეთს, ამერიკას, ინდოეთს, ავსტრალიას და სხვა ქვეყნებს თავისი ორთა-შუა მოსავალი მოუვათ!.. მაშინ ის იქნება, რაც 1884 წ. მოგვივიდა: შინ სახმარზედ ნამეტანი პური ფუთი შვიდ შაურად, ორ აბაზად და ცხრა შაურად ძნელად იყიდებოდა და ეს თითქმის მარტო მომკისა, კალოზედ მიტანის და გალეწვის ფასსაც არ ააყენებს; ხვნა-ფარცხვა, თესლი, ღალა კი ტყუილ-უბრალოდ იკარგება სამუდამოდ. აშკარაა, ჩვენი ქვეყანა ამ მხრით წელს ვერ გაიმაგრებს. **ჩვენ მარტო იმას უნდა ვეცადოთ, პური იმოდენად მოვიყვანოთ, რომ სასყიდელი არ გაგვიხდეს ჩვენ და ჩვენს შინაურს ბაზარს ეყოს. მიწათმოქმედება და საზოგადოდ სოფლის მეურნეობა ჩვენი სხვა იმისთანა საგანზე უნდა მიიქცეს, რომლის გამოც ჩვენთან ცილობის გაწევა საქვეყნო ვაჭრობაში ძნელია. ადგილი და ჰავა ამის ნებას გვაძლევს. სხვა რომ არა ვსთქვათ-რა, აი თუნდ ავიღოთ მაგალითად ღვინო. ამაში ჩვენ ბევრნი მოცილენი ვერ ამოგვიჩნდებიან და თუ ამოგვიჩნდებიან, აქაურის ღვინის სიკეთე ღონეს გვაძლევს ბრძოლისათვის და იმედს გამარჯვებისას“.**

**«მიწათმოქმედება და საზოგადოდ სოფლის მეურნეობა ჩვენი სხვა იმისთანა საგანზე უნდა მიიქცეს, რომლის გამოც ჩვენთან ცილობის გაწევა საქვეყნო ვაჭრობაში ძნელია. ადგილი და ჰავა ამის ნებას გვაძლევს. სხვა რომ არა ვსთქვათ-რა, აი თუნდ ავიღოთ მაგალითად ღვინო. ამაში ჩვენ ბევრნი მოცილენი ვერ ამოგვიჩნდებიან და, თუ ამოგვიჩნდებიან, აქაურის ღვინის სიკეთე ღონეს გვაძლევს ბრძოლისათვის და იმედს გამარჯვებისას»**

მსოფლიო

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დემოკრატიული პარტიის კანდიდატთა შორის ფავორიტმა ჯო ბაიდენმა ეს საკითხი განსაკუთრებით წამოწია შავკანიანი მოსახლეობის ხმების მოსაპოვებლად. ყოფილმა ვიცეპრეზიდენტმა ისე ღრმად შეტოპა, რომ აუდიტორიას საკუთარი თავი აპარტეიდის წინააღმდეგ ამხედრებულ მებრძოლად წარუდგინა. დაპატიმრებულიც კი იყო თურმე ნელსონ მანდელასთან შეხვედრის მცდელობისთვის, თუმცა მალევე გაირკვა, რომ ეს ისტორია, სულ ცოტა, ფაქტების თავისუფალი ინტერპრეტაციის ნაყოფია.**

# «თავისუფალი სამყარო» მხარს უჭერდა აპარტეიდს

**21 მარტი რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღედ არის მიჩნეული. წლეულს განსაკუთრებული მასშტაბითა და გაქანებით აპირებდნენ ამ თარიღის აღნიშვნას, რადგან 21 მარტს შესრულდებოდა სამწუხარო იუბილე — 60 წელი ფრანგი მოსახლეობის დემონსტრაციის დახვრეტიდან სამხრეთაფრიკულ სოფელ შარპევილში. საკარანტინო ზომებმა აიძულა გაეროს ხელმძღვანელობა, გადაედო ყველა ღონისძიება, რომლებიც ამ თარიღთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, აკნინებს მის მნიშვნელობასა და აქტუალობას რასიზმსა და ქსენოფობიასთან ბრძოლის საქმეში.**

თემა გააქტუალურდა აშშ-ში დაწყებულ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებითაც. დემოკრატიული პარტიის კანდიდატთა შორის ფავორიტმა **ჯო ბაიდენმა** ეს საკითხი განსაკუთრებით წამოწია შავკანიანი მოსახლეობის ხმების მოსაპოვებლად. ყოფილმა ვიცეპრეზიდენტმა ისე ღრმად შეტოპა, რომ აუდიტორიას საკუთარი თავი აპარტეიდის წინააღმდეგ ამხედრებულ მებრძოლად წარუდგინა. დაპატიმრებულიც კი იყო თურმე **ნელსონ მანდელასთან** შეხვედრის მცდელობისთვის, თუმცა მალევე გაირკვა, რომ ეს ისტორია, სულ ცოტა, ფაქტების თავისუფალი ინტერპრეტაციის ნაყოფია. მიუხედავად ამისა, ბაიდენმა აფროამერიკელების ხმები მაინც მიიღო.

სამხრეთაფრიკული აპარტეიდის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიისადმი ამგვარი მიკერძოებული მიდგომა დასავლეთელი პოლიტიკოსებისა და მედიის მხრიდან შემთხვევითი არ არის. მოუსმენ და ისეთი შთაბეჭდილლება შეგექმნება, თითქოს დასავლეთი ყოველთვის და თანამიმდევრულად იბრძოდა რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

გავიხსენოთ თუნდაც **ბარაკ ობამას** გულის ამაჩუყებელი სიტყვა მანდელას დაკრძალვის ცერემონიაზე 2013 წელს. ხანგრძლივი ლექციის მიმდინარეობისას აშშ-ის იმდროინდელი პრეზიდენტი ოსანას უმღერდა აპარტეიდთან მებრძოლს და ერთი სიტყვაც არ დასცდენია ამ ბრძოლაში მისი ქვეყნის (აშშ-ის) როლზე. მიზეზი მარტივია: ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იგი (აშშ) და მისი ევროპელი მოკავშირეები მანდელას თავგამოდებით ებრძოდნენ, აქტიურად უჭერდნენ მხარს სამხრეთ-აფრიკის კავშირს (ასე ერქვა 1961 წლამდე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას). ობამამ ამ თემას ლექციების ციკლი მოაყოლა, მაგრამ **არც ერთში არ უთქვამს ამერიკის სპეცსამსახურების „ღვაწლზე“ სამხრეთამერიკული წინააღმდეგობის ლიდერის დაპატიმრების საქმეში. მანდელასთვის ციხეში იზოლაცია 27 წელიწადს გაგრძელდა.**

1960 წელს შარპევილის ხოცვა-ჟლეტაში პროტესტის ათეულობით მონაწილე დაიღუპა, მათ შორის – ქალები და ბავშვები. დღემდე დასავლეთის არც ერთ სახელმწიფოს არ უკისრია პასუხისმგებლობა იმ ტრაგედიაში მონაწილეობის გამო, არ ულიარებია სამხრეთაფრიკული აპარტეიდის მსხვერპლთა მიმართ ფაქტობრივი თანადგომა.

სამხრეთაფრიკული კავშირი მაშინ დიდი ბრიტანეთის ნაწილი იყო, ლონდონი უშუალოდ იყო პასუხისმგებელი თავისი ქვეშევრდომების საქმიანობაზე. შარპევილის ტრაგედიამდე ერთი თვით ადრე სამხრეთ აფრიკაში ჩავიდა ბრიტანეთის პრემიერი **ჰაროლდ მაკმილანი** და პარლამენტში წარმოთქვა სიტყვა. ამ სიტყვით, რომელიც ისტორიაში შევიდა, ინგლისელი ისტორიკოსები დღეს ცდილობენ თავის მართლებას: ვესტმინსტერის ხელმძღვანელმა არაორაზროვნად დაგმო აპარტეიდიო. არადა, რასისტული პოლიტიკის დასაგმობი ერთი სიტყვაც არ დასცდენია პრემიერს. პირიქით, **მაკმილანმა დადებითად შეაფასა ურთიერთთანამშრომლობა და სამხრეთ აფრიკის კავშირი „თავისუფალ სამყაროს“ მიაკუთვნა, დაუპირისპირა იგი საბჭოთა კავშირსა და მის სატელიტებს, ხოლო ეკვატორული აფრიკის ქვეყნების მისწრაფება დამოუკიდებლობის მოპოვებისკენ საკმაოდ მარტივად ახსნა: აზიის ქვეყნების მაგალითმა დაგვარწმუნა, რომ არაღიარების შემთხვევაში ეს ქვეყნები სოციალისტური ბანაკისკენ შებრუნდებიანო.**

ეს იყო „შავ კონტინენტზე“ იძულებითი „ცვლილებების“ არსი.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ **საბჭოთა კავშირი განუწყვეტლივ და თანმიმდევრულად გმობდა რასიზმსა და აპარტეიდს, რომელიც 1960-იან წლებამდე აშშ-ის მთელ რიგ სამხრეთ შტატში ოფიციალური პოლიტიკის სახით ხორციელდებოდა, ხოლო ნებისმიერ მოწოდებას რასობრივი თანასწორობისკენ მაშინდელ ამერიკაში მყისიერად „კომუნისტური პროპაგანდის“ დამღა დაესმებოდა. ხელს არაფერი უშლიდა, რუსეთი „ველურ“ და არაცივილიზებულ ქვეყნად მოეხსენებინათ, აშშ კი „თავისუფალი სამყაროს ლიდერად“.**

სისხლისმღვრელმა ხოცვა-ჟლეტამ შარპევილში, უფრო ზუსტად კი, ამ მოვლენაზე საერთაშორისო რეაქციამ აიძულა დასავლეთის ქვეყნები, გადაეხედათ რასობრივი ურთიერთობის საკითხისთვის და სამხრეთაფრიკული რეჟიმის შეცვლაზე ეფიქრათ. სწორედ ამიტომ დაუჭირა მხარი აშშ-მა გაეროს 1960 წლის 1 აპრილის რეზოლუციას. გაერომ, ბოლოს და ბოლოს, დაგმო რასობრივი დისკრიმინაცია და სეგრეგაცია სამხრეთ აფრიკის კავშირში და მოითხოვა, ბოლო მოღებოდა აპარტეიდის




**სამუილ მარშაკის «მისტერ ტვისტერი» გამოქვეყნდა 1933 წელს (რომელიც ლენინგრადში მომხდარი რეალური მოვლენის საფუძველზე დაიწერა), მაშინ, როცა ამერიკის 11 შტატში ლინჩის წესით დასჯის 28 ფაქტი დადასტურდა. მით უფრო საოცარია, რომ ამჟამად დასავლეთელი «სპეციალისტები რუსეთის საკითხებში» ცდილობენ, დაადანაშაულონ «მისტერ ტვისტერი» (ყოველ შემთხვევაში, ამ ნაწარმოების მიხედვით შექმნილი მულტფილმი) რასიზმში და ამტკიცებენ, რომ საბჭოთა კავშირში 1920–30–იან წლებში «არაპოლიტკორექტულად» ხატავდნენ აფრიკისა და ამერიკის შავკანიან მკვიდრთ**




პოლიტიკას.

ვაშინგტონმა ეს იძულებით გააკეთა, სწორედ იმისთვის, რომ არ გაერიყა აზიისა და აფრიკის ახალი სახელმწიფოები, რომლებიც მაშინ კოლონიური ბორკილებისგან გათავისუფლდნენ.

არ უნდა დაგვავიწყდეს (ბრიტანელი ისტორიკოსები კი ამ ფაქტს მორცხვად უვლიან გვერდს), რომ ამ რეზოლუციისთვის კენჭისყრისას მხოლოდ ორმა ქვეყანამ შეიკავა თავი — საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა. მაკმილანმა შემდეგ ბოდიში მოუხადა სამხრეთ აფრიკის პრემიერმინისტრ **ჰენდრიკ ფერვურდს** იმის გამო, რომ ლონდონმა ვეტო არ დაადო აღნიშნულ გადაწყვეტილებას. ეს ნაბიჯი კი ახსნა იმით, რომ მხოლოდ ასე შეიძლებოდა უფრო მძიმე შედეგების, ანუ შარპევილის ტრაგედიის გაეროს სპეციალურად მოწვეულ ასამბლეაზე დაგმობის და საერთაშორისო რეზონანსის თავიდან აცილება. თავის დღიურებში კი პატიოსნად დაწერა: „თანამეგობრობის ახალი წევრები (ინდოეთი და განა) არასოდეს გვაპატიებდნენ, თუ ჩვენ ვეტოს დავადებდით“.

ესეც „ცვლილებათა ქარია“.

ამ არასასიამოვნო ნიუანსებს რასობრივი თანასწორობის თემაზე წაკითხულ ლექციებში დასავლეთის ლიდერები, რა თქმა უნდა, „ივიწყებენ“. ასე რომ არ მოიქცნენ, თავისთავად გაჩნდება შეკითხვა: **მაშ, ვისი ბრალია, რომ აპარტეიდსა და რასობრივ დისკრიმინაციას დღეს ოფიციალურ დონეზე გმობენ?** პასუხის გაცემისას გაირკვევა, რომ სწორედ „თავისუფალი სამყარო“ დიდი ხნის განმავლობაში ეწინააღმდეგებოდა ამას. მოსკოვის აქტიური პოზიცია რომ არა, რომელიც ანტიკოლონიურ მოძრაობას მხარს უჭერდა, დასავლეთი კიდევ კარგა ხნის განმავლობაში თვალს დახუჭავდა აპარტეიდზე.

შეგახსენებთ, რომ **ანტირასისტული ფილმი „ცირკი“ საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ 1936 წელს გადაიღეს. იმ წელს, როცა აშშ-ში დააფიქსირეს ლინჩის წესით აფროამერიკელების დასჯის რვა შემთხვევა.**

**სამუილ მარშაკის** „მისტერ ტვისტერი“ გამოქვეყნდა 1933 წელს (რომელიც ლენინგრადში მომხდარი რეალური მოვლენის საფუძველზეა დაწერილი), მაშინ, როცა ამერიკის 11 შტატში ლინჩის წესით დასჯის 28 ფაქტი დადასტურდა. მით უფრო საოცარია, რომ ამჟამად დასავლეთელი „სპეციალისტები რუსეთის საკითხებში“ ცდილობენ, დაადანაშაულონ „მისტერ ტვისტერი“ (ყოველ შემთხვევაში, ამ ნაწარმოების მიხედვით შექმნილი მულტფილმი) რასიზმში და ამტკიცებენ, რომ საბჭოთა კავშირში 1920-30-იან წლებში „არაპოლიტკორექტულად“ ხატავდნენ აფრიკისა და ამერიკის შავკანიან მკვიდრთ.

**ცნობისთვის: ლინჩის წესით დასჯის ფედერალურ დანაშაულად აღიარების შესახებ კანონპროექტი, რომელიც ჯერ კიდევ 1918 წლის გაზაფხულზე შეიტანეს, აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ მხოლოდ წლევანდელ თებერვალში მოიწონა.**

მომზადდა Ria .ru-ზე გამოქვეყნებული **ვლადიმერ კორნილოვის** მასალის მიხედვით

ანტიდიფამაციონურმა ლიგამ (ამერიკელი ებრაელების არასამთავრობო უფლებადამცველმა ორგანიზაციამ) 2019 წლის კვლევაში კამპუსების ტერიტორიასა და მის გარეთ ექსტრემიზმის პროპაგანდის 2713 შემთხვევა აღრიცხა, ეს მაჩვენებელი 1499-ით მეტია წინა წელთან შედარებით. გამოკვლევის შედეგების მიხედვით, დისკრიმინაციულმა პროპაგანდამ მოიცვა ამერიკის ყველა შტატი, ჰავაის გარდა. 3 წლის წინათ აშშ-ს გადაუარა სინაგოგების დაწვის, ებრაული კულტურის ცენტრების დანაღმვისა და ებრაელთა საფლავების ვანდალურად შებილწვის ტალღამ.

რასიზმი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რასიზმი კვლავ რჩება ამერიკელი საზოგადოების საფუძვლად

**ამერიკელთა შორის მინავლებული რასობრივი შუღლი ღვივდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თეთრკანიანი და შავკანიანი მოსახლეობა ერთმანეთს ვერ იტანს. ცნობილი ამერიკული ტოლერანტობა ფერადკანიანთა მიმართ, როგორც მაგალითები აჩვენებს, მითია.**




**დანაშაული რასობრივი სიძულვილის ნიადაგზე რეგულარულად ხდება ამერიკული დემოკრატიის ძირითად ინსტიტუტში, ქვეყნის ბურჯში — შეიარაღებულ ძალებში. დამტკიცებულია, რომ ამერიკელ სამხედროებს შორის არიან ადეპტები ისეთი ექსტრემისტული დაჯგუფებისა, როგორიცაა «ევროპული იდენტობა», რომელიც ქადაგებს რასობრივ უპირატესობას არა მხოლოდ არმიაში, არამედ სკოლებსა და კოლეჯებშიც. 2019 წელს სამხედრო პროკურატურა იძიებდა 11 სამხედრო მოსამსახურის საქმეს, რომლებიც «ევროპული იდენტობის» წევრები იყვნენ**

სან-დიეგოს პოლიციის სამმართველო გაცილებით ხშირად (219%-ით) აჩერებს და ჩხრეკს აფროამერიკელებს, ვიდრე თეთრკანიან მოქალაქეებს. ეს არ არის მორიგი პროპაგანდისტული საფრთხობელა, ეს არის ფაქტები შავკანიანი ამერიკელების ცხოვრებიდან, რომლებიც ცოტა ხნის წინ მოხვდნენ ახალ ამბებში.

**სამოქალაქო თავისუფლების დამცველი ამერიკული კავშირის (ACLU) მონაცემებით, აშშ-ის სამართალდამცველი ორგანოები რეგულარულად უთვალთვალებენ, აჩერებენ, აკავებენ, ჩხრეკენ და აპატიმრებენ აფროამერიკელებს იმ რაოდენობით, რომელიც დისპროპორციულია მათი საერთო რაოდენობისა აშშ-ის მოსახლეობის შემადგენლობაში. სტატისტიკის მიხედვით, დიდია ალბათობა იმისა, რომ ყოველი ათასი აფროამერიკელიდან ერთი შეიძლება პოლიციელებმა მოკლან.**

ამერიკელი საზოგადოების სოციალურ ქსოვილს მწვავე პრობლემები ჭამს. ამ პრობლემებს შორის, გარდა რასიზმისა, არის ცეცხლსასროლი იარაღის მასობრივი გავრცელება, აბორტები, მეტოქეობა ეთნიკურ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს შორის, პოლიციის გაუმართლებელი სისასტიკე და ა.შ.

პროპაგანგისტული ამერიკული სინამდვილის, რასიზმზე თვითაღიარებული გამარჯვებისა და ტოლერანტობის ზეიმის მიღმა არც ისეთი ლამაზი სურათია.

**27 იანვარს გელაპის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა სოციალური გამოკითხვის შედეგი, რომლის მიხედვით ამერიკელთა 36% კმაყოფილია ქვეყანაში რასებს შორის ურთიერთობით, რესპონდენტთა 58%-მა კი საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა. ამ თემაზე Rasmussen Reports-ის მიერ 24 იანვარს ჩატარებული გამოკითხვის შედეგის მიხედვით, ამერიკელების მხოლოდ 34%-მა შეაფასა დადებითად ქვეყანაში რასებს შორის ურთიერთობა.**

არადა, რასიზმის პრობლემა აშშ-ში თითქოს ერთხელ და სამუდამოდ იყო მოგვარებული: სამოქალაქო ომისდროინდელი კონფედერანტი გენერლების ყველა ქანდაკება დამხობილ იქნა, კოლუმბის დღეს უკვე აღარ აღნიშნავენ რამდენიმე შტატში, სკოლების სპორტულ გუნდებს კი სახელები გადაარქვეს.

**ამერიკელი საზოგადოება, მიუხედავად რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობაზე საუბრებისა, მზად არის, ნებისმიერ მომენტში გახსნას ძველი მტკივნეული წყლულები. CBS-ი და Los Angeles Times-ი იუწყებიან, რომ აზიური წარმოშობის პირების მიმართ იმატა რასობრივ ნიადაგზე ხულიგნური გამოხდომებმა და დისკრიმინაციის შემთხვევებმა სხვა ამერიკელების მხრიდან და ეს გამოწვეულია კორონავირუსით დაავადებულთა და პოტენციურ გადამტანთა შესახებ გავრცელებული ჭორებით.**

რასიზმმა მართლაც შეაღწია ამერიკული საზოგადოების ქსოვილში. **დანაშაული რასობრივი სიძულვილის ნიადაგზე რეგულარულად ხდება ამერიკული დემოკრატიის ძირითად ინსტიტუტში, ქვეყნის ბურჯში შეიარაღებულ ძალებში. დამტკიცებულია, რომ ამერიკელ სამხედროებს შორის არიან ადეპტები ისეთი ექსტრემისტული დაჯგუფებისა, როგორიცაა „ევროპული იდენტობა“, რომელიც ქადაგებს რასობრივ უპირატესობას არა მხოლოდ არმიაში, არამედ სკოლებსა და კოლეჯებშიც. 2019 წელს სამხედრო პროკურატურა იძიებდა 11 სამხედრო მოსამსახურის საქმეს, რომლებიც „ევროპული იდენტობის“ წევრები იყვნენ.**

ეს არ არის ერთადერთი ულტრამემარჯვენე დაჯგუფება, რომელშიც გაერთიანებულნი არიან ამერიკელი სამხედროები და ვეტერანები. გასული წლის იანვარში ერაყში ნაომარ საზღვაო ქვეითთა ვეტერანს, დაჯგუფება „ჯვაროსნების“ წევრ **კერტის ალენს** 25 წლით აღუკვეთეს თავისუფლება კანზასში მუსლიმანების მოსაკლავად ბომბის აფეთქების მცდელობისთვის. საერთოდ კი, აშშ-ის შიდა უსაფრთხოების სამინისტრომ ჯერ კიდევ 2009 წელს აღიარა კავშირი მემარჯვენე ტერორისტებსა და სამხედრო პერსონალს შორის.

**30 წლის წინათ „კუ-კლუქს-კლანის“ ერთ-ერთი განყოფილების უფროსი ლუიზიანის შტატის წარმომადგენელთა პალატაში აირჩიეს, ოთხი წლის წინათ კი ჩარლსტონის (სამხრეთ კაროლინის შტატი) ეკლესიაში თეთრი რასის უპირატესობის მომხრეებმა 9 შავკანიანი გამოასალმეს სიცოცხლეს.**

ანტიდიფამაციონურმა ლიგამ (ამერიკელი ებრაელების არასამთავრობო უფლებადამცველმა ორგანიზაციამ) 2019 წლის კვლევაში კამპუსების ტერიტორიაზე და მის გარეთ ექსტრემიზმის პროპაგანდის 2713 შემთხვევა აღრიცხა. ეს მაჩვენებელი 1499-ით მეტია წინა წელთან შედარებით. გამოკვლევის შედეგების მიხედვით, დისკრიმინაციულმა პროპაგანდამ მოიცვა ამერიკის ყველა შტატი, ჰავაის გარდა. 3 წლის წინათ აშშ-ს გადაუარა სინაგოგების დაწვის, ებრაული კულტურის ცენტრების დანაღმვისა და ებრაელთა საფლავების ვანდალურად შებილწვის ტალღამ.

**2018 წლის ოქტომბერში პიტსბურგის სინაგოგაში 11 ადამიანი მოკლეს, გასული წლის აპრილში კი ანალოგიური თავდასხმის შედეგად კალიფორნიის შტატის ქალაქ პოვეის სინაგოგაში მისული ადამიანი დაიღუპა. რასისტული თავდასხმების მსხვერპლნი მხოლოდ შავკანიანები, ებრაელები და ლათინოამერიკელები არ არიან. ცნობილია აფროამერიკელებისა და დემოკრატიული პარტიის აქტივისტების თავდასხმის შემთხვევები პრეზიდენტ ტრამპის მომხრეებზე (ცემა-ტყეპა შარლოტსვილში „გაერთიანებული მემარჯვენეების მარშის“ მიმდინარეობისას ორი წლის წინათ), კონსერვატიულად განწყობილი ჟურნალისტების ცემა „ანტიფას“ წევრების მიერ მაგალითად, შარშან პორტლენდში დაზარალდა რეპორტიორი ენდი ნგო.**

ძალას იკრებენ მემარცხენე შეიარაღებული წინააღმდეგობის ორგანიზაციები, ისეთები, როგორიც არის „მსროლელთა სოციალისტური ასოციაცია“. მსგავსი ჯგუფები ქმნიან სროლაში მომზადების ცენტრებს და აქტიურად იბირებენ ახალ მომხრეებს, რომლებიც მზად არიან, იარაღით ხელში დაიცვან მემარცხენე იდეები მემარჯვენეთა ლაშქრის წინააღმდეგ. თავისი შეიარაღებული ორგანიზაციები ჰყავთ ლგბტ თემის წარმომადგენლებსაც — „ვარდისფერი პისტოლეტები“, Trigger Warining-ი და სხვ.

**ამასთანავე, სიუჟეტებმა ლათინოამერიკულ ბანდებზე, რომლებიც მიზნად ისახავენ აცტლანის (აცტეკების მითოსური სამშობლო აშშ-ის სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიაზე, გაწმენდილი თეთრკანიანი მოსახლეობისგან) აღორძინებას, დიდი ხანია, წალეკა ამერიკული მედიასივრცე.**

აშშ-ში პოლიტიკური კლიმატი სულ უფრო ტოქსიკური ხდება. რასიზმი და ანტაგონიზმი ამერიკელთა სხვადასხვა ჯგუფს შორის არ გამქრალა. ურთიერთმიუღებლობის დონე და მზადყოფნა, გამოიყენონ იარაღი განსხვავებული ფერის ოპონენტების წინააღმდეგ, ისეთი მაღალია, რომ დღეს არ შეიძლება აშშ-ს ეწოდოს უსაფრთხო ქვეყანა ექსტრემისტული დისკრიმინაციის გამოვლენის თვალსაზრისით.

ბარაკ ობამას მმართველობის 8 და დონალდ ტრამპის 3,5 წელიწადმა ვერ შეძლო იმის გამოსწორება, რომ, როგორც Guardian-ი წერს, 15-დან 35 წლამდე შავკანიანი მოზარდები და მამაკაცები თეთრკანიან მამაკაცებზე უფრო ხშირად არ იღუპებოდნენ პოლიციელების ხელით.

ამერიკელმა საზოგადოებამ დღემდე ვერ შეძლო თავისი ორგანიზმიდან რასიზმისა და დისკრიმინაციის გენების განდევნა.



**2018 წლის ოქტომბერში პიტსბურგის სინაგოგაში 11 ადამიანი მოკლეს, გასული წლის აპრილში კი ანალოგიური თავდასხმის შედეგად კალიფორნიის შტატის ქალაქ პოვეის სინაგოგაში მისული ადამიანი დაიღუპა. რასისტული თავდასხმების მსხვერპლნი მხოლოდ შავკანიანები, ებრაელები და ლათინოამერიკელები არ არიან. ცნობილია აფროამერიკელებისა და დემოკრატიული პარტიის აქტივისტების თავდასხმის შემთხვევები პრეზიდენტ ტრამპის მომხრეებზე (ცემა-ტყეპა შარლოტსვილში „გაერთიანებული მემარჯვენეების მარშის“ მიმდინარეობისას ორი წლის წინათ), კონსერვატიულად განწყობილი ჟურნალისტების ცემა „ანტიფას“ წევრების მიერ, მაგალითად, შარშან პორტლენდში დაზარალდა რეპორტიორი ენდი ნგო.**

**Vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მაიას წარმომადგენლებმა შექმნეს სოფლის მეურნეობის ეფექტიანი სისტემა და შესანიშნავად იცოდნენ ასტრონომია. მათ კალენდარს იყენებდნენ ცენტრალური ამერიკის ხალხებიც. ჰქონდათ დამწერლობის იეროგლიფებიანი სისტემა, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ არის გაშიფრული. მაიას ცივილიზაცია ძალიან იყო განვითარებული კონკისტადორების გამოჩენის მომენტში. ამჟამად კი ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მაია არსაიდან მოვიდა და იდუმალ ვითარებაში გაუჩინარდა.**

# ათი ხალხი, რომელთა წარმოშობაზე მეცნიერები დღესაც კამათობენ

**ისტორიკოსებისა და ეთნოგრაფების მცდელობების მიუხედავად, ზოგიერთი ხალხის განვითარების მკაფიო სურათის შექმნა ვერ ხერხდება და რამდენიმე ერის წარმოშობაში ბევრია თეთრი ლაქა. გაეცანით მასალას, რომელშიც ლაპარაკია ჩვენი პლანეტის იდუმალ ხალხებზე, მათგან ზოგიერთი გამქრალია, ზოგი კი კვლავ განაგრძობს განვითარებას.**



## 1. მაია

არავინ იცის, საიდან მოვიდა ეს ხალხი და სად გაქრა. ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ მაია დაკავშირებული იყო ლეგენდარულ ატლანტებთან; სხვები ვარაუდობენ, რომ მაიას წინაპრები ეგვიპტელები იყვნენ.

მაიას წარმომადგენლებმა შექმნეს სოფლის მეურნეობის ეფექტიანი სისტემა და შესანიშნავად იცოდნენ ასტრონომია. მათ კალენდარს იყენებდნენ ცენტრალური ამერიკის ხალხებიც. ჰქონდათ დამწერლობის იეროგლიფებიანი სისტემა, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ არის გაშიფრული. მაიას ცივილიზაცია ძალიან იყო განვითარებული კონკისტადორების გამოჩენის მომენტში. ამჟამად კი ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მაია არსაიდან მოვიდა და იდუმალ ვითარებაში გაუჩინარდა.



## 2. ლაპლანდიელები

ლაპლანდიელებს, აგრეთვე, ეძახიან საამებსა და ლოპარებს. ამ ეთნოსის წლოვანება 5000 წელზე მეტია. მეცნიერები დღემდე კამათობენ, ვინ არიან ლაპლანდიელები და საიდან მოვიდნენ. ერთნი ამ ხალხს მონგოლოიდებად მიიჩნევენ, სხვები – პალეოევროპელებად. მათი ენა ფინურს ჰგავს, მაგრამ აქვს 10 დიალექტი, რომლებიც ისე განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ შეიძლება დამოუკიდებელ ენებად ჩაითვალოს.

## 3. პრუსები



პრუსების წარმოშობა იდუმალებითაა მოცული. პირველად IX საუკუნეში მოიხსენია ანონიმმა ვაჭარმა, ოღონდ ასე Brusi, შემდეგ გაჩნდა ჩანაწერები პოლონურ და გერმანულ ქრონიკებში. ლინგვისტები პრუსების ენის ანალოგებს პოულობენ ინდოევროპულ ენებში და მიაჩნიათ, რომ პრუსია წარმოიქმნა სანსკრიტული purusa-სგან „ადამიანი“. ბევრი არაფერია ცნობილი პრუსების ენაზეც. ბოლო ადამიანი, რომელიც ამ ენაზე ლაპარაკობდა, 1677 წელს გარდაიცვალა, ხოლო 1709-1711 წლებში გავრცელებულმა ჭირმა პრუსები გაანადგურა. XVII საუკუნიდან იწყება პრუსიელთა ისტორია, რომლის მოსახლეობასაც ცოტა რამ აქვს საერთო ბალტიისპირელ პრუსებთან.



## 4. გუცულები

კვლავინდებურად გაურკვეველია, რას ნიშნავს სიტყვა „გუცული“. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ამ სიტყვის ეტიმოლოგია დაკავშირებულია მოლდოვურ „გოც“ ან „გუტც“-თან („ბანდიტი“), სხვები ვარაუდობენ, სახელი მომდინარეობს სიტყვა „კოჩიცი“-დან („მწყემსი“). გუცულებს ხშირად ეძახიან უკრაინელ მთიელებს, რომლებსაც ტრადიციად აქვთ ჯადოქრობა და დიდ პატივს სცემენ თავიანთ ჯადოქრებს.



## 5. ხეთები

ძველ მსოფლიოში ხეთების სახელმწიფო ძალიან გავლენიანი იყო. ამ ადამიანებმა პირველებმა შექმნეს კონსტიტუცია და გამოიყენეს საბრძოლო ეტლი. მიუხედავად ამისა, ხეთებზე ბევრი რამ ცნობილი არ არის. ხეთები მოხსენიებულია მათი მეზობლების ქრონიკებში, მაგრამ უცნობია, რატომ და სად გაქრნენ ისინი. გერმანელმა მეცნიერმა იოჰან ლემანმა თავის წიგნში დაწერა, რომ ხეთები ჩრდილოეთში გადასახლდნენ და გერმანელთა ტომებს შეერივნენ, თუმცა ეს მხოლოდ ვერსიაა.



## 6. შუმერები

ესენი არიან ძველი მსოფლიოს ყველაზე იდუმალი და გამოუცნობი ხალხი. არაფერია ცნობილი მათი წარმოშობის შესახებ. არც მათი ენის წარმოშობის შესახებაა ცნობილი რამე. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ შუმერული ენა თანამედროვე ჩინურს ჰგავს. შუმერები ძალიან განვითარებული ხალხი იყო, მათ პირველებმა გამოიყენეს ბორბალი ახლო აღმოსავლეთში, შექმნეს სარწყავი სისტემა და უნიკალური დამწერლობა, ძალიან კარგად ერკვეოდნენ მათემატიკასა და ასტრონომიაში.





## 7. ეტრუსკები

ეტრუსკები მოულოდნელად შეიჭრნენ კაცობრიობის ისტორიაში და ასევე მოულოდნელად გაქრნენ. არქეოლოგებს მიაჩნიათ, რომ ეტრუსკები აპენინის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთში ცხოვრობდნენ, სადაც საკმაოდ განვითარებული ცივილიზაცია შექმნეს. ეტრუსკებმა დააარსეს პირველი იტალიური ქალაქები. ზოგიერთი სპეციალისტის ვარაუდით, ეტრუსკები გადასახლდნენ აღმოსავლეთში და შექმნეს სლავური ეთნოსი (ეტრუსკების ენას ბევრი რამ აქვს საერთო სლავურთან).



## 8. სომხები

სომხების წარმოშობაც ბურუსითაა მოცული. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, სომხები ძველი სახელმწიფოს ურარტუს ხალხებისგან წარმოიშვნენ, მაგრამ, როცა სომხების გენეტიკური კოდი გაშიფრეს, გაირკვა, რომ მათ არა მხოლოდ ურარტუელების, არამედ ხურითებისა და ლიბიელების გენეტიკური კომპონენტიც აქვთ. არსებობს, აგრეთვე, ვერსია, რომ სომხები ბერძნების მონათესავე ხალხია. მეცნიერთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ სომხები მიგრაციული პროცესებით განპირობებული ეთნოგენეზის შედეგად წარმოიშვნენ.

## 9. ბასკები



ბაკური ენის წარმოშობა თანამედროვე ისტორიის ერთ-ერთი საიდუმლოა. ბასკური ენა ეუსკარა, როგორც ვარაუდობენ, ერთადერთი გადმონაშთია ინდოევროპული ენისა, რომელიც დღეს არსებულ არც ერთ ენობრივ ჯგუფს არ მიეკუთვნება. National Geographoc-ის მიერ 2012 წელს ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, ყველა ბასკს აქვს ისეთი გენები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ბასკების გარშემო მცხოვრები მეზობელი ხალხების გენებისგან.

## 10. ფილისტიმელები

სიტყვა „ფილისტიმელები“ მომდინარეობს დასახელებიდან ადგილისა ფილისტია. ფილისტიმელები იდუმალებით მოსილი ხალხია, რომელიც ბიბლიაშია ნახსენები. მხოლოდ ფილისტიმელებმა და ხეთებმა იცოდნენ ფოლადის წარმოების ტექნოლოგია და სწორედ მათ დაუდეს სათავე რკინის საუკუნეს. ბიბლიის მიხედვით, ფილისტიმელები წამოვიდნენ კუნძულ კაფტორიდან (კრეტადან). ეს დასტურდება ეგვიპტური ხელნაწერებითა და ექსპონატებით. უცნობია, სად გაქრნენ ფილისტიმელები, მაგრამ ვარაუდობენ, რომ მათ ასიმილაცია განიცადეს ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ხალხებთან.

**მოამზადა ნიკა კორინთელმა**

**კორონავირუსისგან ყველაზე მეტად დაზარალებულ იტალიაში გულუხვი შეწირულობების მხრივ გამოირჩევიან ტურინის „იუვენტუსის“ მფლობელი ანდრეა ანიელი და მილანის ყოფილი პრეზიდენტი, იტალიის ყოფილი პრემიერმინისტრი სილვიო ბერლუსკონი ორივემ 10-10 მილიონი ევრო გაიღო მომაკვდინებელ ვირუსთან საბრძოლველად. ეს თანხა საკმარისია ინტენსიური თერაპიის 800 დროებითი განყოფილების მოსაწყობად. მილანის „ინტერის“ ჩინელმა მფლობელებმა ექიმებისთვის 300 ათასი ნიღაბი და რესპირატორი შეიძინეს, კიდევ 500 ათასი — „ნერაძურის“ („ინტერის“) მოთამაშეებმა და მწვრთნელებმა ანტონიო კონტეს მეთაურობით.**

## სპორტი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# წვლილი, რომელიც შეაქვთ ფეხბურთის ვარსკვლავებს კორონავირუსთან ბრძოლაში

## მილიონობით ადამიანის საყვარელი სპორტსმენების კეთილშობილური საქციელი

**პლანეტაზე პროფესიონალური ფეხბურთი გაჩერდა, მაგრამ ფეხბურთელები, მწვრთნელები და კლუბების ხელმძღვანელები უარს არ ამბობენ სახიფათო კორონავირუსთან ბრძოლაში მონაწილეობაზე და დიდი გარჯით მოპოვებულ მილიონებს ჯანმრთელობის დაცვის სფეროს წარმომადგენლებს ურიცხავენ.**



პეპ გვარდიოლა



ლიონელ მესი

### ინგლისი

ინგლისში თავი გამოიჩინა „მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელმა **პეპ გვარდიოლამ,** რომელმაც მშობლიური ბარსელონის მედიკოსებს მილიონი ევრო გადაურიცხა. ბრიტანული კლუბები კი ასეთი ხელგაშლილები არ არიან. მაგალითად, „მანჩესტერ სიტიმ“ და „მანჩესტერ იუნაიტედმა“ 50-50 ათასი გირვანქა სტერლინგი გაიღეს და საკვები უყიდეს ვირუსით დაავადებულებს, აგრეთვე, იმ პირებს, რომლებსაც მათთან კონტაქტი ჰქონდათ და იზოლაციაში იმყოფებიან.

100 ათასი ევრო გაიმეტეს ლონდონის „არსენალის“ ბოსებმა. ამ კლუბის მთავარი მწვრთნელი, ესპანელი **მიკელ არტეტა** ბრიტანულ ფეხბურთში პირველი იყო, ვინც ვირუსით დაავადდა, მაგრამ ახლა ის თითქმის გამოჯანმრთელდა.

„უოტფორდმა“ თავისი სტადიონი „ვიკარაჯ-როუდი“ დაავადებასთან ბრძოლის შტაბად გადააქცია. იქ ახლა მედიკამენტებს ინახავენ და დაავადებულთა ნაწილს მკურნალობენ ინგლისის საავადმყოფოებში ადგილები სულ უფრო ნაკლები რჩება.

მშობლიურ ესპანეთს დაეხმარნენ **პედრო** და **დავიდ დე ხეა** პირველმა 3 ათასი ხარისხიანი რესპირატორი გაგზავნა ექიმებისთვის, მეორემ კი ესპანეთის დედაქალაქის რეგიონს 300 ათასი ევრო გადაურიცხა წამლების შესაძენად.

კიდევ ერთხელ დაამტკიცა პატრიოტის რეპუტაცია **მოჰამედ სალაჰმა**, რომელმაც მშობლიურ ეგვიპტეს, სადაც უკვე დაიღუპა ორი გავლენიანი გენერალი, მილიონი გირვანქა სტერლინგი შესწირა. **სადიო მანემ** კი თავის სამშობლოს, სენეგალს, 45 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაურიცხა.

ახლა უკვე „ტოტენჰემის“ მწვრთნელმა, პორტუგალიელმა **ჟოზე მოურინიომ** კი კვლავ დაამტკიცა, რომ „განსაკუთრებულია“ (ასე ეძახის თავის თავს), მან ვოლონტიორის („მოხალისის“) როლი მოირგო — საკვები და წამლები მიაქვს ხანდაზმული ადამიანებისთვის, რომლებსაც გარეთ გასვლა აკრძალული აქვთ ვირუსის გავრცელების გამო.

### ესპანეთი

**ლიონელ მესიმ** მილიონი ევრო გაიღო ბარსელონის საავადმყოფოსთვის, იქ კარანტინის პირობებშიც კი მღერიან მის სახელს. საქველმოქმედო აქციაში ჩაერთო კლუბი „ბარსელონაც“, რომელმაც, დიდი ფინანსური დანაკარგების მიუხედავად, 30 ათასი ნიღაბი შეიძინა კატალონიის მთავრობისთვის.

მადრიდის „რეალი“ ინგლისური „უოტფორდის“ გზით წავიდა და თავისი სტადიონი „სანტიაგო ბერნაბეუ“ მედიკოსებს გადასცა ახლა იქ სამედიცინო მოწყობილობებისა და მედიკამენტების საწყობია, აგრეთვე, ცდილობენ სტაციონარის მოწყობას, თუ საავადმყოფოებს დაავადებულთა სამკურნალოდ ადგილები არ ეყოფათ. პარალელურად „რეალის“ პრეზიდენტმა **ფლორენტინო პერესმა** სამედიცინო მოწყობილობები შეიძინა მადრიდის საავადმყოფოებისთვის გადასაცემად. კაპიტანმა **სერხიო რამოსმა** კი 250 ათასი რესპირატორი, 15 ათასი ტესტი და ათასი დამცავი კოსტიუმი იყიდა მედიკოსებისთვის.

### იტალია

კორონავირუსისგან ყველაზე მეტად დაზარალებულ იტალიაში გულუხვი შეწირულობების მხრივ გამოირჩევიან ტურინის „იუვენტუსის“ მფლობელი **ანდრეა ანიელი** და მილანის ყოფილი პრეზიდენტი, იტალიის ყოფილი პრემიერმინისტრი **სილვიო ბერლუსკონი** ორივემ 10-10 მილიონი ევრო გაიღო მომაკვდინებელ ვირუსთან საბრძოლველად. ეს თანხა საკმარისია ინტენსიური თერაპიის 800 დროებითი განყოფილების მოსაწყობად. მილანის „ინტერის“ ჩინელმა მფლობელებმა ექიმებისთვის 300 ათასი ნიღაბი და რესპირატორი შეიძინეს, კიდევ 500 ათასი — „ნერაძურის“ („ინტერის“) მოთამაშეებმა და მწვრთნელებმა **ანტონიო კონტეს** მეთაურობით.

დაავადებასთან საბრძოლველად ნახევარი მილიონი დოლარი გამოყვეს (თითოეულმა ცალ-ცალკე) „მილანმა“, „ფიორენტინამ“ და „რომამ“. **ლეონარდო ბონუჩიმ** 120 ათასი გადაურიცხა იმ კლინიკას, რომელშიც მკურნალობდა მისი მცირეწლოვანი ვაჟი. **ლორენსო ინსინიემ** 100 ათასი გადაურიცხა მშობლიური ნეაპოლის ექიმებს, ამდენივე გადარიცხა **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** — მილანელი მედიკოსებისთვის, **ფრანკ რობერიმ** ფლორენციელებისთვის.

**კრიშტიანუ რონალდუ**, რა თქმა უნდა, პორტუგალიას ეხმარება. მისი ფულით ლისაბონში ინტენსიური თერაპიის სამი განყოფილება მოაწყვეს, ერთი პორტუში. თანხამ მილიონი ევრო შეადგინა. ამდენივე გაიღო რონალდუს აგენტმა **ჟორჟ მენდეშმაც.**


ჟოზე მოურინიო


კრიშტიანუ რონალდუ


ლიონის „ოლიმპიკის“ ფეხბურთელები


დავიდ დე ხეა

ბერგამოს „ატალანტას“ გულშემატკივრებს კი თანხა, რომელიც „ვალენსიის“ წინააღმდეგ მატჩზე დასასწრებ ბილეთებში გადაიხადეს, დაუბრუნეს (მატჩი ცარიელ სტადიონზე ჩატარდა უმაყურებლოდ) და ეს ფული — 60 ათასი ევრო, ბერგამოს საავადმყოფოს გადასცეს.

### გერმანია

აქ კორონავირუსთან ბრძოლის ავანგარდში არიან „ბაიერნის“ ფეხბურთელები **იოზუა კიმიხი** და **ლეონ გორეცკა** მათ დააარსეს ფონდი We kick Corona და მასში თითოეულმა 500 ათასი ევრო ჩადო, სულ მილიონი. კარგი მაგალითი გადამდები აღმოჩნდა და ცოტა ხნის შემდეგ ფონდში 500 ათასი შეიტანა „მანჩესტერ სიტის“ ჰაკბეკმა **ლეროი სანემ**, რომელსაც, როგორც ამბობენ, „ბაიერნში“ გადასვლა სურს.

ფონდში მილიონი ევრო ჩარიცხა პოლონელმა ცენტრფორვარდმა **რობერტ ლევანდოვსკიმ.**

დორტმუნდის „ბორუსიის“ ლიდერმა **მარკო როისმა** დორტმუნდის უძველესი დაწესებულებებისთვის, რომლებიც კარანტინის გამო გაკოტრების პირას აღმოჩნდნენ, 500 ათასი გაიღო. თანხები გადარიცხეს, აგრეთვე, **იულიან ბრანდტმა** („ბორუსია“ დორტმუნდი), **იულიან დრაქსლერმა** (პსჟ) და **ბენედიქტ ჰევედესმა** („ლოკომოტივი“).

გერმანიის საფეხბურთო ნაკრების მოთამაშეებმა და პერსონალმა კი ერთობლივად 2,5 მლნ ევრო გადაურიცხეს საავადმყოფოებს.

### სხვები

პარიზის **პსჟ**-ს მფლობელებმა 100 ევრო გამოყვეს ნიღბებისა და დამცავი საშუალებების შესაძენად. ამას გარდა, ფეხბურთელების მაისურების გაყიდვით მიღებული ფული საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდება.

300 ათასი ევრო გაიღო **„ლიონმა“**, ამ თანხიდან 100 ათასი გადაურიცხეს კვლევით ლაბორატორიას, რომელიც კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნაზე მუშაობს.

რიო დე ჟანეიროში ლეგენდარული **„მარაკანა“** საფეხბურთო ტაძრიდან კორონავირუსთან ბრძოლის შტაბად გადააკეთეს.

დონეცკის **„შახტარის“** მფლობელმა და უკრაინის ყველაზე მდიდარმა ადამიანმა **რინატ ახმეტოვმა** 9,6 მლნ ევრო გაიღო საავადმყოფოებისთვის მოწყობილობებისა და მედიკამენტების შესაძენად.

და ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ კეთილი საქმეებისა, რომლებიც ბოლო კვირების განმავლობაში გაკეთდა.

**კაცობრიობა VS კორონავირუსი** აი თანამედროვეობის მთავარი მატჩი და სასიამოვნოა, მასში ფეხბურთის ვარსკვლავები აქტიურად რომ მონაწილეობენ.

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# სტალინის იდეას კვლავ მიუბრუნდებიან?




**ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე მსოფლიოს ბევრი სახელმწიფოს ხელისუფალნი ფიქრობენ ისეთი ზომების გატარებაზე, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს ქვეყანას, თავიდან აიცილოს ან, ყოველ შემთხვევაში, შედარებით იოლად გადაიტანოს ეკონომიკური კრიზისი.**

კორონავირუსმა თითქმის შეაჩერა ეკონომიკა, ბევრ ქვეყანაში პანიკაა, ამ ფონზე კი რუსეთისა და ჩინეთის ოქროს მარაგები ივსება. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ რუსეთმა, შესაძლოა, ფულის რეფორმა განახორციელოს, თუმცა გააჩნია, როგორი. მაგალითად, ბანკნოტებისთვის ერთი ნულის ჩამოცილება არაფრის მომცემი იქნება, ორნულიანი დენომინაციაც ვერ მოიტანს ხანგრძლივ დადებით შედეგს, მაგრამ ძვირფასი ლითონების მარაგის მატება იძლევა ფიქრის საფუძველს, რომ ფულადი სისტემა შეიცვლება.

თუ რუბლი, ისევე, როგორც სტალინის მმართველობის პერიოდში, უზრუნველყოფილი იქნება ოქროთი, ეს მსოფლიოს ბაზარზე ქარიშხალს გამოიწვევს, ხოლო, თუ რუბლთან ერთად ჩინური იუანიც უზრუნველყოფილი იქნება ოქროთი — ეს ბაზარს წალეკავს, რადგან, თუ ასე მოხდება, ევრო და დოლარი უბრალო ქაღალდად იქცევა.

ისიც აღსანიშნავია, რომ ამერიკელებიც მუშაობენ თავიანთი ფულადი სისტემის შეცვლაზე, მათი ახალი სისტემა დაფუძნებული არ იქნება დოლარზე.

# ლუკაშენკო ახალი სამოკავშირეო სახელმწიფოსთვის ერთიანი ვალუტის შექმნას ემხრობა



**ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ განაცხადა, რომ წინააღმდეგი არ არის ერთობლივი ვალუტის შემოღებისა ბელარუსისა და რუსეთის ფედერაციის ახალ სამოკავშირეო სახელმწიფოში, მაგრამ ეს არ უნდა იყოს არც ბელარუსული რუბლი და არც რუსული რუბლი. ეს უნდა იყოს „ნეიტრალური“ ვალუტა.**

„ჩვენ გვაქვს შეთანხმება სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნის შესახებ. ამ შეთანხმების არც ერთ პუნქტზე უარს არ ვამბობთ. ჩვენ წინააღმდეგი არ ვართ ერთობლივი ვალუტის შემოღების, მაგრამ ეს უნდა იყოს ნეიტრალური ვალუტა — არც ბელარუსული რუბლი და არც რუსული რუბლი“, — განაცხადა ლუკაშენკომ.

# მადუროს თავი 15 მლნ დოლარად შეაფასეს

**ვაშინგტონმა ვენესუელის პრეზიდენტი „ნარკოტერორიზმთან“ კავშირში დაადანაშაულა და განზრახული აქვს, დააპატიმროს ვენესუელის ლიდერი, როგორც კი ამის საშუალება მიეცემა.**


უილიამ ბარი


ნიკოლას მადურო

იმ დროს, როცა მსოფლიო კორონავირუსთან ბრძოლით არის დაკავებული, თეთრი სახლის ადმინისტრაციამ ვენესუელაზე შეტევა განაახლა. სამიზნეში ამჟამად ბოლივარული რესპუბლიკის მეთაურია ამოღებული — **ნიკოლას მადურო.**

აშშ-ის გენერალურმა პროკურორმა **უილიამ ბარმა** მადურო და ქვეყნის კიდევ რამდენიმე ლიდერი ნარკოტერორიზმთან კავშირში დაადანაშაულა. ბარის სიაში, მადუროს გარდა, მოხვდნენ: ეროვნული დამფუძნებელი საკრებულოს თავმჯდომარე **დიოსდადო კაბელიო,** სამხედრო დაზვერვის ყოფილი ხელმძღვანელი **უგო კარვახალი,** მეტსახელად „წიწილა“, და გადამდგარი გენერალი **კლივერ ალკალა კორდონესი.** ამ „ნარკოტერორისტების“ გარდა, აშშ-მა ქვეყნის კიდევ ორ ხელმძღვანელ პირს დასდო ბრალი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე **მაიკელ მორენო** ექვმიტანილია ფულის გათეთრებაში, ხოლო თავდაცვის მინისტრი **ვლადიმერ პადრინო ლოპესი** ნარკოტიკებით ვაჭრობაში.

უილიამ ბარის თქმით, „მადუროსა და სხვა პირების წინააღმდეგ ბრალდება გამომდინარეობს მათი ურთიერთობიდან უკიდურესად სახიფათო ტერორისტულ ორგანიზაციასთან, რომელიც ცნობილია სახელით „კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალები“, აგრეთვე, მცდელობიდან, აშშ-ში შეიტანონ ბევრი კოკაინი“. ასეთი დანაშაულის ჩადენისთვის პატიმრობის ვადა 10 წლიდან იწყება და უვადო პატიმრობით მთავრდება.

ამერიკის ხელისუფლებამ ჯილდოც კი დააწესა ვენესუელის პრეზიდენტის თავისთვის — 15 მილიონი დოლარი. მადუროს ყოფილი და ამჟამინდელი თანამოსანგრეები უფრო ნაკლებად შეაფასეს — 10-10 მილიონად კაბელიო, კარვახალი, ალკალასი და ვიცეპრეზიდენტი **ტარეკ ალ აისამი.** ამრიგად, აშშ-ს განზრახული აქვს, ვენესუელის ხელისუფლების წამყვანი ფიგურები 55 მლნ დოლარად იყიდოს.

აღსანიშნავია, რომ **დიდი ხანია, აშშ ადანაშაულებს ვენესუელის ხელისუფლებას ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობაში, თუმცა კარაკასის მიმართ ვაშინგტონის პოლიტიკაში ახალი არაფერია, იმის გარდა, რომ ამერიკელებმა მნიშვნელოვნად ასწიეს ფსონი, როცა ბრალდება მადუროს წაუყენეს. აშშ-ის გენპროკურორის ლოგიკით, აშშ-მა ყველაფერი უნდა გააკეთოს ვენესუელის კანონიერი პრეზიდენტის დასაკავებლად და აშშ-ში გასასამართლებლად.**

**თვითონ მადურომ ამერიკელთა ყველა ბრალდება უარყო და „მხედრით სვლა“ გააკეთა: ვენესუელის პროკურატურამ გამოძიება დაიწყო აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი ხუან გუაიდოს წინააღმდეგ, რომელმაც თავი პრეზიდენტად გამოაცხადა. გუაიდოს სახელმწიფო გადატრიალების მოწყობაში ადანაშაულებენ. სახალისოა, რომ ამ საქმის ერთ-ერთი ფიგურანტი არის გენერალი ალკალა, რომელსაც ამერიკელები ეძებენ. გადამდგარი გენერალი ვენესუელის შეიარაღებული ძალების რეგიონულ სარდლობას ხელმძღვანელობდა, მაგრამ 2016 წელს კოლუმბიაში გაიქცა,** სადაც რეჟიმის მოწინააღმდეგედ იქცა. ჩავისტების აზრით, ალკალა კოლუმბიაში ამზადებდა დაქირავებულებს, რომლებსაც მადურო უნდა დაემხოთ. ალკალამ ლათინური ამერიკის მედიასაშუალებებისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მართლა ამზადებდა რაზმებს მადუროს დასამხობად და გაუგებარია, რატომ სურს აშშ-ს მისი დაპატიმრება.

აშშ-მა გადაწყვიტა, მაქსიმალურად გაამწვავოს ვითარება ვენესუელაში და, როგორც ჩანს, არც მადურო დაიხევს უკან.

# ფრანგებს მათთვის განკუთვნილი ნიღბები ცხვირწინ ასწაპნეს




**„ჩინეთში თვითმფრინავში ჩატვირთვამდე რამდენიმე წუთით ადრე ამერიკელებმა ორმაგ ფასად იყიდეს ნიღბები, რომლებიც შეკვეთილი ჰქონდათ ფრანგებს თავიანთი საავადმყოფოებისა და მოხუცთა თავშესაფრებისთვის საფრანგეთში“, — განაცხადა საფრანგეთის რეგიონის პროვანსი ალპები-ლაჟვარდოვანი სანაპირო საბჭოს პრეზიდენტმა რენო მიუზელიემ.**

მიუზელიეს თქმით, რეგიონის ხელისუფლებამ რამდენიმე მილიონი ნიღაბი შეუკვეთა ჩინელ მწარმოებლებს. პროდუქცია გამზადებული იყო საფრანგეთში გასაგზავნად, მაგრამ „ბოლო მომენტში რაღაც მოხდა“.

„დღეს დილით ჩინეთში ჩასატვირთ მოედანზე ფრანგების შეკვეთა ამერიკელებმა გამოისყიდეს ნაღდი ფულით და თვითმფრინავი, რომელიც საფრანგეთში უნდა ჩასულიყო, აშშ-ში გაფრინდა“, — განაცხადა ფრანგმა პოლიტიკოსმა.

გაზეთი Liberation-ი დაუკავშირდა მიუზელიეს, მაგრამ მან არ ისაუბრა მომხდარის დეტალებზე, თუმცა გამოცემის წყარომ დაადასტურა ინფორმაცია ამერიკელების მიერ ნიღბების შესყიდვის შესახებ და დასძინა, რომ ამერიკელები სრულიად მსოფლიოში ყიდულობენ ნიღბებს ნებისმიერ ფასად.

**„ისინი იხდიან 2-ჯერ მეტს, თანაც ნაღდი ფულით, პროდუქციას არც უყურებენ და ამბობენ: ჩვენ შეგვიძლია, თავს ამის უფლება მივცეთ“,** — განაცხადა ერთ-ერთმა წყარომ და დასძინა, რომ ფრანგები ფულს მხოლოდ პროდუქციის მიღების შემდეგ იხდიან. თანაც ამერიკელებს მილიონობით ნიღბის შეძენა სურთ და ამიტომ ევროპელთა შედარებით მოკრძალებული შეკვეთები უკანა პლანზე იწევს.

მოამზადა
**ლუკა მაისურაძემ**

# «აფრიკა ლაბორატორია არ არის!» — ეტო’ომ და დროგბამ საკადრისი პასუხი გასცეს რასისტ მეცნიერებს

**ტელარხ LCI -ის ეთერში ფრანგმა მეცნიერებმა — ჟან-პოლ მირამ და ჯანმრთელობის დაცვის საფრანგეთის ნაციონალური კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა კამილ ლეხტმა კორონავირუსის წინააღმდეგ ტუბერკულოზის ვაქცინა „ბე-ცე-ჟე“-ს აფრიკაში გამოყენებაზე ისაუბრეს. მათ წინადადება წამოაყენეს, აღნიშნული ვაქცინა აფრიკის მოსახლეობაზე გამოეცადათ და ეფექტის შემთხვევაში გადმოეტანათ თავისთან. ფრანგ მეცნიერებს სახელგანთქმულმა ფეხბურთელებმა — კამერუნელმა სამუელ ეტო’ომ და კოტ დ’იუვარელმა დიდიე დროგბამ საკადრისი პასუხი გასცეს. ფეხბურთელების აზრით, ფრანგი მეცნიერების განცხადება რასისტული და დამცინავია.**


ეტო’ო


დიდიე დროგბა

**დიდიე დროგბამ** ასე უპასუხა ფრანგ მეცნიერებს: **„ვერ გამიგია, რატომ ვითმენთ ამას. გაუგებარია, რატომ უნდა გამოვცადოთ ვაქცინა აფრიკელ ხალხზე. აფრიკა არ არის ლაბორატორია! უნდა დაიგმოს რასისტული, დამამცირებელი და აგდებული სიტყვები აფრიკელი ხალხის მიმართ. დაგვეხმარეთ, გადავარჩინოთ აფრიკა და აფრიკელი ხალხი, შევაჩეროთ ვირუსის გავრცელება, რაც მსოფლიოს პრობლემაა. ნუ გადააქცევთ აფრიკელებს საცდელ ზღვის გოჭებად!“**

**ეტო’ომ** კი ფრანგ მეცნიერებს ძუკნისშვილები უწოდა, შემდეგ კი სოციალურ ქსელში დაწერა: **„თქვენ ნეხვი ხართ, აფრიკა თქვენი სათამაშო ადგილი არის!“.**

ფრანგ მეცნიერებს თურქეთში მოთამაშე სენეგალელი ფეხბურთელი **დემბა ბაც** გამოეხმაურა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება დასავლეთში, სადაც თეთრკანიანი ადამიანები ფიქრობენ, რომ ჩვენზე აღმატებულნი არიან. აქ რასიზმი ჩვეულებრივი ამბავია. გამოფხიზლების დროა!“

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

www.geworld.ge
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894